

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ნინო ჯაში

ორთოგრაფიულ ჩვევათა ფორმირება დაწყებით სკოლაში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: 1. პედაგოგიურ
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნათელა მაღლაკელიძე,
2. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მანანა ტაბიძე

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი 2013

ორთოგრაფიულ ჩვევათა ფორმირება დაწყებით სკოლაში

ანოტაცია -----4

შესავალი-----8

თავი I.

მართლმეტყველებისა და მართლწერის საკითხთა სწავლების ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზი

1.1. ქართული ორთოგრაფიის სწავლებასთან დაკავშირებული სირთულეები თანამედროვე ეტაპზე-----14

1.2. მართლმეტყველებისა და მართლწერის საკითხები პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში -----17

ა) სახელმძღვანელოები-----17

ბ) პროგრამები-----37

გ) თანამედროვე უცხოური (გერმანული, თურქული) და ქართული ენის მართლწერის სახელმძღვანელოთა შედარებითი ანალიზი -----46

თავი II

ქართული ორთოგრაფიისა და ორთოგრაფიის სწავლების ლინგვოდიდაქტიკურისა ფუძვლები

2.1. მართლმეტყველების რაობა-----55

2.2. მართლმეტყველების ნორმები-----56

2.3. მართლწერის რაობა-----59

2.4. ქართული მართლწერის პრინციპები-----60

2.5.ქართული მართლწერის ფსიქოლოგიურ-დიდაქტიკური საფუძვლები-----	62
--	----

თავი III

მართლმეტყველებისა და მართლწერის საკითხთა სწავლება დაწყებით სკოლაში

3.1 მოსწავლეთა ფონემატური სმენის განვითარება, როგორც ქართული მართლმეტყველების დაუფლების წინაპირობა-----	71
3.2 მარცვალი, სიტყვის დამარცვლა გადასატანად-----	76
3.3 სახელების სწავლებასთან დაკავშირებულ ორთოგრაფიულ საკითხებზე მუშაობა	
ა) არსებითი სახელის მართლწერა:-----	88
1. ორი მ, ორი ს, ვით. ბრუნვის -ად დაბოლოება (IV კლასი)-----	88
2. ორი ნ, ორი თ მრ. რიცხვში (V კლასი)-----	98
3. ხმოვანფუძიანსახელთამართლწერა – ორი ი, ორი ე (VI კლასი)-----	103
4. კომპიზიტთა მართლწერა -----	109
ბ) რიცხვითი სახელის მართლწერა -----	116
3.4. ზმნასთან დაკავშირებული ორთოგრაფიული საკითხების სწავლება-----	131
3.5. ზმნისწინთან დაკავშირებული მართლწერის საკითხებზე მუშაობა -----	138
3.6. ფორმაუცვლელ მეტყველების ნაწილებთან დაკავშირებული მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხები -----	143
ა) ზმნიზედის მართლწერა -----	143
ბ) თანდებულის მართლწერა-----	149
დასკვნები -----	161
გამოყენებული ლიტერატურის სია-----	165
დანართი -----	174

ანოტაცია

დიდია ენის მშობლიური ენის სწავლების პრაქტიკული დანიშნულება, იგი ემსახურება ორთოგრაფიული, სტილისტური და პუნქტუაციური ჩვევების ფორმირებას. და ეს ყველაფერი მიმართულია მოსწავლეთა ზეპირი და წერიტი მეტყველების დახვეწისაკენ.

დაწყებით სკოლაში, სადაც საფუძველი ეყრება ქართული ენის ბუნება-აგებულების შესწავლას, დიდი მნიშვნელობა აქვს ორთოგრაფია - ორთოეპიის ელემენტალური კურსის მაღალ დონეზე ათვისებას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა წიგნიერების დონის ზრდასა და სათანადო სამეტყველო უნარ-ჩვევების ფორმირებას.

წინამდებარე შრომაში გამოვლენილია ის სირთულეები და ხარვეზები, რომლებიც სასკოლო განათლების პირველ საფეხურზე ქართული ენის სწავლების პროცესში ორთოგრაფიული ჩვევების ჩამოყალიბებას ახლავს. ეს არის ცდა იმისა, რომ ქართული ფილოლოგიის მონაცემების, სწავლების თეორიისა და პრაქტიკის უახლესი მიღწევების, აგრეთვე თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით შეგვექმნა მონოგრაფიული ნაშრომი, ამ საკითხის ირგვლივ არსებულ ენათმეცნიერთა და მეთოდისტთა ნააზრევის გაგვეთვალისწინებთ შეგვემუშავებინა საკითხის სწავლების ოპტიმალური გზები, მეთოდები და ხერხები.

თემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ ორთოეპიისა და ორთოგრაფიის საკითხების სწავლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა აზროვნებისა და მეტყველების განვითარებისათვის. მართლწარმოთქმა და მართლწერა თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის ნორმების დაცვისა და მეტყველების კულტურის ამაღლების მნიშვნელოვანი პირობაა.

შემუშავდა მართლმეტყველებისა და მართლწერის სწავლების ეფექტური გზები და ხერხები, მეთოდები, სათანადო დიდაქტიკური პრინციპების შესატყვისად შეირჩა

სპეციალური სავარჯიშოები. ნაშრომში კლასების მიხედვით ნაჩვენებია ენობრივი ნორმების დარღვევისა და მისი გამოსწორების ეფექტური გზები და საშუალებები.

მასალის შესწავლისას გავითვალისწინეთ მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და მისი საშუალებით დავადგინეთ მათი რეალური შესაძლებლობები. საკითხთა სწავლებისას რამდენადმე შევცვალოთ მასალის მოცულობა და თანმიმდევრობა.

ორთოგრაფია ორთოეპიის ჩვევების გამომუშავების მიზნით მივმართავდით გარკვეულ სტრატეგიებს. შევეცადეთ, რომ ამ საკითხებზე მუშაობისას აგვემაღლებინა მოსწავლეთა მოტივაცია, მოსწავლეთათვის ჩაგვეწერა საკუთარი ძალების რწმენა, გამოგვემუშავებინა დადებითი დამოკიდებულება მართლწერისა და მართლმეტყველების წესებისა და საერთოდ, ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვის მიმართ. ვცდილობდით, ჩამოგვეყალიბებინა მათთვის კონსტრუქციული დამოკიდებულება საკუთარი შეცდომების მიმართ. მაქსიმალურად ვცდილობდით შეგვექმნა ურთიერთთანამშრომლობისა და ნდობის ატმოსფერო. სწავლებისას მაქსიმალურად შევზღუდეთ მოტივაციის გარეგანი ფაქტორები და წინა პლანზე წამოვწიეთ შინაგანი ფაქტორები: წახალისება, აღმოჩენით მიღებული კმაყოფილება, აზრის გამოთქმა საკუთარი შეცდომების შესახებ.

კვლევის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად მიგვაჩნია ენობრივი და ლიტერატურული მასალების ინტეგრაცია: ორთოეპიულ – ორთოგრაფიული ჩვევების დაუფლება სხვადასხვა სახის სასწავლო ტექსტების კითხვის პროცესში და არა ენობრივი მასალის იზოლირებულად დამუშავება, რაც აქამდე არსებული სასწავლო პროცესის ერთ-ერთი არსებითი ნაკლია. ჩვენი კვლევითი მუშაობაც აუცილებელია ამ მიმართულებით და ეყრდნობა ამ ორი კომპონენტის ინტეგრაციას.

Formation of orthographic skills in primary school

Annotation

Learning a national language has a great practical value. It serves to the formation of orthographic, stylistic and punctuation skills. All mentioned is directed to the improvement of pupil's reading and writing skills.

At the primary school - the fundamental place for learning the nature-structure of Georgian language, it is essential to learn hardly elementary course of orthography-orthoepy for enhancing the pupil' educational level and speech skills.

In the previous work it is revealed the difficulties and obstacles of orthographic skills development at the first stage of Georgian language learning process. This is the attempt for creating monographic work about Georgian philological data, study theory and latest achievements of practice, based on modern educational standards. According to the language scientists and Methodists thoughts about these aspects, we decided develop the optimal ways, methods and manners of studying.

The actuality of subject is because of great importance of orthoepy and orthography aspects studying for the improvement of pupils mental and speech abilities. Right pronouncing and right writing is an essential condition for the defense of modern literature Georgian language norms and speech culture enhancement.

Effective ways and methods of are found for the studying of right pronouncing and right writing. According to the appropriate didactic principles were selected special exercises. At the work it is shown the effective ways and devices for the correction the deviations from language norms.

During the assessment of mentioned work we took into consideration the age specifications of pupils and defined their actual abilities. Into the assessment process we made some corrections in the volume of work and order of putting materials.

We used some standards for orthography-orthoepy skills improvement. Tried to enhance motivation of pupils and insert the self-confidence, create the positive attitude to the rules of right pronouncing and right writing and generally, to the protection of the literature language norms. We had an attempt to teach them a constructive view of their mistakes, create the atmosphere for good collaboration and trust. During the studying process we extremely restricted external factors of motivation and elevated the following internal factors: encouragement, satisfaction after discovering, reporting their mistakes.

One of the actual aspects of a research is an integration of language and literature materials: developing orthoepy-orthography skills by reading the different learning text, instead of isolated treatment of language materials, which was the defect of the previous training processes. Our research work is an essential toward this way and is based on the integration of mentioned two components.

შესავალი

თემის აქტუალობა – დღესდღეობით თანამედროვე სალიტერატურო ენის დახვეწა, გამდიდრება და ნორმების დაცვა აუცილებელ და ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქმედ იქცა. ამიტომ სკოლაც განსაკუთრებული ამოცანის წინაშე დგას. არა მარტო ქართული ენის მასწავლებელი, არამედ მთელი პედაგოგიური კოლექტივი ვალდებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების დახვეწასა და განვითარებას. როგორც ვიცით, ქართული ენა ეროვნულ სკოლაში არა მარტო სასწავლო დისციპლინაა, არამედ – სხვა საგანთა სწავლების საფუძველიც. სალიტერატურო ენის სწავლებას საფუძველი ელემენტარულ სკოლაში ეყრება. აქ ეცნობიან თანამედროვე სალიტერატურო ენის ელემენტარულ წესებს, ხოლო შემდგომ კლასებში ეს ცოდნა უფრო ღრმავდება და რამდენადმე სისტემურ ხასიათს იძენს. დაწყებით კლასებში ორთოეპია-ორთოგრაფიის ელემენტარული საკითხების სწავლება ხელს უწყობს მოსწავლის საერთო წიგნიერების დონის ამაღლებას, ლოგიკური აზროვნების განვითარებას და ნიადაგს ამზადებს შემდგომ კლასებში მშობლიური ენის საკითხების უფრო საფუძვლიანად და გააზრებულად შესასწავლად.

მართლწარმოთქმა და მართლწერა თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის ნორმების დაცვისა და მეტყველების კულტურის ამაღლების მნიშვნელოვანი პირობაა.

ორთოეპია-ორთოგრაფიის საკითხები სხვადასხვა დროს სხვადასხვა დოზით იყო წარმოდგენილი სახელმძღვანელოებში. წლების განმავლობაში იცვლებოდა პროგრამები და სახელმძღვანელოები. თანდათან იხვეწებოდა მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხთა სწავლების მეთოდიკა.

სხვადასხვა დროს ქართულ პრესაში ქვეყნდებოდა მეთოდისტთა და პრაქტიკოს მასწავლებელთა მეთოდიკური ხასიათის სტატიები დაწყებით კლასებში მართლწერისა

და მართლმეტყველების სწავლების შესახებ. იქმნებოდა დისერტაციებიც ამ საკითხის ირგვლივ (ვ. რამიშვილი, რ. ლიპარტელიანი, მ. მეძველია, ნ. მაღლაკელიძე, მ. მიქაძე, ნ. ჯაჯანიძე და ა.შ.) მაგრამ დღეს ამ საკითხის კვლევის აუცილებლობა სკოლის რეფორმამ განაპირობა, რომლის მიხედვითაც დაწყებითი კლასები ტრადიციული 4 წლის ნაცვლად 6 წლით განისაზღვრა და V-VI კლასები ელემენტარული განათლების რგოლში გაერთიანდა. ამასთანავე მართლმეტყველებისა და მართლწერის საკითხების სწავლება საკითხავ (ლიტერატურულ) მასალასთან ინტეგრირებით მანამდე არც ერთი ავტორის მიერ არ ყოფილა განხილული შეიძლება ითქვას, რომ დღეს ეს საკითხი თითქმის დაუმუშავებელია, რამდენადაც შეცვლილია ქართულის, როგორც მშობლიური ენის, სწავლების არა მარტო შინაარსი, არამედ ფორმაც. ყოველივე ამან განაპირობა თემის საკვლევად შერჩევა.

ნაშრომის ერთ–ერთ თავისებურებად და ალბათ ღირსებადაც, შეიძლება ჩაითვალოს ის განზოგადებები, რომლებიც სწავლების I საფეხურის კლასებში სასწავლო ორთოგრაფიული წესების საფუძველზეა ჩამოყალიბებული.

როგორც აღვნიშნეთ, ბოლო ათეული წლებია სკოლამ და საგანმანათლებლო სისტემამ მკვეთრი ცვლილება განიცადა. რეფორმების საფუძველზე შეიცვალა ე.წ. დაწყებითი კლასების ამპლიტუდაც (I-IV-დან I-VI-მდე), იცვლებოდა ტერმინებიც „ელემენტარული“, „დაწყებითი“.

ამითაა განპირობებული სადისერტაციო ნაშრომის სათაურიც. და, რაც მთავარია, ამიტომაცაა მნიშვნელოვანი ცალკეული კლასის მასალის გამოცდილებათა განზოგადება.

ნაშრომი მეცნიერული სიახლე: ეს ექსპერიმენტული ხასიათის შრომაა, პედაგოგიური მეცნიერებისა და ლინგვისტიკის უახლეს მიღწევათა ფონზე გაშუქებულია მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხების სწავლება, გამოვლენილია ამ საკითხის ირგვლივ არსებული ხარვეზები და სწავლების სიძნელეები. სწავლების თეორიისა და პრაქტიკის უახლესი მიღწევებისა და თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით შექმენით მონოგრაფიული ნაშრომი, ამ საკითხის ირგვლივ არსებულ ენათმეცნიერთა და მეთოდისტთა ნააზრევის

გათვალისწინებით ვეცადეთ შეგვემუშავებინა საკითხის სწავლების ეფექტური გზები, მეთოდები და ხერხები.

მასალის შესწავლისას ვითვალისწინებდით მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს და მისი საშუალებით ვადგენდით მათ რეალურ შესაძლებლობებს. ამ საკითხის სწავლებისას რამდენადმე შევცვალეთ მასალის მოცულობა და თანმიმდევრობა. შემუშავდა ორთოპედია-ორთოგრაფიის შესწავლის ეფექტური გზები და ხერხები, მეთოდები, შეირჩა სპეციალური სავარჯიშოები სათანადო დიდაქტიკური პრინციპების შესატყვისად.

კვლევის საგანია დაწყებით სკოლაში ქართული ორთოპედია-ორთოგრაფიის საკითხთა სწავლებისას სალიტერატურო ენის დაუფლებისათვის მოსწავლეთა აქტივობის მეცნიერული ორგანიზაცია.

კვლევის ობიექტია დაწყებით სკოლაში მართლმეტყველებისა და მართლწერის ჩვევთა დაუფლების პროცესი, რომელიც მიმართულია მოსწავლეთა საერთო წიგნიერებისა და მეტყველების დონის ამაღლებისაკენ.

კვლევის მიზანია თანამედროვე ეტაპზე ენათმეცნიერების, პედაგოგიკის მეცნიერთა მიღწევების, პედაგოგთა გამოცდილების შესწავლა-განზოგადების ნიადაგზე საშუალო სკოლებში მართლწერისა და მართლმეტყველების სწავლების ლინგვისტური და დიდაქტიკური საფუძვლების დამუშავება. ჩვენი მიზანია სასწავლო პროცესზე დაკვირვებითა და საგანგებო ცდების ჩატარებით მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხებთან დაკავშირებული სიმწელების დადგენა და მათი დაძლევის გზებისა და საშუალებების შემუშავება. ამისათვის მიზნად დავისახეთ: 1) შეგვესწავლა და გაგვეანალიზებინა მართლწერის სწავლების პრაქტიკა და წერითი სავარჯიშოების სისტემა. ამით ნათლად დავინახეთ მართლწერის ჩვევის გამომუშავების შემაფერხებელი თუ ხელისშემწყობი ფაქტორები. 2) გადავწყვიტეთ შეგვემუშავებინა ისეთი სავარჯიშოები, რომლებიც ეფექტური იქნებოდა მართლწერის ავტომატიზირებულ ჩვევთა გამომუშავებისათვის.

კვლევის მეთოდოლოგია – მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხთა სწავლების კვლევის მიზნით ჩავატარეთ შემდეგი სამუშაო:

წინასწარ შევისწავლეთ და გამოვიკვლიეთ სპეციალური ლიტერატურა (ქართულ, რუსულ, გერმანულ, თურქულ ენებზე) ამ კუთხით; ასევე – საკითხის ირგვლივ არსებული საარქივო მასალა.

შევისწავლეთ მართლმეტყველებისა და მართლწერის ჩვევებზე მუშაობის საკითხები რამდენიმე სკოლის I-VI კლასებში; გავაანალიზეთ წერითი ნამუშევრები სხვადასხვა თვალსაზრისით: როგორი სახის წერითი სავარჯიშოები ტარდება კლასში საერთოდ, სასწავლო სისტემაში რა ადგილი აქვს მართლწერისა და მართლმეტყველებისათვის გამიზნულ წერით სავარჯიშოებს, რა მოცულობისაა ეს წერითი სავარჯიშოები, რა რაოდენობითაა წარმოდგენილი საწერ ტექსტებში შესწავლილი ორთოგრაფიები და ა.შ. სწავლების პროცესზე დაკვირვებით გამოვლინდა ის ხარვეზები და სიძნელები, რომლებიც ხელისშემშლელი ფაქტორია მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხთა ათვისებაში და სათანადო პრაქტიკული ჩვევის გამომუშავებას აფერხებს.

ნაშრომში ნაჩვენებია ენობრივი ნორმების დარღვევისა და მისი გამოსწორების ეფექტური გზები.

შეცდომებს ვერანაირად ავიშორებთ, თუ არ გავითვალისწინებთ მისი წარმოშობის მიზეზს. ეს შეცდომები განპირობებულია, ერთის მხრივ, იმით, რომ მოსწავლეს არა აქვს საკმაო სიტყვიერი მარაგი, სწორად არ არის დაუფლებული სათანადო წესს; მეორე მხრივ „შეცდომების წარმოშობა განპირობებულია გარკვეული ფსიქოლოგიური ფაქტორით, რომელიც აქტუალიზებულია ზეპირი მეტყველების ან წერის პროცესის კონკრეტულ მომენტში“ (მჭედლიშვილი 1979: 253;), ანუ მოსწავლემ წესი იცის, მაგრამ ვერ იყენებს მას პრაქტიკულად.

გაკვეთილებზე სისტემური დასწრებითა და დაკვირვებით შევისწავლეთ გრამატიკის სწავლებასთან დაკავშირებული მართლწერის წესების სწავლების პრაქტიკა: გრამატიკული წესების გაცნობის პროცესი, მათი ფორმულირება, ვარჯიში


მართლწარმოთქმაზე, დავალებათა სისტემა და მოცულობა; როგორ მიმდინარეობს შეცდომების გასწორება, როგორ ვარჯიშობენ მართლწერაზე, როგორ ხდება ცოდნის ჩვევაში გადასვლა – ჩვევის ავტომატიზირება და ა.შ.

რაოდენობრივ კვლევასთან ერთად ჩავატარეთ თვისობრივიც, რისთვისაც გამოვიყენეთ **ექსპერიმენტი**. ექსპერიმენტის შედეგებმა აჩვენა, რომ ამ დროს სასწავლო მასალის სწორად შერჩევასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეფექტური მეთოდებისა თუ ხერხების გამოყენებას. შრომაში შევეცადეთ კონკრეტულად გვეჩვენებინა ეს მეთოდები და დაგვესაბუთებინა მათი ეფექტიანობა. წინა პლანზე წამოვიწიეთ ე. წ. „თავისუფალი/შემოქმედებითი“ სახის წერითი სავარჯიშოები, „რომელთა ჩატარების პროცესში მოწაფეები უკეთ აცნობიერებენ შესწავლილ წესს, აქტიურად აზროვნებენ დასახული ამოცანის გადაწყვეტაზე“ (რამიშვილი 1965:). ამ ტიპის წერითი სავარჯიშოებით მოსწავლეებს შესწავლილი წესების პრაქტიკული გამოყენების საშუალება ეძლევათ. ისინი „ზეპირად ან წერილობით ხსნიან ორთოგრამებს, გარკვეული თანმიმდევრობით აყალიბებენ იმ ძირითად ნიშნებს, რომელთა ერთიანობა განაპირობებს სიტყვის სწორად დაწერას“ (Алгазина 1967: 20;). ამასთან ვეცადეთ გამოგვევლინა თვალსაჩინო მასალის ეფექტურობა მართლწერის ამა თუ იმ საკითხზე მუშაობისას. ტრადიციული პედაგოგიკიდან ცნობილია, რომ “საგანი იმდენად უფრო ადვილად შეითვისება და უფრო მკვიდრს შთაბეჭდილებას მოახდენს, რამდენადაც უფრო მომეტებულის ორგანოების შუამავლობით ჩაისახება კაცის გონებაში” (გოგებაშვილი 1952: 5;)

სწავლის პროცესში განასკუთრებული ყურადღების ცენტრში დავაყენეთ დღეისათვის აქტუალური „სწავლება-სწავლის“ მოთხოვნები, რაც პირველ რიგში მოსწავლის ფსიქიკური ძალების განვითარებას გულისხმობს. სწავლების უმნიშვნელოვანესი მიზანი მოსწავლეთა კოგნიტური განვითარების ხელშეწყობაა. „კოგნიტური განვითარება გულისხმობს მოსწავლეთა აზროვნების, შემეცნებითი თუ განსჯის უნარებისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარებას“ (ჯანაშია... 2010: 14;). „სწავლება-სწავლა“ მოიცავს დიდაქტიკურ მიზეზებს, სწავლების პროცესში განსახორციელებელი

ეტაპების დროში განაწილებას, მასწავლებლისა და მოსწავლის როლების ურთიერთდამოკიდებულებას, მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრას.

ჩვევათა გამომუშავების მიზნით ორთოგრაფიის სხვადასხვა საკითხის შესწავლა სქემის სახით შემდეგნაირად წარმოვადგინეთ:



ამ გრაფიკული გამოსახულებით ზოგადად ავსახეთ ის სტრატეგიები, რომლებსაც ჩვენ მივმართავდით მართლწერისა და მართლმეტყველების ჩვევების გამომუშავების მიზნით. ცნობილია, რომ მოსწავლე უკეთ სწავლობს, თუ მას მიეცემა საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციისა და განვითარების საშუალება. ამისათვის ვეცადეთ:

✓ მოსწავლეებისათვის საკუთარი ძალების რწმენა ჩაგვენერგა და გამოგვემუშავებინა მათთვის დადებითი დამოკიდებულება ორთოგრაფიისა და ორთოგრაფიის წესებისა და საერთოდ, ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვის მიმართ. ამ მიზნით მათ წერის დაწყებამდე ვაფრთხილებდით მოსალოდნელი შეცდომების შესახებ და გზადაგზა ვამეორებინებდით ამა თუ იმ წესს, კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებსაც ისინი წინა კლასებიდან უკვე იცნობდნენ;

✓ ვცდილობდით, ჩამოგვეყალიბებინა მათთვის კონსტრუქციული დამოკიდებულება საკუთარი შეცდომების მიმართ; დავხმარებოდით იმის

გაცნობიერებაში, რომ შეცდომა არ არის საშიში, იგი სწავლის პროცესის განუყოფელი ნაწილია; მთავარია, შეგვეძლოს მათი გამოვლენა და გაანალიზება;

✓ წერის დაწყებამდე კლასს მკაფიოდ განვუსაზღვრავდით, თუ რას ველოდით კონკრეტულ შემთხვევაში მათგან (წერისას საჭირო წესის მართებულად გამოყენება და ნაწერის კორექტირება წერის დასრულების შემდეგ);

✓ მაქსიმალურად ვცდილობდით შეგვექმნა ურთიერთთანამშრომლობისა და ნდობის ატმოსფერო. ამ მიზნით ხშირად ვეხმარებოდით ბავშვებს სათანადო ორთოეპიული თუ ორთოგრაფიული წესების გახსენებაში...

მოტივაციის გარეგანი ფაქტორები მაქსიმალურად შევზღუდეთ და წინა პლანზე წამოვწიეთ შინაგანი ფაქტორები, როგორცაა:

- წახალისება – გზადაგზა ვახალისებდით მოსწავლის წარმატებას, მაგრამ დეტალურად ვუხსნიდით თითოეული შეცდომის მიზეზს.
- აღმოჩენით მიღებული კმაყოფილება – მოსწავლე ჩვენი დახმარებით თავად პოულობდა შეცდომას და თავადვე ასწორებდა მას;
- აზრის გამოთქმა საკუთარი შეცდომების შესახებ – მოსწავლეები აკვირდებოდნენ თავიანთ ნაწერებსა თუ მეტყველებაში დაშვებულ შეცდომებს, გამოთქვამდნენ ვარაუდებებს და მსჯელობის გზით თავად მიდიოდნენ სწორ პასუხამდე;

პილოტირება ჩატარდა ქ. რუსთავის ყიული შარტავას სახ. მე-4 საჯარო სკოლაში, ჩატარების დრო: 2009-2010 წლები; თბილისის 53- ე საჯარო სკოლაში -2010-2011წ; საქართველოს საპატრიარქოს წმ. ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლაში - 2010-2013 წლები.

ორთოეპიისა და ორთოგრაფიის სწავლების შედეგების ფაქტობრივი მდგომარეობის დასადგენად აღნიშნულ სკოლებში შემოწმდა მოსწავლეთა დაახლოებით 900 ნამუშევარი. თითოეულ ჯგუფში მონაწილეობა მიიღო არაუმეტეს 25-მა მოსწავლემ.

თავი I

მართლმეტყველებისა და მართლწერის საკითხთა სწავლების ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზი

1.1. ქართული ორთოგრაფიის სწავლებასთან დაკავშირებული სირთულეები თანამედროვე ეტაპზე

სწავლების პროცესზე დაკვირვებით გამოვლინდა ის ხარვეზები და სიძნელები, რომლებიც ხელისშემშლელი ფაქტორებია მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხთა ათვისებასა და სათანადო პრაქტიკული ჩვევის გამომუშავებაში. მოკლედ შევცდებით მათ ჩამოთვლას:

1. ხშირ შემთხვევაში ორთოგრაფიის (და მთლიანად გრამატიკის) სწავლება მოწყვეტილია პრაქტიკულ მიზნებს. ტრადიციულად ნაკლები ყურადღება ეთმობა მართლწერისა და მართლმეტყველების ჩვევათა გამომუშავებას, მთელი აქცენტი ორთოგრაფიული ნორმებისა და დეფინიციების გაცნობაზეა გადატანილი. ამ დეფინიციებს კი, როგორც წესი, მოსწავლეები მექანიკურად იზეპირებენ და უჭირთ მათი გამოყენება პრაქტიკულად.
2. ორთოგრაფიის (გრამატიკის) სწავლებისას თითქმის უგულვებელყოფილია ტრანსფერული უნარ-ჩვევების ფორმირება. მოსწავლე ხშირად ამბობს წესს, შესაბამის მაგალითსაც მართებულად ასახელებს, მოცემულ შემთხვევაში სწორად ასრულებს კონკრეტულ ორთოგრაფიულ დავალებასაც, მაგრამ ვერ იყენებს ამ ცოდნას განსხვებულ სიტუაციაში, არ ხდება ცოდნის ტრანსფერი (გადატანა) ერთი კონკრეტული სიტუაციიდან, ერთი საგნიდან მეორეში.

3. ნაკლებად სრულდება ორთოგრაფიული ნორმების ცოდნის „გამოყენებაზე“ ორიენტირებული წერითი სავარჯიშოები. შემოქმედებითი სახის წერით სავარჯიშოებს მასწავლებლები იშვიათად მიმართავენ.
4. მე-5 კლასში ცოდნის ერთგვარი „წყვეტა“ ხდება. ამის მიზეზი გახლავთ მასწავლებლის ცვლა (მულტიდისციპლინარული პედაგოგის ნაცვლად საგანს საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი ასწავლის). ამის გამო დაწყებითი განათლების ადრეულ საფეხურზე ამ კუთხით მიღებული ცოდნის გამეორება, რაც ახალი მასალის ცოდნის კონსტრუირებას დაედება საფუძვლად, თითქმის მთლიანად არის გამორიცხული.
5. ორთოგრაფიული ნორმების გასაცნობად ნაკლებად გამოიყენება თვალსაჩინოება, ან თვალსაჩინო მასალა შერჩეულია არამიზნობრივად. თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალის შერჩევას არ ხდება მართლწერის სწავლებისას ჩართული ყველა კომპონენტის (წესის ცოდნა, სმენითი, ოპტიკური და მოტორული ფაქტორები) ადეკვატური გათვალისწინება.
6. სასწავლო პროცესში ნაკლებად გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები და სტრატეგიები. მასწავლებელი ორიენტირებულია სწავლების ტრადიციულ მეთოდებზე და ნაკლებად მიმართავს თავის მუშაობაში “სწავლის სწავლების” თანამედროვე სტრატეგიებს.
7. ძირითადი ნაკლი კი ის არის, რომ ქართული ორთოგრაფიის სწავლებას საფუძვლად არ ედება ორთოეპია. მართლწარმოთქმა თითქმის უგულვებელყოფილია.
8. ორთოგრაფიული შეცდომების გასწორებას არ ეთმობა სათანადო ყურადღება.
9. მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარის განვითარებაზე არ მახვილდება სათანადო ყურადღება. ნაკლებად ხდება კრიტიკული აზროვნების განვითარება ორთოგრაფიული წესების გაცნობის პროცესში. გაკვეთილზე ხშირად ბავშვები მსმენელის როლში გვევლინებიან, ისინი ვერ ერთვებიან გაკვეთილის მსვლელობაში.
10. ორთოგრაფიული მასალის სწავლებისას არასწორად ხდება (ან საერთოდ არ ხდება) ლიტერატურული და ენობრივი მასალის ინტეგრაცია, რაც დღეს ერთ-ერთი

ძირითადი სიახლეა. ორთოგრაფიული ნორმების გაცნობა იშვიათად უკავშირდება საკითხავ ტექსტზე მუშაობას.

1.2. მართლმეტყველებისა და მართლწერის საკითხები პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში

ა) ქართული ენის სახელმძღვანელოები

ქართული ენის სასკოლო სახელმძღვანელოების ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული ლინგვისტური აზროვნების ისტორიასთან. ამ კუთხით კი ქართულ ლინგვისტურ სკოლას საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს.

ცნობილია, რომ ძველი "გრამატიკები" მხოლოდ წმინდა მეცნიერული მიზნით არ იქმნებოდა. მათი დანიშნულება იყო ენის თეორიულ ასპექტში კვლევასთან ერთად მოსწავლეთათვის გაეცნოთ მშობლიური ენის ბუნება-აგებულებაც. უძველესი ქართული „გრამატიკების“ ავტორები თავიანთ წიგნებს ძირითადად პრაქტიკულ მიზნებს უსახავდნენ. „ამ გამოცემათა უმრავლესობა სასკოლო სახელმძღვანელოთა მსგავსია და ამდენად მათი მასალის სახასიათო განლაგება და გარკვევა ნაცადია მათი პედაგოგიური დანიშნულების მიხედვით“(თავზიშვილი 1974: 401;). ეს წიგნები ქართულ სკოლებში სხვადასხვა დროს გამოიყენებოდა. ისინი ნიადაგს ამზადებდნენ იმისათვის, რომ შექმნილიყო მეცნიერულად გამართული და სრულყოფილი ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოები, მეცნიერულად სწორ ნიადაგზე დაფუძნებულიყო ქართული ენის სწავლების პროცესი.

აღსანიშნავია, რომ ამ წიგნებში ორთოგრაფიას ჯეროვანი ყურადღება ექცეოდა, მაგრამ ქართული მართლწერის ლინგვისტიკური საფუძვლები (მორფოლოგია) ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ დამუშავებული, ამიტომაც ხშირ შემთხვევაში მართლწერის ჩვევათა ფორმირებისას ავტორები უპირატესობას კეთილხმოვანებას ანიჭებდნენ. „ვერავინ უარყოფს იმ აშკარა ფაქტს, რომ რამდენადაც სალიტერატურო ენა და მასზე

მოლაპარაკე ერთი განვითარებულია, იმდენად ენის ესთეტიკურ-მუსიკალურ მხარეს (კეთილხმოვანებას) უფრო მეტი ყურადღება აქვს მიქცეული და სამწერლობო ენაშიც კეთილხმოვან ფორმებს უფრო მეტი ადგილი ეთმობა"(გორგაძე 1916: 4;).

უძველეს ქართულ „გრამატიკად“, რომელსაც სასწავლო დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა, შეიძლება ჩავთვალოთ "სიტყვათა ართრონთათმჯს", დაწერილი XI საუკუნეში, ავტორი **ეფრემ მცირე** ან, სავარაუდოდ, მისი მოსწავლე არსენ იყალთოელი იყო (შანიძე 1990: 14;).

ტრადიციულად კი უძველეს ქართულ "გრამატიკად" მიჩნეულია მ. მაჯოს (რომი, 1641 წ.) „ქართული ანუ იბერიული ენის გრამატიკა". იგი შედგება 4 ნაწილისაგან.

1. ორთოგრაფია, 2. ეტიმოლოგია, 3.სინტაქსი, 4. პროსოდია.

მ. მაჯოს ორთოგრაფია არის სწორად კითხვისა და წერის წესები და ამას გრამატიკის I ნაწილში გვაძლევს. ჯერ აცნობს მკითხველს ქართულ ანბანს ასეთი თანმიმდევრობით: მხედრული, მთავრული და ბოლოს – ნუსხური.

საინტერესოდ აქვს წარმოდგენილი მართლწერის საკითხები **ზურაბ შანშოვანს** თავის „მოკლე გრამატიკაში". ეს არის პირველი გრამატიკა, რომელიც ქართულად არის დაწერილი 1737წელს, დაიწერა მოსკოვში, 1881 წელს კი იგი ცაგარელმა გამოსცა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი მარცვალთან დაკავშირებით მართლკითხვის ანუ პროსოდიის ცნებებზე საუბრობს, იგულისხმება გრძელი და მოკლე მარცვალი. აქვე საუბრობს სიტყვის მართლწერაზე და შემდეგ გადადის მეტყველების ნაწილთა კერძო განხილვაზე.

აღსანიშნავია, რომ მას საკუთარი სახელების მართლწერასთან დაკავშირებით შემდეგი აზრი აქვს გამოთქმული: თუ ადამიანის საკუთარი სახელის ხმარებისას ტოლი ტოლს მიმართავს, სწორია ვთქვათ – გიორგი, დანიელი, თომა, მაგრამ თუ უფროსი უმცროსს მიმართავს, მაშინ უნდა ვიხმაროთ გიორგავ, დანიელავ, თომავ. მაგრამ აქვე აღნიშნავს, სწორი ქართული იქნებოდა გვეთქვა გიორგიო, ანუ გიორგო ანდა ზ-თი (ზე გიორგი)

საინტერესოა ანტონ I კათალიკოსის ქართულ გრამატიკაში წარმოდგენილი ორთოგრაფიის საკითხები (დანართში) „შესაბამ წერა არის შემძლებლობა წერად საჩვეულებოთა და საკუთრითა წიგნითა“(ანტონ I კათალიკოსი 1885: 284;). ფონეტიკური და ორთოგრაფიული საკითხები ანტონ I კათალიკოსის გრამატიკაში ისე მჭიდროდ არის გადახლართული ერთმანეთთან (ხშირ შემთხვევაში წმინდა ფონეტიკური საკითხები თანამედროვე თვალსაზრისით ორთოგრაფიაშია განხილული და პირიქით), რომ მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა ჭირს. ორთოგრაფიული საკითხების შესახებ მსჯელობა ზოგჯერ ფონეტიკურ საკითხებთან არის დაკავშირებული და ცალკე არ არის წარმოდგენილი.

ორთოგრაფიაში განიხილავს ანტონ I ბგერათა ცვლილებებს: 1) "დადება", 2) "მოსპობა", 3) "ცვალება". ეს ცვლილებები ბგერებისა ხდება ბრუნებისას, წარმოებისას, რთული სახელების წარმოქმნისას და ზმნების წარმოქმნისას.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ავტორი გრამატიკული წესების ცოდნას არ მიიჩნევს მართლწერის შესწავლის საფუძვლად. ანტონ I კათალიკოსის აზრით, "შესატყვისწერის" ან "შესაბამისწერის" ცოდნას ექვსი რამ სჭირდება:

1. ბგერების აღმნიშვნელი ნიშნების ცოდნა.
2. ბგერათა ინტონაციური ნიშნების ცოდნა.
3. ამა თუ იმ ბგერის წარმოთქმის თავისებურებების ცოდნა.
4. ბგერების გამოყენების ცოდნა.
5. ბგერების ცვლილებების ცოდნა.
6. ქარაგმების ცოდნა.

და იქვე მოუწოდებს ყველას ქარაგმების სწორად ხმარებისაკენ. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ ანტონ I მართლწერასა და პუნქტუაციის ნიშნებს ერთად განიხილავს.

გაიოზ რექტორს „ქართულ გრამატიკაში“ აქვს ცალკე ნაწილად წარმოდგენილი მართლწერის საკითხები სათაურით: "მართლკითხვისა (პროსოდიისა) და წერისათვის (ორთოგრაფიის)." რას გულისხმობს გაიოზ რექტორი მართლწერაში? ეს არის სწორად წერა, მარცვალთა გადატანა, ქარაგმის ნიშნები და ა.შ.

გაიოზ რექტორი მტკიცედ იმეორებს, რომ მართლწერის კანონებისაგან აუცილებელია ასოების ზუსტი გამოხატვის ცოდნა, გადაბმა, გადატანა, ქარაგმა. აკეთებს

საინტერესო შენიშვნებს, რომ ქართულს არა აქვს მახვილი და იქვე მიუთითებს, რომ ქართულს მახვილი ისეთი ღირებული არა აქვს, მაინც „უგვან არს და ურჩხ სასმენელთა შინა, უკეთუ ხმა სხვითა ხმოვანითა აჰკრას და არა მით რომელთაცა ზედა აქვნი ზემო ნიშნად მახვილნი: მარია'მ, პეტრ'ე, ვჟადაგე'ბ (გაიოზ რექტორი 1796: 150;). მართლკითხვისათვის, აღნიშნავს გაიოზ რექტორი, საჭიროა წესების დაცვა, რომ ერთი ბგერის ნაცვლად სხვა მსგავსი ბგერა არა ვთქვათ. იქვე ახსენებს კლებულის ნიშანს, რომელიც იხმარება მაშინ, როცა მარცვალი მოთხრობით ბრუნვაშია და სმენისათვის საამო უნდა იყოს. ავტორი ცალკეულ სიტყვათა მართლწერისას აშკარა უპირატესობას ანიჭებს სიტყვის კეთილხმოვანებას.

პლატონ იოსელიანის "პირველ დაწყებითი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისა" 1863 წელს გამოიცა. იგი მძიმე არქაული ენით არის დაწერილი. ერთმანეთშია არეული ეტიმოლოგიისა და სინტაქსის ცნებები. პლ. იოსელიანი აღნიშნავს თავის სახელმძღვანელოში, რომ „მართლწერა ანუ კანონიერწერა ეს არის გრამატიკის ნაწილი, რომელიც გულისხმობს ასოთა კანონიერ წერით გამოხატვას"(თავზიშვილი 1974: 45;) და წარმოადგენს მართლწერში სამ მომენტს: 1.ასოთა ხმარებისათვის; 2.მარცვლის დაყოფისათვის, 3. „კანონიერ წერისთვის ლექსთა, ჯეროვანთა ნიშანთა ხმარების დასაყოვნებლადხმისა მოღებულთა სიტყვათაშინა"(პეტროვსკაია 1977: 60;).

იოანე ქართველიშვილს თავის „ქართული ღრამატიკაში“ IV ნაწილი დათმობილი აქვს მთლიანად მართლწერისა და მართლწარმოთქმის საკითხებისათვის. ნათქვამია, რომ "მართლწერა (ორთოგრაფია) ასწავებს ვითარ ჯერ არს კანონიერ წერად თვითოეული ლექსი"(ქართველიშვილი1815: 23;). და ამის შემდეგ არის მოცემული ტრადიციული მითითება იმის შესახებ, თუ სად შეიძლება დასმა "სტრიქონთა ნიშნის." ეს ნაწილი შედგება ორი თავისაგან, რომლებიც თავის მხრივ შედგება სამ-სამი ქვეთავისაგან. I ქვეთავში ლაპარაკია იმაზე, თუ სად იწერება ასომთავრული. II ქვეთავში მოცემულია ხმოვნების ხმარების წესი. III ქვეთავი ეთმობა თანხმოვანთა ხმარებას. საგანგებო ყურადღებას ღ-ზე ამახვილებს. საგანგებო შენიშვნებს აკეთებს ხ და ჯ ხმარებისას. კონკრეტული შემთხვევები მეტყველების ნაწილთა მართლწერისა განხილული არ არის.

რაც შეეხება დიმიტრი ყიფიანის სახელმძღვანელოს „ახალი ქართული გრამატიკა“, აქ უფრო ვრცლად არის განხილული მართლწერის საკითხები. ავტორი მოუწოდებს ქართველებს ქართული სიტყვიერების დაცვისაკენ და უკანონო სიტყვებისა თუ ფორმების ხმარებას უკრძალავს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ იგი გრამატიკას თვლის მართლწერის შესწავლის აუცილებელ წინაპირობად: „გრამატიკის კანონები იმისთვის იწერება, რომ სიტყვიერებაში რიგი დაწესდეს უკმეხობის განმდევნი, ყურთასმენის დამტკობელი და ენის განმაშვენებელი" (ყიფიანი 1982: 61;). იგი აღნიშნავს, რომ ენამ უნდა იდინოს და შეითვისოს ახალ-ახალი, რაც იქნება სწავლისათვის საჭირო, „როგორც მდინარე პატარ-პატარა წყაროებს ითვისებს. მაგრამ სიფრთხილით, წინმხედველობით, გარჩევით, რომ სიგონჯე და უმსგავსოება არ შემოგვეპაროს " (ყიფიანი 1982: 61;).

დ. ყიფიანს მართლწერის საკითხები მორფოლოგიაში აქვს წარმოდგენილი და ნაჩვენები: ქართულში გვაქვს ისეთი სიტყვა (ჭემმარიტება, ბუნება), რომლის ხმარება მრავლობით რიცხვში შეცდომაა. აგრეთვე გვიჩვენებს ისეთ სიტყვებს, რომელთა რიცხვი მრავლობითია, მაგრამ მხოლობითის წესით „ირყევა" (ლოცვანნი, ჟამნი, მარხვანი). საკუთარმა სახელმა, თუ ის მარტივად არის წარმოდგენილი, შეიძლება მიიღოს მრავლობითი რიცხვი და თუ ამ საკუთარ სახელს რაიმე ღირსების ან წოდების გამომხატველი სახელი თან სდევს, მაშინ აღარ შეიძლება მრავლობითი რიცხვის გამოყენება (მარიამ დედოფალი). შეცდომად თვლის "ესეთების", "ცოტების", "ბევრების" ხმარებას. უმჯობესია ვწეროთ "რომელნი" და არა "რომლები"; "სამღვდელონი" და არა "სამღვდელოები".

დ. ყიფიანი მოწიწებით სთხოვს ყველა ქართველს, ისაუბრონ და წერონ სწორად და გამართულად. წერონ "ძმები", "დეები", თუნდაც "ძმანი", "დანნი", მაგრამ არავითარ შემთხვევაში ორივე მრავლობითი ერთად არ შეიძლება _ "ძმანები", "დანები" და ა. შ.

ნაცვალსახელთან "ლა", "ცა", "მე", "ვე" ბრუნვას ხელს არ უშლის, არამედ მას მიჰყვებიან უცვლელად (ვისილა), ზოგი მწერალი ხმარობს უკანონო ფორმას (ვისმეს, რისმეს), ამას ვერ ეგუება დ. ყიფიანი და კიცხავს კიდევ მათ.

სალიტერატურო ენაში თანდებული ხშირად შუა სიტყვაში იყო (მირავიდოდი – რომ მივიდოდი), მაგრამ ახლანდელი ენისათვის მიუღებელია და ეს აღარ იხმარება. თანდებული "ვით" ცალკე აქვს განსაკუთრებულად გამოკვეთილი, რადგან "თავისნება მსახურივით" ხან ერთ ბრუნვას მისდევს, ხან მეორეს. თუ სიტყვა (ი-თ)-ზე ბოლოვდება, მას მოსდევს სახ. ბრ. –კაცივით, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში მიცემითში (მთვარესავით).

დ. ყიფიანისაგან განსხვავებით მართლწერის სწავლებაში მორფოლოგიის როლს გამორიცხავს **პ. კვიციანიძე** თავის სახელმძღვანელოში „ქართული სწარმეტყველება“, „მისი აზრით, ქართულ ენაში მართლწერის წესებს შეიძლება საფუძვლად ედოს კეთილხმოვანების პრინციპი. "ენის კეთილ თუ ავ ხმოვანება დამოკიდებულია მასზედ მოუბრის ერის თვისებითს ხასიათზე, მის ისტორიაზე, ჰავაზე და საერთოდ ბუნებაზე; იქ, სადაც ბუნება ზომიერია, ჰავა კეთილშეზავებულია, ენაც მტკბარია და ყურისთვის საამო თუ ამასთანავე ეს ენა მწიგნობრულადაც არის დამუშავებული."(კაკაბაძე 1962: 35;). ორთოგრაფიული წესების დაცვისაკენ მოუწოდებს **პ. კვიციანიძე**, რათა არ დავაბინძუროთ ენა, როგორც ეს ხშირად ხდება დიალექტებისაგან. ხშირად გავიგონებთ ქართულში – შემომხედვევი, გააკეთვი, რაც შეცდომაა. კვიციანიძე აღნიშნავს, რომ თვით მწერლებსაც კი ერევა ერთმანეთში მართებული და მცდარი ფორმები. წერენ: "იწყობა", "დგა", იმის მაგივრად რომ წერონ "იწყება", "დგას".

ამ სახელმძღვანელოში ვხვდებით კომპოზიტებთან დაკავშირებულ მართლწერის საკითხებს. მართლწერის საკითხები აქვს წარმოდგენილი რიცხვით სახელთან დაკავშირებით.

მართლწერის საკითხები მორფოლოგიის კურსთან მჭიდრო კავშირში აქვს წარმოდგენილი **არ. ქუთათელაძეს** თავის "ქართულ გრამატიკაში". იგი ძირითადად სასწავლო დანიშნულებით იყო შედგენილი, ამიტომაც მართლწერა აქ წინა პლანზეა წამოწეული, მას ამ წიგნში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა. ნაჩვენებია ა-ზე გათავებული სახელების მართლწერის საკითხები. აქვე მოცემულია სავარჯიშოებიც, რომელიც მოსწავლეებს მართლწერის დაუფლებაში ეხმარებათ. გვამღევეს ე-ზე

დაბოლოებული სახელების მართლწერას. მოცემულია მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.

არ. ქუთათელაძე ნათლად აჩვენებს რიცხვითი სახელის ბრუნვასთან დაკავშირებულ მართლწერის საკითხებს და ბოლოს გვაძლევს სიტყვის გადატანის წესებს.

ფონეტიკასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები აქვს წარმოდგენილი **თ. ჟორდანიას** თავის "ქართულ გრამატიკაში." აქ მოცემულია სიტყვის სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანის წესები თავისი მაგალითებითურთ.

იგი გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება ასოთა და მარცვალთა გამოკლება სიტყვაში.

რადგან ზოგჯერ სიტყვა რთული წარმოსათქმელი ხდება ანუ ერთად არის რამდენიმე თანხმოვანი, მაშინ ვაწყდებით იმის საჭიროებას, რომ თანხმოვნებს ხმოვანი დავუმატოთ, ხმოვნებს კი თანხმოვანი. თუ სიტყვაში შეიკრიბა ხმოვნები, მაშინ კეთილხმოვანებისათვის ჩაემატება თანხმოვანი: რ,ვ,ტ,ღრ,დ,მ,ნ. (გემ-რ-იელი – გემო). თანხმოვანი ვ ხშირად წინ უსწრებს ი-ზე დაწყებულ სიტყვებს: ვ-იწრო. ნ კი კეთილხმოვანებისათვის სიტყვის ბოლოში მოუდის (მოშურ-ნ-ე).

საინტერესოა როგორ ჰქონდა გააზრებული ქართული გრამატიკისა და მართლწერის საკითხებზე მუშაობა ქართული სკოლის დიდ რეფორმატორს **იაკობ გოგებაშვილს**.

იგი გრამატიკის სახელმძღვანელოს აგების ძირითად პრინციპად მასალის მეცნიერულობასა და სიზუსტეს თვლიდა. ი. გოგებაშვილის გრამატიკული ხასიათის წერილები ეხება მართლწერასა და ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენას. ქართული ენის გრამატიკის სწავლების საკითხების შესახებ ი. გოგებაშვილის მეთოდოლოგიური შეხედულებანი მისი მოღვაწეობის მთელ მანძილზე ვითარდებოდა. მაგრამ ყველაზე კარგად გამოკვეთილია იგი მის "ქართული ენის მოკლე გრამატიკაში", რომელიც ხელნაწერის სახითაა წარმოდგენილი და დაუსრულებელია. და, რა თქმა უნდა, ყველა საკითხი სხვადასხვა სისრულით არის მასში გაშუქებული.

ი. გოგებაშვილის გრამატიკული ხასიათის შრომებში (მოკლე გრამატიკა) საპატიო ადგილი უჭირავს სიტყვის სწორი ფორმით ხმარების საკითხებს. მას სათანადო მაგალითების ანალიზით გამოჰყავს გრამატიკული განსაზღვრება. გვამღევს მაგალითს, არჩევს მას გრამატიკულად და ყურადღება გადააქვს კითხვა-მიგების ხერხით იმ ნაწილზე, რომლის გარკვევითაც ადგენს სათანადო წესს (გოგებაშვილი 1962: 408;)

ი. გოგებაშვილი მართებული ფორმის დადგენისას გენეტიკური პრინციპების გამოყენების შესაძლებლობებზე მიუთითებს. მნიშვნელობას ანიჭებს აგრეთვე ფონეტიკურ ანალიზს, მაგრამ მისთვის ძირითადია სიტყვის მნიშვნელობითი მხარე. მას არასწორად მიაჩნია, თუ სიტყვის ბგერით შედგენილობაში მომხდარი ცვლილება მას უცვლის მნიშვნელობას, ამგვარი ხმარება, მისი აზრით, უმართებულოა. გარჩეულია აგრეთვე ანდაზა "ჯერ ძილო, მერე სიზმარო. ყურადღების ცენტრშია სიტყვა "სიზმარო", გამოყენებულია კითხვა-მიგების ხერხი. რამდენი მარცვლისაგან შედგება? "მეორე მარცვლის პირველი ასო როგორა ხმაურობს? მოისმის ძ, მინამ ზ: სიმმარი. მაგრამ ამ სიტყვაში რომ ძ ვიხმაროთ, მაშინ მათ ძირად შეიქმნება ძმარ და ეს ხმები არის სრულიად სხვა სიტყვისა: ძმარი. ამიტომ აქ უნდა იწერებოდეს ზ და არა ძ. თორემ სიტყვას თავისი ძირი დაეკარგება, მიიღებს უცხო ძირსა და შეიქნება ნათესავი იმისთანა სიტყვებისა, რომლებთანაც სრულიად არავითარი კავშირი არა აქვს"(გოგებაშვილი 1962: 408). ამ სიტყვის სწორი ფორმის დადგენისათვის მიმართავს ეტიმოლოგიურ პრინციპს.

ი. გოგებაშვილისთვის ამოსავალია მორფოლოგიური, ეტიმოლოგიური გენეტიკური და ლოგიკური თვალსაზრისი. კეთილხმოვანების პრინციპის კრიტიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც მართლწერის ნორმების შემუშავება-დადგენაში, ასევე სკოლაში ორთოგრაფიული ჩვევების ნიადაგზე დაყენების საქმეში.

ი. გოგებაშვილი მართლწერის საკითხებთან დაკავშირებით არ ეთანხმება ს. ხუნდაძის მიერ წარმოდგენილ პროექტს. ქართულ ზმნებში ს-სა და ჰ-ს სრულ გაუქმებას, დნენ-ის მაგიერ დენ-ის ხმარების შესახებ. „ეს კრიტიკა წარმოებდა ლოგიკური პრინციპის პოზიციებიდან და არა თვით ქართული ენის მორფოლოგიური სპეციფიკის

გათვალისწინებიდან, მაგრამ ავტორის მსჯელობა ძირითადად მაინც სწორი იყო" (დლონტი 1950: 103;) – აღნიშნავდა შ. დლონტი.

სწორედ სილ. ხუნდაძის მიერ შედგენილი სასკოლო სახელმძღვანელოთი – „ქართული გრამატიკა პირველდაწყებითი შკოლებისათვის" – ისწავლებოდა ქართული ენა სკოლებში 1912 წლიდან 1920 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში იგი 4-ჯერ დაიბეჭდა.

სილ. ხუნდაძეს ცალკე მართლწერის საკითხები არა აქვს წარმოდგენილი. იგი ამა თუ იმ მასალის შემდეგ გვამღევეს საგულისხმო წესებს „შენიშვნების" სახით. მოცემული აქვს რთულ სიტყვათა მართლწერა. იქვე აკვირდება მაგალითებს: „გულკეთილი, ფერმიხდილი, შავთვალა"... და ავალებს მოსწავლეებს დაადგინონ "რა და რა მარტივი სიტყვისაგან შედგება თითოეული აქ ჩამოთვლილი რთული სიტყვა! კიდევ დაასახელეთ რთული სიტყვების რამდენიმე მაგალითი"(ხუნდაძე 1912: 6). აძლევს სათანადო დეფინიციას: რთული სიტყვა იწერება შუახაზით, როცა სიტყვის თითოეულ ძირს აქვს თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა. აწვდის მაგალითებს: დედ-მამა, და-ძმა; და ამბობს, რომ თუ სიტყვაში გატარებულია ერთი აზრი, ერთად იწერება უდღევისოდ: გულკეთილი, თვალუწვდენელი.

სიტყვის დამარცვლასთან დაკავშირებით აღნიშნავს , რომ "თუ სიტყვაში ხმოვნის წინ ერთი თანხმოვანია, ეს თანხმოვანი ამ ხმოვანს ეკუთვნის"(ხუნდაძე 1912: 7;). იქვეა მაგალითებიც.

ამ პერიოდში იხმარებოდა აგრეთვე სილ. ხუნდაძის სასწავლო სახელმძღვანელო, ქართული გრამატიკა, რომელიც გამოიცა 1904 წელს ქუთაისში. აქ წარმოდგენილია შენიშვნები მართლწერის ზოგიერთი საკითხის შესახებ. ესენია: რთულ სიტყვათა და რიცხვითი სახელის მართლწერა. სახელმძღვანელოს ბოლოში არის მოცემული ქართული ორთოგრაფიის შესახებ წესები ერთად თავმოყრილი. აქ მართლწერას საფუძვლად კეთილხმოვანების პრინციპი უდევს "გამოსათქმელად ადვილი, სმენისათვის საამო"(ხუნდაძე 1904: 140;).

როგორც სილ. ხუნდაძე აღნიშნავს, თანამედროვე ქართული ენა, წინააღმდეგ მველი ენისა, ერიდება ბევრი თანხმოვნის ერთად თავმოყრას.

მისი აზრით, კეთილხმოვანი სიტყვა ადვილი წარმოსათქმელია და სასიამოვნოა სმენისთვისაც. ეს მისი სუბიექტური აზრია, რომელი მიაჩნია კეთილხმოვნად და რომელი არა. ამ საზომს ვერ დაეყრდნობა ენათმეცნიერება, რადგან ენას თავისი კანონები აქვს და მისი დაცვა აუცილებელია.

ამ პერიოდში გამოიყენებოდა **ი. ნიკოლაიშვილის** "ქართული ენის გრამატიკა, რომელიც გამოიცა 1912 წელს და 15 წლის განმავლობაში იხმარებოდა. აგებულია ლოგიკისტური გრამატიკის საფუძველზე დაყრდნობით. ავტორი ამ სახელმძღვანელოს I გამოცემიდანვე დიდ ყურადღებას უთმობდა მართლწერის საკითხების სწავლებას. მას მოცემული აქვს თავის სახელმძღვანელოში სიტყვის დამარცვლისა და გადატანის წესები. აქვე მოცემულია სავარჯიშოები. მოცემულია სახელმძღვანელოში აგრეთვე რიცხვითი სახელის მართლწერის საკითხები. გვაწვდის წესებს და შესაბამის მაგალითებსაც. ცალკე პარაგრაფის ბოლოში წარმოდგენილია სავარჯიშოები. აქ მოცემული სავარჯიშოები ხელს უწყობს მართლწერის ჩვევათა განმტკიცებას. ბოლო წლის გამოცემებში მართლწერის მაგივრად ხმარობს ტერმინს „ორთოგრაფია“. 1927-28 წლის გამოცემებიდან შეამცირა სავარჯიშოების რაოდენობა და გაზარდა თეორიული ნაწილი. მ. თალაკვაძე აღნიშნავს, რომ სახელმძღვანელო აგების პრინციპებითა და მეცნიერულ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ვერ აკმაყოფილებს სკოლის მოთხოვნებს (თალაკვაძე 1975: 34;).

ეს სახელმძღვანელო აგებულია გრამატიკული მასალის დედუქციური გზით მიწოდების პრინციპზე. ჯერ მოცემულია ამა თუ იმ მასალის განსაზღვრა, შემდეგ წარმოდგენილია შესაბამისი მასალა, ანალიზი, სავარჯიშო და მართლწერის ელემენტები.

მ. კელენჯერიძის ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკის I გამოცემა გამოვიდა 1920 წელს, II კი – 1925 წელს ქუთაისში. იგი გათვალისწინებული იყო ყველა ასაკის მოსწავლეთათვის, კერძო, მათთვის, ვინც სხვას ასწავლის, ან თვითონ უშუალოდ სწავლობს ქართულ სწორმეტყველებას/ მართლმეტყველებას. ამ სახელმძღვანელოს I- III

საფეხური განკუთვნილი იყო მცირეწლოვანთათვის (ეპიზოდური – ასე უწოდებდა თვითონ). IV-V – კი მოზრდილთათვის.

სახელმძღვანელო სხვა ქართული ენის სახელმძღვანელოსაგან განსხვავდება მეთოდით. ძველ სახელმძღვანელოში იყო ძველი სქოლასტიკ-დოგმატიკურ-აკროამტიული მეთოდი, უძნელეს გრამატიკულ წესებს თავისი მრავალი შენიშვნებით პირდაპირ, ყოველივე ახსნის გარეშე აწვდიდნენ მოსწავლეებს, რაც მათ სრულ გაუგებრობას უქმნიდა. მ. კელენჯერიძემ სახელმძღვანელოში უარყო ეს მეთოდი და შემოიღო ეროთემატიურ-ანალიზური მეთოდი (კათეხიზურ-ევრისტიკული), რათა მოსწავლეებს გაადვილებოდათ ამა თუ იმ მასალის შესწავლა.

ამ სახელმძღვანელოშია პირველად ასე ფართოდ და გაბედულად წარმოდგენილი მართლწერის საკითხები. ამ შემთხვევაში უმთავრესი საზომი გახლავთ ფონეტიკურ-მორფოლოგიური პრინციპი და ქართული ენის ბუნება-აგებულება. წარმოდგენილია რთული სიტყვების მართლწერის საკითხები §10. იქვე მაგალითებია წარმოდგენილი. პარაგრაფის ბოლოს მოცემულია სავარჯიშო, სადაც კომპოზიტების მცდარი ფორმებია მოცემული და მოსწავლეებს მათი გასწორება ევალებათ. §11-ში წარმოდგენილია ფონეტიკურ მოვლენათა მართლწერა: 1) ქე იმერულია, უნდა იყოს კი. 2) ჩი (მთიულეთ-ჯავახეთი) უნდა იყოს –ში (სახლში). 3) ქ-გ. მოქცეს უნდა იყოს მოგცეს. 4) შ-ჟ ვაშკაცი, უნდა იყოს ვაჟკაცი. 5) ბ-ფ-პ ვაწუხეფ უნდა იყოს ვაწუხებ. 6) თ-ტ ქვიტკირი, უნდა იყოს ქვითკირი. 7) ძ-ზ საბძელი უნდა საბზელი (ბზა) და ა. შ.

სახელმძღვანელოს ბოლოს წარმოდგენილია კავშირთა მართლწერა. მოცემულია სწორი და არასწორი ფორმები და მათი დაპირისპირება. იქვეა ნაჩვენები გამონაკლისებიც.

ამრიგად, სწავლების პირველ ეტაპზე კითხვების მეშვეობით ეცნობოდა კლასი ზოგიერთი მეტყველების ნაწილს სათანადო ტერმინის მოწოდების გარეშე. გრამატიკის სწავლებაში წიგნის ავტორი დიდ როლს ანიჭებს შედარების ხერხს. მისი აზრით, თავისი წიგნი გაუწევდა საზოგადოებას დახმარებას ორთოეპიის შესწავლაში.

1927 წელს გამოდის **ი. ფერაძისა და ი. სიხარულიძის** „ენის დაკვირვება“. წიგნი არ შეიცავს გრამატიკის სისტემურ კურსს, აგებულია კონცენტრულობის პრინციპის მიხედვით. ყოველი მასალა ინდუქციის გზით არის წარმოდგენილი, კერძოდან თანდათან გადადის ზოგადზე. გრამატიკული მასალის შესწავლა იწყება ტექსტზე დაკვირვებით. მოცემულია დასაკვირვებელი მასალა ან "სამუშაო." კითხვებზე პასუხის გაცემით მოსწავლე ეცნობა ამა თუ იმ გრამატიკულ კატეგორიას და ბოლოს დასკვნა და სავარჯიშოებია მოცემული. იგი პირველი სახელმძღვანელოა, რომელიც შედგენილია მეთოდოლოგიური პრინციპებით, მაგრამ აქაც ზოგიერთი ნაკლი იჩენს თავს.

სახელმძღვანელოში ცალკეული დასკვნების მიუხედავად, მართლწერისა და მართლმეტყველების ნორმათა დადგენა და შესწავლა უშუალოდ მინდობილი აქვთ მოსწავლეთა დასკვნებზე, რაც ერთი შეხედვით ხელს უწყობს მოსწავლეებს გამოუმუშაოს დამოუკიდებლად აზროვნების უნარ-ჩვევები. „ენის დაკვირვება“ მიზნად ისახავს საშუალება მისცეს მოსწავლეს თავიდანვე ენის ბუნების დაკვირვებისა, ენის ბუნების დამოუკიდებლად შეგნებისა" (ფერაძე 1927: 4;). მაგრამ ამგვარად მიღებული ცოდნა მყარი ვერ იქნებოდა. რაც შეეხება მართლწერის საკითხებს, კლასების მიხედვით არ არის დალაგებული. ამ სახელმძღვანელოში მართლწერა მხოლოდ ნახსენებია სიტყვის დამარცვლისა და გადატანის წესებთან. მოცემულია კომპოზიტთა მართლწერა. დავალება ასეთია: მოცემულია ორი მარტივი სიტყვა და უნდა შევადგინოთ რთული სიტყვები (ღორი, მუცელი – ღორმუცელა). იქვეა მოცემული ლექსი, რომელიც შეიცავს რთულ სიტყვებს. მოსწავლეებს ავალბენ, აღნიშნონ, რა და რა მარტივი სიტყვებისაგან შედგება ეს რთული სიტყვები. ამ სახელმძღვანელოს შექმნა იყო ცდა, მიეწოდებინათ მოსწავლეთათვის ენობრივი პირველდაწყებითი ცოდნა, რომლის გარეშეც შეუძლებელი იყო ზეპირი და წერიტი მეტყველების სათანადო განვითარება.

1929 წელს გამოდის **ი. სიხარულიძის** "ენის დაკვირვება." ეს სახელმძღვანელო შედგენილია შვიდწლეთისათვის განკუთვნილი გრამატიკისა და ორთოგრაფიის პროგრამის მიხედვით. ორთოგრაფიულ-სტილისტური სავარჯიშოები ცალკეა გამოყოფილი ცალკე სათაურით და გრამატიკასთან მას არავითარი კავშირი არა აქვს.

„მასალები დალაგებულია პროგრამის მიხედვით. აღნიშნული მასალები ამა თუ იმ ჯგუფისათვის დამუშავებული გვაქვს არა ერთად, ზედმიყოლებით, როგორც პროგრამაშია, არამედ გრამატიკული მასალების შიგადაშიგ. ცალკე ორთოგრაფიის სახით გამოყოფილი"(სიხარულიძე 1929: 18;). გამოყოფილია ასე: ორთოგრაფია – წერტილი, წერტილის ინტონაცია, (საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ი. სიხარულიძე ინტონაციაზე მუშაობას საგანგებო ყურადღებას უთმობს). ორთოგრაფია – ორწერტილი ჩამოთვლის წინ, მძიმე ჩამოთვლაში, ბრჭყალები. ორთოგრაფია – ო-თი დაბოლოებული მოტანილი სათქმელი თქვა, მეთქი... ორთოგრაფია – ჩართული სიტყვები..

ამ სახელმძღვანელოში ცალკეა გამოყოფილი ზმნასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები (გან – წარ). ეს სახელმძღვანელო ექვსჯერ გამოიცა და ერთადერთი იყო იგი ა. შანიძის სასკოლო სახელმძღვანელოს გამოსვლამდე.

1935 წელს გამოვიდა ნ. ძიძიგურის წიგნი "ქართული ენა" I და II კლასებისათვის. მასში წარმოდგენილია გრამატიკული სავარჯიშოები თამაშისა და გართობის გზით. ამ სახელმძღვანელოს მიხედვით მეტყველების ნაწილების გაცნობა და დაჯგუფება შინაარსის მიხედვით (აქედან გამომდინარე ორთოგრაფიაც) არ იყო გათვალისწინებული, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ავტორი ცდილობს მოსწავლეებს პრაქტიკულად ასწავლოს ამა თუ იმ სიტყვის მართლწერა.

როგორც ვნახეთ, სხვადასხვა დროს სახელმძღვანელოებად გამოიყენებოდა სხვადასხვა ავტორთა მიერ შედგენილი "გრამატიკები", რომლებიც ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებიან როგორც წმინდა ლინგვისტური, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. "გრამატიკა ბევრი გვაქვს, მაგრამ ვერც ერთი თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს. გრამატიკა მაშინ მოიტანს სარგებლობას, როდესაც ის დაბეჯითებით გვაჩვენებს ფორმებსა და კანონებს, როდესაც მისი კანონი მტკიცეა და შეურყეველი. ჩვენი გრამატიკოსები სწორედ ისე იქცევიან, როგორც ჩვენი მწერლები: ყოველ მათგანს თავისი სულიერი კანონი აქვს, ყოველი მათგანი საკუთრად გამოგონილ ტერმინებს ხმარობს. არ არის მათ შორის თანხმობა და ერთიანობა"(ქართული გრამატიკის ტერმინოლოგია1887: 4;).

ქართული მართლწერის შესწავლა მეცნიერულად სწორ ნიადაგზე აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკის“ (1939 წ) შემდეგ დადგა. ამ წიგნის გამოსვლის შემდეგ შეიქმნა მეცნიერულად მწყობრი სისტემა სკოლაში ქართული ენის სწავლებისა, რამაც თავისი ასახვა, ბუნებრივია, ჰპოვა ქართულ მეთოდოლოგიურ ლიტერატურაშიც.

1939 წელი, აი, სწორედ აქედან იწყება ახალი პერიოდი ქართული ენის სწავლების საქმეში. ქართული ენის მეცნიერული შესწავლისათვის აქტიურად და დაუღალავად მუშაობდნენ ცნობილი მეცნიერები ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია "მათ დაამუშავეს მთელი რიგი პრობლემები და შეადგინეს რამდენიმე სახელმძღვანელო სკოლისათვის"(გუგუშვილი 1977: 26;). 1938 წლის დადგენილებით ა. შანიძეს დაევალა შეედგინა ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო. პირველად სახელმძღვანელო 1939 წელს გამოვიდა ერთ წიგნად, რომელშიც გაერთიანებული იყო ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი. იგი მთლიანად სისტემურობის პრინციპზეა აგებული. ამ გამოცემაში სავარჯიშოები არ არის. შეიქმნა იმის საჭიროება, რომ ორთოგრაფია ცალკე ნაწილად გამოეყოთ. ეს 1948 წელს მოხერხდა IV გამოცემისას. „აკაკი შანიძის სახელმძღვანელოსთვის – აღნიშნავდა ბ. ბათიაშვილი – დამახასიათებელია სწორედ ენობრივი სისადავე, მაგრამ იგი ამ მხრივ პირველი გამოცემიდანვე არ ყოფილა სრულყოფილი, ამისთვის ავტორს გარკვეული შრომა აქვს გაწეული, მაგრამ აქა-იქ ზოგიერთი ხარვეზი ახლაც შეინიშნება"(ბათიაშვილი 1963: 67;)

რაც შეეხება მართლწერის და მართლმეტყველებს ჩვევათა ფორმირებას, იგი სახელმძღვანელოში ცალკეულ გრამატიკულ კატეგორიებთან არის წარმოდგენილი. სავარჯიშოები, თვალსაჩინოება, და სხვა დანარჩენი ცოდნა-ჩვევის მტკიცედ შეთვისებას უწყობს ხელს.

აღსანიშნავია, რომ ა. შანიძის სახელმძღვანელოს I გამოცემიდანვე მართლწერის საკითხების შესწავლას შესაფერი ყურადღება ექცეოდა. სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მართლწერის საკითხებში მომხდარი ცვლილებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ავტორმა პარაგრაფიდან თანდათან გამოყო მართლწერის საკითხები, თავი მოუყარა და პარაგრაფის ბოლოს ადგილი მიუჩინა. ზოგიერთ

პარაგრაფში მართლწერის საკითხები გვიან გამოიკვეთა. მაგ.; რიგობითი რიცხვითი სახელის არაბული ციფრებით გამოხატვა. ზმნის გვარისა და ნიშანმონაცვლე ზმნებთან ზმნებთან მართლწერის საკითხები III გამოცემიდან არის დამატებული. V გამოცემიდან შევიდა სახელმძღვანელოში ქცევასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.

როგორც აღვნიშნეთ, 1948 წელს სახელმძღვანელო გაიყო ორ ნაწილად. გამოცემებს თან სავარჯიშოებიც დაურთეს, რომელთა შედგენაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ი. გიგინეიშვილი, ი. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე. სახელმძღვანელო თანდათან ივსებოდა და იხვეწებოდა. 1962 წელს ამ სახელმძღვანელომ განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა და მას შემდეგ დღემდე იგი ქართულ სკოლებში მშობლიური ენის შესწავლის საქმეს ემსახურება. სახელმძღვანელო გადამუშავდა 2003 წელს მ. შანიძისა და ლ. კვაჭაძის მიერ. განახლებულ სახელმძღვანელოში გარკვეული ცვლილებები შევიდა (რაც გათვალისწინებული იყო ი. გოგებაშვილის სახელობის ეროვნული პედაგოგიკის კვლევითი ინსტიტუტის მიერ შედგენილი პროგრამის მიხედვით); კერძოდ – ზმნა და მასთან დაკავშირებული მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხები ორად გაიყო: ნაწილი შეისწავლებოდა VI კლასში, ნაწილი – VII-ში. ეს კი, მასწავლებელთა აზრით, დიდ სირთულეს უქმნიდა მოსწავლეებს ორთოგრაფიული ჩვევების ფორმირებაში.

ა. შანიძის სახელმძღვანელომ დიდად შეუწყო ხელი დაწყებით (I-IV) კლასებში გრამატიკის ელემენტარული კურსის სწავლებას. „ა. შანიძისეული ინტერპრეტაციები დაედო საფუძვლად დაწყებით კლასებში ქართული ენის გრამატიკის ელემენტარული კურსის შესწავლას“ (მაღლაკელიძე 2004 42). ამ მიზნით შეიქმნა ვ. რამიშვილის „ქართული ენა – გრამატიკა, მართლწერა და მეტყველების განვითარება“. 1944 წელს გამოიცა ეს წიგნი მეოთხე კლასისათვის, 1962 წელს – მესამე კლასისათვის, ცოტა მოგვიანებით კი - 1970 წელს – ასეთი წიგნი გამოიცა მეორე კლასისთვისაც.

ამ სახელმძღვანელოში მართლწერა უშუალოდ უკავშირდება გრამატიკას. ჯერ წარმოდგენილია გრამატიკული მასალა, მას მოსდევს სათანადო მართლწერის საკითხები.

სახელმძღვანელოში ზოგი მასალა წარმოდგენილია სურათებით, ზოგიც – გრაფიკული საშუალებებით. მართლწერის ელემენტრული წესის ახსნა მისაწვდომი ფორმით ხდება, მოსდევს შესაბამისი სავარჯიშოები და თვალსაჩინო მასალა.

ამრიგად, მართლწერის მაღალ დონეზე სწავლებისა და მასთან დაკავშირებული მეტყველების ნაწილების გასავითარებელი სავარჯიშოების გონივრულად ჩატარების სწორ გზს თვითონ სახელმძღვანელო იძლევა.

ამ სახელმძღვანელოთი მორფოლოგიიდან ისწავლებოდა მეტყველების ნაწილთა მნიშვნელობა. მასალა ძირითადად ასე გახლდათ დალაგებული – II კლასში შეისწავლებოდა მეტყველების ნაწილები სათანადო ტერმინების მიწოდების გარეშე: სიტყვა - საგნის აღმნიშვნელი, სიტყვა – საგნის თვისებისა და რაოდენობის აღმნიშვნელი, სიტყვა – საგნის მოქმედების აღმნიშვნელი... ამ ეტაპზე ყურადღების ცენტრში იდგა ამ სიტყვების მართებული ფორმით წარმოთქმა და გამოყენება წინდადებაში, მათი დამარცვლისა და გადატანის წესები. III კლასებში მოსწავლეებს ეძლეოდათ მეტყველების ნაწილთა მარტივი დეფინიციები სათანადო კითხვებით, ხოლო მეოთხე კლასში კი ეცნობოდნენ მეტყველების ნაწილთა ფორმაცვლას: სახელების ბრუნებისა და ზმნის უღლების მარტივ შემთხვევებს. აქვე ფორმაცვლასთან ერთად ეცნობოდათ მართლწერის სათანადო შემთხვევებიც: ორი მ-სა და ორი ს-ს მართლწერა, ვით. ბრუნვის დაბოლოება -ად (სახელების ბრუნებისას), ორი ვ-. უ-ს წინ ვ- (ზმნების უღლებისას)...

„გრამატიკის, მართლწერისა და მეტყველების განვითარების“ სახელმძღვანელოში სავარჯიშოები საგანგებოდ არის შერჩეული და გარკვეული სისტემით არის დალაგებული. სწავლება მიმდინარეობს ინდუქციის გზით, ევრისტიკული მეთოდებით და გამოიყენება აქტიური ხერხები (შეპირისპირების, კითხვის, გრამატიკული გარჩევის..) ყველაფერს ამას მოსდევს სავარჯიშოები და დავალებები. ამ სახელმძღვანელოში თეორიული და პრაქტიკული საკითხები განაწილებულია სიმარტივე-სირთულის მიხედვით. ჯერ თეორიული საკითხებია წარმოდგენილი, შემდეგ მასთან დაკავშირებული მართლწერის პრაქტიკული საკითხები და სავარჯიშოები.

სავარჯიშოები არის: კითხვებზე პასუხი, დაუსრულებელი წინადადებების დასრულება, ერთგვარ საგანთა დაჯგუფება, მართებულ ფორმათა ჩასმა და ა.შ.

უკვე წლებია (2004 წლიდან) პირველი-მეოთხე კლასების მოსწავლეები ქართული მართლწერის შესწავლისას აქტიურად იყენებენ **ნ. მაღლაკელიძისა და ც. ყურაშვილის** დამხმარე სახელმძღვანელოს “ჩვენი ენა ქართული”. აქ წარმოდგენილია არა მარტო გრამატიკის ელემენტარული კურსი გრამატიკული ცნებებით, არამედ მართლწარმოთქმის, მართლწერის, სტილისტიკის, პუნქტუაციის, ზეპირი და წერიტი მეტყველების განვითარების საკითხები. დიდი ადგილი ეთმობა სავარჯიშოებს, რომლებიც ავითარებს წერისა და ზეპირმეტყველების უნარს. ყოველ გრამატიკულ წესს მოსდევს სავარჯიშოები ორთოგრაფიასა და ორთოეპიაში. ჩვევათა გამომუშავებისათვის პირველ რიგში მართლწერის წესების მტკიცედ დაუფლებაა საჭირო. სახელმძღვანელოში მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხები კლასების მოხედვით თანდათან რთულდება. ისინი სახელმძღვანელოში წარმოდგენილია დიდაქტიკის პრინციპის მიხედვით, და, რაღა თქმა უნდა, მეთოდოლოგიურ მოთხოვნებზე დაყრდნობით. მასალა მოსწავლეებს ინდუქციის გზით მიეწოდებათ. იწყება შესწავლილი მასალის ანალიზით, გრძელდება ანალოგიური მაგალითების მიწოდებით, ნაწილ-ნაწილ თანდათანობით ითვისებენ ამა თუ იმ საკითხებს. ბოლოს ეძლევათ მთლიანი განსაზღვრება. ამას მოსდევს სავარჯიშოები ორთოეპიასა და ორთოგრაფიაში.

I კლასიდანვე იწყება მართლწერის საკითხების გაცნობა წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ. როცა უკვე მოსწავლეები შეისწავლიან წერა-კითხვას, იწყება მცდელობას მართლწერის ელემენტარული საკითხების დაუფლებისა. ვარჯიშობენ ზეპირადაც, მაგრამ სპეციალური წერიტი სავარჯიშოების გარეშე შეუძლებელია მართლწერის ჩვევათა დაუფლება. I კლასში ეძლევათ სახალისო სავარჯიშოები. მოსწავლეები მოცემული მაგალითების მიხედვით ადგენენ მარცვლებისაგან სიტყვებს. ახალი სიტყვების მიღება ხდება წინა მარცვლების შეცვლით, ბოლო მარცვლის შეცვლით. ევალებათ ტექსტში მოძებნონ და ამოკრიფონ ის სიტყვები, რომელთაც ერთნაირი აქვთ პირველი ორი მარცვალი, რომლებიც ბოლოვდებიან ერთნაირი მარცვლით და ა. შ.

ემლევათ სიტყვათა მართებული წარმოთქმისათვის ენის გასატეხი. მარცვლების გამოყენებით ახალი სიტყვების შედგენა, იქვეა რებუსებიც, რომლებიც მოითხოვს მარცვლების გამოყენებით ახალი სიტყვების შედგენას: კავკ(100)ა. II კლასში ხდება მარცვლის და სიტყვის გადატანის წესების გაცნობა. მეტყველების ნაწილები მიეწოდებათ სათანადო ტერმინების გარეშე. III კლასში თანდათან რთულდება მარცვალთან დაკავშირებული საკითხების გაცნობა. არის სათანადო მაგალითებიც, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს მართლწერის ჩვევების გამომუშავებაში. მეტყველების ნაწილთა გაცნობა ხდება ახლა უკვე სათანადო ტერმინების მიწოდებით. IV კლასი წინა კლასებში ნასწავლი მასალის გამეორებით იწყება. მორფოლოგიის გაცნობასთან ერთად სწავლობენ მასთან დაკავშირებულ მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხებს. არსებით სახელთან ორი მ-ს, ს-ს ხმარების შემთხვევებს. აგრეთვე ზმნის სწავლებასთან დაკავშირებულ მართლწერის საკითხებს: ორი ვ-ს და ვ-ს ხმარება უ-ს წინ. მართლწერის საკითხებს ვხვდებით თანდებულებთან –ორი ზ-ს, თ-ს, შ-ს შემთხვევებს. ამრიგად, გრამატიკის ელემენტარულ საკითხებზე დაყრდნობით ხდება სათანადო სამეტყველო უნარ-ჩვევებზე მუშაობა. ამ სახელმძღვანელოში გრამატიკული მასალა კონცენტრულობის მიხედვით არის დალაგებული, რადგან მოსწავლეთა ცნებითი განზოგადების უნარის შედარებით დაბალი დონის გამო მათ უჭირთ მასალის სისტემური კურსის შესწავლა. აქ მასალის განაწილებას დიდაქტიკის პრინციპი ედება საფუძვლად და ასევე ითვალისწინებენ ფსიქოლოგიურ მონაცემებს. საუბრის მეთოდს ანიჭებენ უპირატესობას, ამ მეთოდით ახსნილი მასალა უფრო ადვილად ამახსოვრდებათ მოსწავლეებს.

2001 წელს გამოდის ა. არაბულის "ქართული ენის სამყარო", რომელიც განკუთვნილია V და VI კლასის მოსწავლეთათვის. ეს სახელმძღვანელო ძირითადად იმ მოსწავლეთათვის გახლავთ განკუთვნილი, რომლებიც წინა კლასებში ქართულ ენას ვ. როდონაიას, ნ. ნაკუდაშვილის, ა. არაბულის, მ. ხუციშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოებით სწავლობდნენ. მას თან ახლავს მოსწავლის რვეული, სადაც წარმოდგენილია ტესტები და სავარჯიშოები. სახელმძღვანელო რამდენიმე თავისაგან შედგება. აქ მართლწერის საკითხები ცალ-ცალკე პარაგრაფის ბოლოშია წარმოდგენილი.

მართლწერის საკითხების შესწავლა სათანადო გრამატიკულ მასალასთან კავშირში უადვილებს მოსწავლეებს კონკრეტულ შემთხვევაში სათანადო პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. V კლასში ხდება ძირითადად დაწყებით კლასებში ნასწავლი მასალის გამეორება და გაღრმავება. სახელმძღვანელოს III თავში წარმოდგენილია რთულ სიტყვათა მართლწერა და მოყვანილია ისეთი რთული სიტყვები, რომლებიც იწერება როგორც დეფისით, ასევე უდეფისოდ. ამ პარაგრაფის ბოლოს წარმოდგენილია გასათვალისწინებელი წესები მართლწერისა. მართლწერის საკითხები წარმოდგენილია ბრუნვის ნიშნებთან (ორი მ-სა და ორი ს-ს შემთხვევები). გვაქვს რიგობით რიცხვით სახელთან დაკავშირებული ორთოგრაფიის საკითხები.

V კლასიდან ენის კურსი სისტემატური პრინციპით შეისწავლება (სისტემატურობის პრინციპი გულისხმობს მასალის თანმიმდევრულ, სისტემურ დალაგებას). ეს სახელმძღვანელო შედგენილია მოსწავლეთა გონებრივ და ასაკობრივ შესაძლებლობათა გათვალისწინებით. სავარჯიშოები მრავალფეროვანია, სათანადოდ არის გათვალისწინებული განმავითარებელი და პრობლემური სწავლების პრინციპები. მოსწავლეს მასალას ვაწოდებთ ინდუქციის გზით, შესაბამისი მაგალითებით. ბოლოს განსაზღვრება ეძლევათ მოსწავლეებს და ჩვევათა განმტკიცებისათვის სავარჯიშოებიც არის წარმოდგენილი. სახელმძღვანელოს მთავარი მიზანია, გრამატიკული წესის ახსნით მისაწვდომი გახადოს მოსწავლეთა მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხები თვალსაჩინოების ფართოდ გამოყენებით.

თ. ბოლქვაძის და ე. აფხაზავას „ქართული ენის“ V - VI კლასის სახელმძღვანელოები 2004 წლიდან გამოდის. მასში წარმოდგენილია ფონეტიკისა და მორფოლოგიის საკითხები და მასთან დაკავშირებული მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხები. "ფონეტიკა და გრაფიკა" –ამ თავში წარმოდგენილია მარცვალი და დამარცვლის წესები, სიტყვათა გადატანის წესები და ცალკე პარაგრაფში არის წარმოდგენილი წარმოთქმა და წერა. ამ საკითხთა სწავლება დედუქციური გზით ხდება. ჯერ სათანადო გრამატიკული წესი ისწავლება და შემდეგ ხდება კონკრეტული მაგალითების ანალიზი. ბოლოს მოცემულია მრავალფეროვანი სავარჯიშოები.

- დამარცვლეთ მოცემული სიტყვები.
- შეადგინეთ სიტყვები ღია და დახურული მარცვლების დაწყვილებით.
- დამარცვლეთ მოცემული სიტყვები და მარცვალთა ჩამოშორებით მიიღეთ სხვა მნიშვნელობის სიტყვები.
- დაყავით გადასატანად სიტყვები.
- შეადგინეთ სამბგერიანი სიტყვები.
- დაიყოფა თუ არა მოცემული სიტყვები.
- წარმოთქვით და წერეთ სწორად მოცემული სიტყვები.
- დაწერეთ და წარმოთქვით სიტყვები, დაუკვირდით, ემთხვევა თუ არა ერთმანეთს ბგერებისა და ასოების რაოდენობა და ა.შ.

ამის შემდეგ მორფოლოგია და მასთან დაკავშირებული მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხები განიხილება. ესენია: რთული სიტყვების მართლწერა, ხმოვანფუძიან სახელთა მართლწერა, თანხმოვანფუძიან სახელთა მართლწერა, თანდებულიანი სახელების მართლწერა, ზედსართავი სახელების ფორმათა მართლწერა და რიცხვითი სახელის მართლწერა. ყოველი დასახელებული პარაგრაფის ბოლოს წარმოდგენილია გონივრული სავარჯიშოები, არის როგორც ტრადიციული, ასევე შემოქმედებითი სახის წერითი სავარჯიშოები. სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სავარჯიშოები ემსახურება სწავლებაში ცოდნის მტკიცედ დაუფლების, შეგნებულობისა და აქტიურობის პრინციპს. სახელმძღვანელოში გამოყენებულია თვალსაჩინოება (იგი დამოკიდებულია მასალის ხასიათზე), რომლის დახმარებითაც მოსწავლეებს უადვილდებათ მასალის ათვისება და დამახსოვრება. ბოლოს არის ტესტები ცოდნის შესამოწმებლად.

ამრიგად, ეს სახელმძღვანელო ძირითადად ემყარება შემდეგ პრინციპებს;

1. სახელმძღვანელოში გრამატიკული მასალა წარმოდგენილია მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობით.
2. შესასწავლი მასალის მიწოდების ძირითად გზად გამოყენებულია დედუქცია.

3. მასალა წარმოდგენილია სისტემურობის პრინციპით.

4. წარმოდგენილია მრავალფეროვანი სავარჯიშოები, რომლებიც გამოიყენება მოსწავლეთა ავტომატიზირებული ჩვევების გამომუშავებისათვის. გამოყენებულია თვალსაჩინო მასალა.

ნ.მაღლაკელიძის და მ. ტაბიძის „მშობლიური ენა“ (V კლასი) და ნ.მაღლაკელიძის, მ.ტაბიძისა და თ. კვაჭაძის „მშობლიური ენის“ დამხმარე სახელმძღვანელოები გამოიცა 2011 და 2012 წლებში. წინა პლანზეა წამოწეული მართლწერის ჩვევათა ფორმირების საკითხები. ამ ცოდნას საფუძლვად ედება პირველ რიგში თეორიული მასალის გააზრება და ხანგრძლივი ვარჯიში. დიდი ადგილი ეთმობა სავარჯიშოებს, რომლებიც მიმართულია წერისა და ზეპირმეტყველების უნარის განვითარებისაკენ. მართლწერის ჩვევათა ფორმირება ხდება ტექსტების აგების პროცესში.

ამჟამად ქართული ენა დაწყებითი სკოლის ექვსივე კლასში ლიტერატურულ მასალასთან ინტეგრირებულად ისწავლება. ენობრივი მასალა ლიტერატურულ ტექსტებთან მჭიდრო კავშირში ეცნობა. ამის გამო ენის (მართლწერის) სახელმძღვანელო ცალკე აღარ მოიაზრება. სხვადასხვა ავტორების მიერ შედგენილ „ქართული ენისა და ლიტერატურის“ ინტეგრირებულ სახელმძღვანელოებში კი მართლწერის საკითხთა მოცულობა განსხვავებულია, განსხვავებულია მისი დამუშავების მეთოდიკაც. თუ ავტორთა ერთი ნაწილი მართლწერის ჩვევათა ფორმირებას გრამატიკულ მასალასთან მჭიდრო კავშირში განიხილავს (ნ. მაღლაკელიძე, ნ. ღონღაძე, „ქართული ენა და ლიტერატურა“, მეხუთე და მეექვსე კლასების სახელმძღვანელოები, გამომც. „მერიდიანი“, თბ. 2011-2012 წლები), ავტორთა მეორე ჯგუფი ვ. როდონაია, ნ. ნაკუდაშვილი, ა. არაბული, მ. ხუციშვილი „ქართული ენა და ლიტერატურა“, მეხუთე და მეექვსე კლასების სახელმძღვანელოები, გამომცემლობა „სწავლანი“, 2011-2012 წლები – მართლწერის ჩვევათა ფორმირების პროცესში საერთოდ გამორიცხავს გრამატიკის (კერძოდ მორფოლოგიის) როლს და უპირატესობას პრაქტიკულ ვარჯიშს ანიჭებს.

ბ) პროგრამები

უძველესი ქართული პროგრამები ჩვენამდე არ არის მოღწეული. XIX საუკუნის ქართული ენის სასწავლო პროგრამები, თითქმის ყველა, ხელნაწერის სახით არის წარმოდგენილი. ძველად მას თვითონ მასწავლებლები ადგენდნენ საკუთარი პედაგოგიური გამოცდილებებითა და შეხედულებებით. „პროგრამა არის მასწავლებლის მეგზური, რომელიც სწავლების ძირითად მიმართულებებსა და შინაარსს განსაზღვრავს“ (გაბეჩავა 1971:). განსაზღვრავს აგრეთვე შესასწავლი მასალის მოცულობასა და შინაარსს. პროგრამა აძლევს სახელმძღვანელოს ძირითად მიმართულებას და საზღვრავს მისი აღნაგობის ხასიათს.

XIX საუკუნის 70-იან წლებში შეიზღუდა მშობლიური ენის სწავლება. 1873 წლის 22 ნოემბერს შეიმუშავეს და დაამტკიცეს დებულება, რის საფუძველზეც ქართული ენა რჩებოდა პირველ ოთხ კლასში და ისიც არასავალდებულო საგანი. ყველა სახალხო სკოლის პროგრამა „ერთგვარი იყო მაშინ თფილისის გუბერნიის სკოლათა დირექტორის სტრელეცკის ცნობის მიხედვით“ (ხუნდაძე 1951: 84;).

1886 წელს შეიქმნა ქუთაისის ოლქის სახელობის ქალთა ოთხკლასიანი სასწავლებლის ქართული ენის პროგრამა, სადაც იყო მითითებული, რომ “ქართული ენის სწავლების მიზანი სხვა საგანთა შეთვისების გაადვილებაა, განსაკუთრებით კი რუსულისა” (საქ.სახ.ცენტრალური არქივი ფონდი 422:). პროგიმნაზიული კლასების ქართული ენის პროგრამები უფრო სისტემაშია მოყვანილი და უფრო მოწესრიგებულია. მასში წარმოდგენილია მორფოლოგიასა და სინტაქსთან ერთად მართლწერის საკითხები.

დაწყებითი კლასის ქართული ენის უძველეს ნაბეჭდ პროგრამად მიჩნეულია “ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სანიმუშო პროგრამები”. იგი გამოიცა 1910 წელს საზოგადოების მთავარი გამგეობის მიერ. ეს იყო „საცდელი“ პროგრამა მასწავლებელთა სახელმძღვანელოდ. ამ პროგრამის მიხედვით I-II წელს ნიადაგი მზადდებოდა მარტივი გრამატიკული ცნებების გაცნობისათვის, III განყოფილებიდან კი ეცნობოდათ მოსწავლეებს გრამატიკის ელემენტები. ამ პროგრამით

ყველაზე საუკეთესო სახელმძღვანელოდ მიჩნეულია ს. ხუნდაძის “ქართული გრამატიკა.”

თბილისის ქართველი სათავადაზნაურო კერძო გიმნაზიის მოსამზადებელი განყოფილების პროგრამა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლების მსგავსად II მოსამზადებელი განყოფილებიდან იწყებს გრამატიკული ჩვევების გამომუშავებას პრაქტიკული გზით. ორთოგრაფიული საკითხები თვით საგრამატიკო მასალაში იყო ჩართული. სახელმძღვანელოდ მითითებულია ს. ხუნდაძის “ქართული გრამატიკა პირველდაწყებითი სკოლებისათვის”.

1919 წელს გამოდის დროებითი პროგრამა პირველდაწყებითი სახალხო სკოლებისათვის, რომელსაც ერთვის ლ. ბოცვაძის მეთოდური მითითებები. ამ პროგრამის მიხედვით მიწოდებული მასალა უნდა ითვალისწინებდეს პედაგოგიკის მოთხოვნებს. იგი სკოლის ოთხ კლასს მოიცავს და აკმაყოფილებს მაშინდელი პედაგოგიკისა და ცხოვრების მოთხოვნილებებს. ამ პროგრამაში გათვალისწინებულია ამ ასაკის ბავშვის გონებრივი შესაძლებლობანი.

ქართული ენის პროგრამის I განყოფილება საანზანო პერიოდს მოიცავს. აქვე არის სავარჯიშოებიც, რომლის მეშვეობით მოსწავლეები პრაქტიკულად ეჩვევიან მართლწერის საკითხებს – სიტყვის გადატანის წესებს, ხოლო III განყოფილებაში ტარდება პრაქტიკული ვარჯიში მართლწერასა და მართლმეტყველებაში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნა მოჰყვა. დღის წესრიგში დადგა ახალი ცხოვრების შესაბამისი პროგრამები და სახელმძღვანელოების შექმნის აუცილებლობა. მაშინვე შეიქმნა მთლიანი შრომის სკოლები. სასწავლო პროგრამებსაც სათანადო ყურადღება დაეთმო.

1921 წლიდან რამდენიმე წელი სკოლებში ქართული ენის გრამატიკა ცალკე საგნად არ ისწავლებოდა. მხოლოდ VII-VIII წელს აწვდიდნენ რაღაც ცნობებს გრამატიკიდან საკითხავ მასალასთან ან სალაპარაკო ფორმებთან ერთად. ამ პერიოდში აქტიურად ქვეყნდებოდა სტატიები ჟურნალ-გაზეთებში მასწავლებლების მიერ,

რომლებიც აუცილებლად მიიჩნევდნენ ქართული ენის გრამატიკის კურსის შემოღებას სკოლაში.

მთლიანი 8 წლიანი შრომის სკოლის პროგრამა 1921 წელს გამოიცა, რომელიც განკუთვნილი იყო შრომა-მოქმედების მთლიანი სახალხო სკოლის პირველი 8 წლიანი სკოლისათვის. ეს პროგრამები სპეციალისტების ხანგრძლივი ფართო კორექტული მუშაობის შედეგი იყო. ძირითადად ენის სწავლების მიზანი იყო მოსწავლეებს შეესწავლათ “მეტყველად გამოთქმა თავის დედა ენაზედ”(მთლიანი რვაწლიანი შრომის სკოლის პროგრამა 1921).

„მთლიანი შრომის სკოლის პროგრამები” და მეთოდური წერილები (V-VI-VII კლასებისათვის) 1928 წელს გამოდის. პრაქტიკურად პირველი სასწავლო პროგრამაა, რომელშიც ქართული ენის გრამატიკის საკითხები წარმოდგენილია ჯგუფების მიხედვით. ყოველი კლასისთვის ცალკეა გამოყოფილი მართლწერის საკითხები.

ეს პროგრამები მრავალმხრივ არის საინტერესო. მის განმარტებით ბარათში მითითებულია იმ ცოდნა-ჩვევებზე, რომლებსაც უნდა დაეუფლოს მოსწავლე და უნდა იყენებდეს პრაქტიკულ ცხოვრებაში. იგი “უნდა ერკვეოდეს მშობლიური ენის გრამატიკულ მოვლენებში. მოსწავლეს უნდა შეეძლოს ლიტერატურულ და ენობრივ ჩვევათა პრაქტიკულად გამოყენება”(მჭედლიშვილი 1958: 3;).

პროგრამაში ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი გამოყოფილიადაა წარმოდგენილი. სწავლების დროს ამ დარგების მოვლენები ცალ-ცალკე კი არ განიხილება, არამედ ერთმანეთთან დაკავშირებით თითოეული ჯგუფის პროგრამაში ცალკე თავად არის წარმოდგენილი ორთოგრაფიული საკითხები. დიდი ყურადღება ეთმობა მართლწარმოთქმას.

1928-45 წლებში გამოდის ბევრად უკეთესად შედგენილი პროგრამები. 1932 წელს გამოვიდა პროგრამა საქართველოს სკოლებისათვის. აქ ენობრივი მასალები მოცემულია არა მარტო მშრალი წესებით, არამედ ენობრივ ნორმებს თან ახლავს განმარტებაც. დიდი ყურადღება ეთმობა მართლწერასა და მართლმეტყველებას. აქ აღნიშნულია, რომ მარტო

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები კი არა, სკოლის მთელი კოლექტივი ვალდებულია ყურადღება მიაქციოს მოსწავლეთა მართლწერასა და მართლმეტყველებას.

1931 წელს მაშინდელმა ცენტრალურმა კომიტეტმა ლიკვიდაცია უყო პროექტულ პროგრამებს, დაიწყო ბრძოლა ახალი პროგრამების დასამუშავებლად.

ქართული ენის პროგრამებში ბრძოლა ლოგიცისტურ და ფორმალისტურ მიმდინარეობას შორის ბრძოლა გაიმართა. ქართული ენის პროგრამა 1932 წლის 25 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე დამტკიცდა. ყოველი პრაქტიკული საკითხი, კერძოდ, ორთოეპია–ორთოგრაფია და სასვენი ნიშნების სწავლება გაშუქებულია თეორიულად ისტორიული პერსპექტივის დაცვით. მართლწერისა და მართლმეტყველების მიზნით პროგრამაში წარმოდგენილია კუთხური გამოთქმები, რომელებიც სალიტერატურო ენაში შეინიშნება. ამ პროგრამის შედგენაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, ი. სიხარულიძემ.

1933 წელს განათლების სასწავლო მეთოდური სექტორის ხელმძღვანელობით შემუშავდა სკოლის პროგრამები, სადაც დაწყებით კლასში ენის სწავლება გამოიყენებოდა პრაქტიკული საკითხების გადასაჭრელად”(დაწყებითი სკოლის პროგრამები 1933:). დაწყებითი სკოლის პროგრამის დანიშნულებაა მოაწესრიგდეს მოსწავლეთა ის სიტყვიერი მარაგი, რაც მათ გააჩნიათ, მოსწავლეებს გამოუმუშაონ ჩვევები “სწორი ენით წერისა” და სწორი მეტყველებისა. პროგრამაში (დაწყებითი სკოლის პროგრამა 1935) გათვალისწინებულია: კითხვა, წერა, ზეპირი მეტყველების განვითარება, გრამატიკა, მართლწერა. ძირითადია ყველა კლასში წერა-კითხვის დაუფლება, ხოლო სწორმეტყველებისა და მართლწერის დაცვა მჭიდრო კავშირშია საწერ და საკითხავ მასალასთან. “ყველა ასოს გაცნობას წინ უძღვის სიტყვა-გამოთქმის გამოყენება საუბარში, რომელიც ამ ბგერა-ასოსთან დაკავშირებით არის ნახმარი”(დაწყებითი სკოლის პროგრამები 1933: 4:). აუცილებელია, წინადადებებზე ვარჯიშის დროს ყურადღება გამახვილდეს მის სწორ წარმოთქმაზე. II კლასში ხდება სიტყვის მართლწარმოთქმაზე ვარჯიში. III კლასში კი მოსწავლეები ეცნობიან სიტყვის დამარცვლას, გადატანას და მასთან დაკავშირებულ მართლწერის წესებს. IV კლასში კი არსებით სახელთან და

ზმნასთან დაკავშირებით არის წარმოდგენილი ორთოგრაფიისა და ორთოეპიის საკითხები.

1940 წლიდან ხელახლა გადამუშავდა პროგრამები ა. შანიძის სასკოლო გრამატიკის შექმნასთან დაკავშირებით. აქ სასწავლო მასალა უფრო სისტემურობის პრინციპით არის დალაგებული. დროთა განმავლობაში სკოლა იცვლიდა სახეს და ამასთანავე იცვლებოდა სკოლის პროგრამები. სკოლის ტიპთა შესაბამისად იქმნებოდა პროგრამები განსხვავებული შინაარსით.

პროგრამას, რომელიც 1941 წელს გამოიცა, მეთოდური მითითებაც ახლავს თან. სწავლების მიზანი იყო, მსმენელისათვის მიეცათ სწორი მეტყველებისა და მართებული წერის ჩვევები. პროგრამაში „დიდი ყურადღება ეთმობა მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხებს“ (პროგრამა 1941: 4). 1946 წელს საქართველოს სკოლებში თერთმეტწლიან სწავლაზე გადასვლასთან დაკავშირებით გრამატიკის კურსი გადანაწილდა ოთხ წელზე, პროგრამის რედაქტორი გახდათ უშ. ობოლაძე.

1956 წლიდან ისევ გაუქმდა თერთმეტწლიანი სწავლების კურსი და აღდგა ათწლიანი სწავლების პერიოდი. ქართული ენის პროგრამა შემცირდა, თუმცა არ გამარტივებულა. იგი შედგენილი იყო ა. შანიძისეული კონცეფციის მიხედვით. ამ პროგრამის მიხედვით ქართული ენა ცალკე დისციპლინად ისწავლებოდა მე-5-მე-8 კლასებში. მართლწერის საკითხების სწავლება გათვალისწინებული იყო მორფოლოგიის საკითხებთან მჭიდრო კავშირში V-VI კლასებში, ხოლო პუნქტუაციის საკითხებისა კი VIII-IX კლასებში სინტაქსთან ერთად. მართლწერიდან მეტყველების ნაწილებთან დაკავშირებით ეცნობოდა ბრუნვის ნიშანთა მართლწერა, კუმშვა და კვეცა, საკუთარ სახელთა ბრუნება, კომპოზიტთა მართლწერა, ზმნის პირის ნიშნები, თემის ნიშნების მართლწერა, გვართან, ქცევასთან, კონტაქტთან დაკავშირებული ორთოგრაფიულ საკითხები. ასევე საგანგებო ყურადღება ეთმობოდა ფორმაუცვლელ მეტყველების ნაწილებთან დაკავშირებულ ორთოგრაფიულ საკითხებს. ასე გაგრძელდა 1970 წლამდე.

1969 წელს საქართველოს ზოგიერთ რაიონში მოსამზადებელი კლასების შემოღებასთან დაკავშირებით გაჩნდა ორი ტიპის დაწყებითი სკოლა: **ოთხწლიანი** _

მოსამზადებელი, პირველი, მეორე, მესამე კლასები, და **სამწლიანი**: პირველი, მეორე მესამე კლასები. IV კლასი გამოეყო დაწყებით სკოლას. ამის გამო ზედა საფეხურზე ქართული ენის სასწავლო კურსი გადანაწილდა ხუთ წელზე მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8 კლასებში. 1970 წლიდან ამ სკოლებისათვის გამოდის ახალი პროგრამები და სახელმძღვანელოები, რომლებიც ატარებდნენ განმავითარებელი სწავლების იდეას. განმავითარებელი სწავლა გულისხმობს დედა ენის სწავლების ისეთ დონეს, როცა წარმატებით ხორციელდება ახალი პროგრამით დასახული აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო მიზნები, მოსწავლე იარაღდება დედა ენის ბუნება აგებულების თეორიული ცოდნით”(რამიშვილი 1982: 7;).

პროგრამის მიზანი იყო, მიეცა მოსწავლისათვის საფუძვლიანი ცოდნა ფონეტიკის, ლექსიკის, ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის სწავლებისას. მე-4 კლასიდან ქართული ენის სისტემატური კურსის შემოღებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია პროგრამაში მასალის მოცულობისა და გადანაწილების თვალსაზრისით. ისწავლებოდა მეტყველების ნაწილები და მასთან დაკავშირებული ორთოგრაფიული საკითხები, რაც ხელს უწყობდა სწორი მეტყველების გამომუშავებას. ამ პროგრამის ავტორების აზრით, ორთოგრაფიული წიგნიერების დონის დაუფლებისას მარტივი გრამატიკული წესების დასწავლა I კლასის II სემესტრიდან არის შესაძლებელიც და სასარგებლოც. ეს პროგრამა მოითხოვს პრაქტიკული ვარჯიშის გზით გრამატიკამ გაუცნობიეროს ბავშვს ენობრივად სწორი ფორმების აზრობრივი შინაარსი. დედაენის პროგრამის გრამატიკული ნაწილიდან კარგად ჩანს ასეთი მოთხოვნა, რაც უფრო კარგად შეისწავლიან მოსწავლეები გრამატიკულ წესებს, მით “უფრო წარმატებით ხდება მათში ორთოგრაფიული ჩვევების ფორმირება”(ობოლაძე 1972:).

1981 წლიდან მოსამზადებელი კლასი გადაკეთდა პირველ კლასად და 2006 წლამდე საქართველოს მასშტაბით ყველგან მხოლოდ ოთხწლიანი დაწყებითი სკოლა ფუნქციონირებდა.

ოთხწლიანი დაწყებითი კლასების ქართული ენის ახალ პროგრამაში ცალკე თავად არის გამოყოფილი “გრამატიკა, მართლწერა და მეტყველების განვითარება”. პროგრამაში

ფონეტიკა, მორფოლოგია, სტილისტიკა და სხვა საკითხები კლასების მიხედვით ოთხ განყოფილებაშია გაერთიანებული. 1) „ბგერა ასო,” 2) „სიტყვა,” 3) წინადადება,” 4) „გაბმული მეტყველება.” თითოეულ ამ თავს კლასების მიხედვით სათანადო თეორიული და პრაქტიკული ხასიათის საკითხები მოსდევს. ახალი პროგრამის განმარტებით ბარათში საუბარია იმაზე, რომ ამ პროგრამით სწავლება ინტენსიურად შეუწყობს ხელს „ბავშვის შემეცნებითი ინტერესის ამღლებას, ამასთან ერთად შექმნის საიმედო თეორიულ ბაზას – მტკიცედ დაეუფლონ მოსწავლეები მართლწარმოთქმისა და მართლწერის ელემენტარულ წესებს”(პროგრამა 1972: 20;). აქ რამდენადმე გამარტივებულია მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხები, შემცირდა თეორიული დებულებები და გაძლიერდა გრამატიკისა და მართლწერის საკითხების პრაქტიკული მიმართულებით სწავლების მოთხოვნილება.

1984 წელს გამოდის რვაწლიანი და საშუალო სკოლის პროგრამები. ეს პროგრამა შედგენილია ქართული ენის წინათ მოქმედი და რუსული ენის ტიპობრივი პროგრამების საფუძველზე. იგი დიდად განსხვავდება ძველი პროგრამებისაგან სტრუქტურულადაც და შინაარსობლივადაც. დიდი ყურადღება ექცევა ენის პრაქტიკულ მხარეს. ზოგი საკითხი გამარტივებულია, თანმიმდევრობა დაცულია. ქართული ენის სასკოლო კურსი სამი ძირითადი განყოფილებისაგან შედგება:

- 1) ძირითადი ცნობები ქართული ენისა და მართლმეტყველების შესახებ.
- 2) ზეპირი და წერიტი მეტყველების განვითარება.
- 3) მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევებისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნები.

მიუხედავად ამ განცხადებისა, ამ პროგრამის ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ იგი მასალის მოცულობითა და გადანაწილებით დიდად არ განსხვავდება წინა წლებში (1981-1983 წ.წ) გამოცემული პროგრამებისაგან.

დაწყებითი სკოლისათვის პროგრამა ქართულ ენაში (I-IV კლასები) 1987 წლის შემდეგ აღარ გამოცემულა. 1987 წელს გამოცემული პროგრამით ისწავლებოდა მშობლიური ენა 2006 წლამდე, ხოლო 2006 წელს კი სასკოლო განათლებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, რაც პირველ რიგში ეროვნულ სასწავლო გეგმასა და

მის მიხედვით შედგენილ ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ სტანდარტებში აისახა.

ამჟამად დაწყებითი სწავლება მოიცავს ექვსწლიან ციკლს. ეს პერიოდი მოითხოვს სწავლების ამოცანების წარმოდგენას ინტეგრირებული, კოორდინირებული სახით. „შობლიური ენის სწავლება დაწყებით სკოლაში ემსახურება თვითგამოხატვისათვის აუცილებელი ენობრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას სწავლების ყველა ძირითადი მიმართულებით – მოსმენის, მეტყველების, კითხვის და წერის“ (ეროვნული სასწავლო გეგმა 2004:).

I კლასი – ასო, ბგერა, სიტყვის დამარცვლა. წარმოთქმისა და წერის თანხვედრა.

II კლასი – ხმოვანი, თანხმოვანი, მართლწარმოთქმის საკითხები.

III კლასი – ტიპობრივი ორთოგრაფიული შეცდომების გასწორების წესები.

IV კლასში უკვე იცნობენ და აქტიურად იყენებენ სახელის ბრუნვისა და ზმნის პირის ნიშნებთან დაკავშირებულ ორთოგრაფიულ წესებს.

V კლასი – სახელის ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები, სიტყვათწარმოებასთან დაკავშირებული მართლწერა.

VI კლასი – ორთოეპიული ჩვევების ჩამოყალიბება სახელებთან და ზმნასთან დაკავშირებით.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითადი ამოცანაა ორთოგრაფიული ნორმების სათანადო გამოყენება და დანერგვა. მნიშვნელოვანია, შეუქმნას მოსწავლეს პირობები საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად და სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად; ჩამოუყალიბოს საფუძვლები შემდგომ, საბაზო საფეხურზე სწავლის წარმატებით გასაგრძელებლად; იმ ცოდნის დასაუფლებლად, უნარ-ჩვევების გასავითარებლად და დამოკიდებულებების ჩამოსაყალიბებლად, რომლებიც მას მომავალში დასჭირდება.

ეროვნული სასწავლო გეგმა, ეს არის დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება სწავლა-სწავლების პროცესი საქართველოს სკოლებში. სწორედ ეროვნული სასწავლო გეგმაა განმსაზღვრელი თუ რა, როგორ და რამდენი ვასწავლოთ.

ამ დოკუმენტში მოცემულია სწავლა -სწავლების ორგანიზაციული საკითხები, საათობრივი ბადე კლასებისა და საგნების მიხედვით და ყველაზე მნიშვნელოვანი – საგნობრივი სტანდარტი.

საგნობრივი პროგრამების ძირითადი ნაწილის - სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება. აქ სწავლების მიზნები ჩამოყალიბებულია კონკრეტული შედეგების სახით, იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების სახით, რომლებიც უნდა წარმოაჩინოს მოსწავლემ სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ. სტანდარტით განსაზღვრული შედეგებისა და ინდიკატორების სახით მასწავლებელს ეძლევა კონკრეტული მითითება იმის შესახებ, თუ როგორ და რა კუთხით უნდა დაამუშავებინოს მოსწავლეებს ჩამონათვალში მოცემული შინაარსობრივი საკითხები. ის ერთგვარი გზამკვლევაა, რომელიც მიუთითებს, თუ როგორ უნდა წარიმართოს სასწავლო პროცესი, რათა მოსწავლეებმა ცოდნა გააზრებულად და საფუძვლიანად შეიძინონ.

ამრიგად, სასკოლო განათლების რეფორმის ძირითადმა სიახლემ ეროვნულმა სასწავლო გეგმამ და საგნობრივმა სტანდარტებმა არსებითად შეცვალა არა მარტო სწავლების შინაარსი, არამედ მეთოდოლოგიაც. ერთ-ერთი ძირითადი სიახლეა ლიტერატურული და ენობრივი მასალის ინტეგრაცია. სიახლეა ის, რომ სწავლა შედეგზეა ორიენტირებული, სწავლა ნიშნავს კონკრეტულ შემთხვევაში ინფორმაციის გამოყენებას და სათანადო უნარ-ჩვევების განვითარებას. მთავარი ორიენტირია არა ცოდნის ოდენობა, არმედ - ხარისხი. სიახლეა ისიც, რომ გათვალისწინებულია მოსწავლის ინდივიდუალური მონაცემები.

გ) თანამედროვე უცხოური (გერმანული, თურქული) და ქართული ენის მართლწერის სახელმძღვანელოთა შედარებითი ანალიზი

იმისათვის, რომ გაგვეთვალისწინებინა მსოფლიოს სხვა ქვეყნების გამოცდილება თანამედროვე ეტაპზე, ქართული სასკოლო სახელმძღვანელოების გარდა გავაანალიზეთ ელემენტარული სკოლისათვის განკუთვნილი თურქული და გერმანული ენების სახელმძღვანელოებიც და შევეცადეთ გაგვევლო პარალელები მათ

ცნობილია, რომ მართლწერას საფუძვლად უდევს რამდენიმე პრინციპი; ეს არის ფონეტიკური, მორფოლოგიური, ისტორიული, გავრცელებულობისა და სხვა. ამათგან რომელიმე ენისათვის ძირითადია მხოლოდ ერთ-ერთი, ანდა ეს პრინციპები ერთმანეთს ენაცვლება. „ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა თავისებურება ახასიათებს ამა თუ იმ ენას, რა სახის ცვლილება განიცადა მან, როგორ ურთიერთობაშია ერთმანეთთან წარმოთქმა და წერა“ (რამიშვილი 1957: 363;).

თურქული, ისევე როგორც ქართული, ძირითადად ფონეტიკური დაწერილობის ენაა. „იდეალურია ის ენა, რომლის სიტყვიერი მხარე და წერა თუ სავსებით არ ემთხვევა ერთმანეთს, დაშორება მათ შორის მაინც მინიმალურია. ამ მხრივ ქართული ლიტერატურული ენა ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს“ (თოფურია 1965: 58;) იგივე შეგვიძლია ვთქვათ თურქულ ენაზეც, რადგან თურქულშიც თითოეულ ბგერას თავისი წერილობითი ნიშანი შეესაბამება. სიტყვა წარმოითქმის ისე, როგორც იწერება, მაგრამ აქაც შეიძლება დაირღვეს ფონეტიკური პრინციპები, ერთმა ბგერამ შეიძლება სხვა ბგერასთან მეზობლობაში შეიძინოს სხვა მნიშვნელობა და შესაბამისად წარმოითქვას სხვანაირად.

ზოგჯერ თურქულში, ისევე როგორც ქართულში, ირღვევა ფონეტიკური პრინციპი. ერთი ბგერა მეორე ბგერასთან მიმართებაში იძენს სხვა მნიშვნელობას. ე. ი. ასოსა და წარმოთქმას შორის განსხვავებაა. აქ უკვე მორფოლოგიური პრინციპი იჩენს

თავს. ამიტომაც ორთოგრაფია თურქულ ენაშიც ძირითადად გრამატიკასთან მჭიდრო კავშირში ისწავლება.

მისი მიზანია სალიტერატურო ენის ნორმები დანერგოს მოსწავლეთა მეტყველებაში. მართლწერის სისტემური შესწავლისათვის აქაც ნიადაგი მზადდება დაწყებით კლასებში, სადაც მოსწავლეები ეცნობიან მართლწერის ელემენტარულ წესებს.

თურქეთში ამჟამად ალტერნატიული სწავლება მიმდინარეობს. საშუალო სკოლებსა თუ კოლეჯებში სხვადასხვა სახელმძღვანელოთი სარგებლობენ, ეს დამოკიდებულია მასწავლებლის ნება-სურვილზე. ამჟამად ჩვენ განვიხილავთ რასიმ შიმშეკის თურქული ენის სახელმძღვანელოს (Şimşek 2002:).

მართლწერის წესების დადგენისას ამოსავალი იყო სტამბოლის მეტყველება. ამ საერთო წესების გამოყენება ხელს უწყობს ენის თავისებურებების შენარჩუნებას და აადვილებს სწავლების პროცესს.

ამჟამად ყურადღებას ვამახვილებთ სიტყვის დამარცვლისა და სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანის წესებზე, აგრეთვე – რიცხვითი სახელისა და კომპოზიტების მართლწერაზე. ეს ის საკითხებია, რომელთაც შეიძლება პარალელი მოვუძებნოთ ქართული მართლწერის სწავლებაში.

თურქულში მარცვლის შესწავლას, ისევე როგორც ქართულში, უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ის ხელს უწყობს მეტყველებისა და მართლწერის დაუფლებას. მარცვლის შესწავლა “ავითარებს მოსწავლეებში სიტყვათა ბუნებრივ ნაწილებად დაყოფის ჩვევას და ყოველი ნაწილის ზუსტად, მკაფიოდ წარმოთქმას”(თალაკვაძე 1975: 49;).

მარცვალს მოსწავლეები პრაქტიკულად დაწყებითი კლასიდანვე ეცნობიან, ეუფლებიან სიტყვის დაყოფას მარცვლებად, რამდენადმე იცნობენ გადატანის წესებსაც.

როგორც ქართულში, ასევე თურქულში ყოველი მარცვლის შემადგენელი არის ხმოვანი. მარცვალი შეიძლება შედგებოდეს ერთი ხმოვნისა და რამდენიმე

თანხმოვნისაგან. სიტყვის სწორი დამარცვლა მჭიდროდ არის დაკავშირებული სიტყვის გადატანასთან, მაგრამ გადატანა და დამარცვლა ყოველთვის როდი ემთხვევა ერთმანეთს.

ერთმარცვლიანი სიტყვა არ გაიყოფა. ერთი ბგერისაგან შემდგარი მარცვალი არც უნდა დავტოვოთ ცალკე და მარტო მისი გადატანაც არ შეიძლება. მაგ., (ქართულში) ა-უშენებია, აუშენები-ა ან (თურქულში) a-bla, abl-a - სიტყვის ამ სახით გადატანა შეუძლებელია. მაგრამ ქართულსა და თურქულში ვხვდებით განსხვავებებსაც. ქართულ ენაში თუ სიტყვის შიგნით რამდენიმე თანხმოვანია, პირველი თანხმოვანი რჩება პირველ მარცვალში, დანარჩენი შემდეგში გადადის. მაგ., წიგ-ნი , ხოლო თურქულში, ერთად გვაქვს რამდენიმე თანხმოვანი, გადატანისას წინა მარცვალში რჩება თანხმოვნები, მხოლოდ ერთი თანხმოვანი გადადის შემდეგ მარცვალში. მაგ., Türk-ce.

საკმაოდ საინტერესოდ არის წარმოდგენილი რიცხვით სახელთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები. თურქულში რიცხვითი სახელის მართლწერა განსაკუთრებულ წესებს არ ემორჩილება. როცა ტექსტში გამოხატული არის მცირე რაოდენობა, მაშინ სიტყვით ვწერთ რიცხვით სახელს, თუ დიდ რაოდენობას გამოხატავს ეს რიცხვითი სახელი, მაშინ ციფრებით უნდა აღვნიშნოთ. შეიძლება საათი და წუთები სიტყვით გამოვხატოთ - dokuzu beş gece.

თურქულში რიცხვითი სახელი თუ შედგება ერთზე მეტი ფუძისაგან, იწერება ცალ-ცალკე – iki bin. თუ საქმე ეხება ფულს, მაშინ რამდენფუძიანიც არ უნდა იყოს, იწერება ერთად – beşmilyon. რომაული ციფრებით გამოხატავენ ძირითადად ჟურნალებს, წიგნის ტომებს, საუკუნეებს. რიგობითი რიცხვითი სახელის აღსანიშნავად იყენებენ აპოსტროფს (') მაგ., 5 ' ince – მეხუთე. რაც შეეხება გაორმაგებულ რიცხვით სახელს, იგი სიტყვებით იწერება, მაგ., yedişer შვიდ-შვიდი. მას თავისი მაწარმოებელი აფიქსი აქვს. ქართულ ენაში კი რაიმე ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევას არ ვაწყდებით.

კომპოზიტების მართლწერის შესახებ თურქულ სახელმძღვანელოში საინტერესო მასალაა წარმოდგენილი. აქ საუბარია „ზმნური კატეგორიის“ კომპოზიტებზე, რომელთაც ქართულში ანალოგი არა აქვს.

თურქულში ზმნასთან ერთად იწერება ზმნური კატეგორიის აფიქსები, ეს ეხება, როგორც უარყოფითს, ასევე შეძლება-შეუძლებლობის აფიქსებს _ *görebiliyordum*. ერთად იწერება სისწრაფის აღმნიშვნელი ზმნები: ზმნას + *vermek* - სისწრაფის აღმნიშვნელი ზმნა - *geliverdi*. ასევე ხანგრძლივობის ზმნები – ზმნას + *kalmak* – *uyuyaralirum*. ზმნასთან ერთად იწერება მომავალი დროის მაწარმოებელი აფიქსები. ერთად იწერება აგრეთვე არაბულიდან ნასესხები ერთმარცვლიან სიტყვებზე შეზრდილი მეშველი ზმნები: *af, ret, zar, his, etmek* (მეშველი ზმნა). კომპოზიტებს ქმნის აგრეთვე ისეთი სიტყვები, რომლის ერთ ნაწილს დაკარგული აქვს თავისი მნიშვნელობა – *başvurdum*. ქართულში კი რთული სიტყვები ანუ კომპოზიტები შეიძლება იწერებოდეს დეფისით (ორცნებიანი სიტყვა), ან უდეფისოდ (ერთცნებიანი).

ქართული ენის სახელმძღვანელოში გრამატიკულ მასალას უკავშირდება მართლწერის საკითხები და სავარჯიშოები. სავარჯიშოების არსებობის ტრადიცია ქართული ენის სახელმძღვანელოს ძველთაგანვე მოსდევს. მათი შერჩევა და სწორად გამოყენება ხელს უწყობს აღმზრდელობითი სწავლების განხორციელებას. ამას ვერ ვიტყვით თურქული ენის სახელმძღვანელოზე, რადგან აქ სავარჯიშოები საერთოდ არ არის წარმოდგენილი. მოცემულია მხოლოდ მაგალითები წესებთან ერთად. აქ მართლწერის წესები გრამატიკულ მასალაზე დაყრდნობით არის გაშუქებული.

მართლწერის შესწავლისას აუცილებელია წესის ცოდნა, რასაც დიდი ყურადღება ეთმობა თურქული ენის სახელმძღვანელოში. ამას ადასტურებს შეფასებითი კითხვები, რომელიც თან ახლავს მართლწერის საკითხებს და მისი მიზანია კიდევ ერთხელ დააფიქროს მოსწავლეები და ანალიზი გაუკეთონ შესწავლილ მასალას. აქვე არის შეფასებითი ტესტები., რომელთა მიზანია გამოავლინოს რამდენად კარგად შეძლო მოსწავლემ მასალის ათვისება.

მაგრამ მარტო წესების ცოდნით ვერ მივაღწევთ შედეგს, ვერ გამოვუმუშავებთ მოსწავლეებს ჩვევას. ეს ყველაფერი უნდა ხდებოდეს სავარჯიშოთა თანხლებით. მართლწერის სწავლებას უნდა უკავშირდებოდეს შემოქმედებითი სახის წერითი სავარჯიშოები. ქართულში ეს მხარე საკმაოდ მოწესრიგებულია. მოსწავლეებს ეძლევათ

სავარჯიშოები როგორც კლასში, ასევე შინ შესასრულებლად. რადგან მარტო წესების ცოდნა მყარი ვერ იქნება შესაბამისი სავარჯიშოების გარეშე.

როგორც ვნახეთ, ქართული და თურქული ენის სახელმძღვანელოები თავისი აგების პრინციპებითა და მეცნიერულ-მეთოდოლოგიური ღირებულების თვალსაზრისით მეტად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ქართული ენის სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნაში დიდი და თანაც გადამწყვეტი როლი ითამაშა საენათმეცნიერო და პედაგოგიური აზროვნების განვითარებამ, ენის სწავლების მეთოდოლოგიის დამუშავებამ; მსგავსი შეფასების გაკეთება გაგვიჭირდება მოცემული თურქული ენის სახელმძღვანელოს განხილვის შემდეგ.

რაც შეეხება გერმანულს, აქ ვითარება რამდენადმე განსხვავებულია. გერმანულ სახელმძღვანელოებზე ჩვენი არჩევანი კი იმ მიზეზით შეჩერდა, რომ აქ ყველაზე კარგად არის შერწყმული ერთმანეთში კლასიკური და თანამედროვე პედაგოგიკის მონაცემები, თანაც ამ ეტაპზე ჩვენს ყურადღებას ვამახვილებთ იმ საკითხებზე, რომელთა პარალელის დაძვება ქართულშიც შესაძლებელია, ასეთია: სიტყვის დამარცვლის, სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანის წესები და კომპოზიტთა მართლწერა.

განსხვავებული ურთიერთობა გვაქვს წარმოთქმასა და წერას შორის სხვადასხვა ენაში. ერთი ენისთვის შემუშავებული მართლწერის წესები ვერანაირად ვერ გამოდგება მეორე ენისათვის. დამოკიდებულია იმაზე, თუ რა თავისებურება ახასიათებს ამა თუ იმ ენას, რა სახის ცვლილება განიცადა მისმა დაწერილობამ და როგორ ურთიერთობაშია ერთიმეორესთან წარმოთქმა და წერა" (რამიშვილი 1957: 363;).

როგორც ვიცით, ქართულ ენაში მართლწერის საკითხები არ იწვევს იმდენ სიმწვავეს, როგორც სხვა ენებში, სადაც წარმოთქმა და წერა დაცილებულია ერთმანეთს. "არ არის ქართულში არც ერთი იმისთანა სიტყვა, რომ ზედმიწევნით, უმეტნაკლებობით გამოსათქმელად შესაფერისი ასო არა ჰქონდეს. ამიტომაც მართლწერა ქართული ისეთი გაადვილებულია, ისე გამარტივებულია, რომ ეგეთი ანბან-სრული ენა ქვეყანაზე არ მეგულება. სავსეობა და სისრულე ანბანისა ამაშია და სხვა არარაში"(მარი 1913:).

ამჟამად ჩვენ გერმანული ენის მართლწერის სახელმძღვანელოს განვიხილავთ. ეს არის დიტერ ანკლინგერის, ჰარალდ გესელისა და იოახიმ კრიზელის მართლწერის სახელმძღვანელო განკუთვნილი მე-5, მე-6 კლასებისათვის (Anzlinger.. 2005:).

როგორც აღვნიშნეთ, გერმანულში მართლწერა მნიშვნელოვნად განსხვავდება წარმოთქმისაგან. გერმანულ ენაში 40 სამეტყველო ბგერითი ერთეული ანუ ფონემაა. მათ გრაფიკულად გამოსახატავად იხმარება 26 ასო. 26 ლათინური ასო არ არის საკმარისი გერმანული ფონემების აღსანიშნავად, ამიტომაც ზოგიერთი თანხმოვნის გამოსახატავად იყენებენ ასოთშენაერთებს.

გერმანულში არის უმლაუტიანი ხმოვნები ä, ö, ü ანალოგიური ხმოვნები ქართულში არ არის. უმლაუტიანი ბგერები გერმანულში წარმოადგენენ დამოუკიდებელ ბგერით ერთეულებს. უმლაუტების მონაწილეობის შედეგად შეიძლება გამოიხატოს სიტყვის განსხვავებული მნიშვნელობა schon (უკვე) – schön(ლამაზი)

გერმანულში ხმოვნები ხასიათდება სიგრძე-სიმოკლის მიხედვით. ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლეს შეუძლია განასხვავოს სიტყვათა მნიშვნელობა.

ყოველივე ამის გამო გერმანული მართლწერის დაუფლება რთული პროცესია. ორთოგრაფიის სწავლებისას აუცილებელია იმის გააზრება და გაცნობა, თუ რატომ იწერება ესა თუ ის სიტყვა ან მორფემა ასე და არა სხვაგვარად, თუ სად და რა შემთხვევაში იწერება ასოთშენაერთები. მართლწერის სწავლება ნაყოფიერი იქნება, თუ სიტყვის ფონემატურ ანალიზს ყურადღებით გავეცნობით.

ახლა ჩვენი ყურადღება უნდა შევაჩეროთ სიტყვის დამარცვლასა და სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანის წესებზე და კომპოზიტების მართლწერაზე. ეს ის საკითხებია, რომელთაც შეიძლება პარალელი დავუძებნოთ ქართული მართლწერის სწავლებაშიც.

მარცვლის შესწავლას, ისევე როგორ ქართულში, გერმანულშიც აქვს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა. ის ხელს უწყობს მეტყველებისა და მართლწერის დაუფლებას. მარცვლის შესწავლა „ავითარებს მოსწავლეებში სიტყვათა ბუნებრივ ნაწილებად დაყოფის ჩვევას და ყოველივე ნაწილის ზუსტად, მკაფიოდ წარმოთქმას“

(თალაკვაძე 1975: 49;). მარცვალს მოსწავლეები პრაქტიკულად დაწყებით კლასებში ეცნობიან, ეუფლებიან სიტყვის დაყოფას მარცვლებად, რამდენადმე იცნობენ გადატანის წესებსაც.

ყოველი მარცვლის შემადგენელი არის ხმოვანი როგორც ქართულში, ასევე გერმანულში. „ქართულ მარცვალს მიდრეკილება აქვს ღიაობისადმი“ (ახვლედიანი 1938: 151;), ქართულ მარცვალს შეუძლია გათავდეს არა მხოლოდ ხმოვნით, არამედ სონორი თანხმოვნითაც. გერმანული მარცვლის ძირითად თავისებურებას წარმოადგენს მის ღიაობა-დახურულობასთან დაკავშირებული ხმოვნის სიგრძე-სიმოკლე. გრძელი ხმოვნის ბოლო ნაწილი სუსტდება და უერთდება მომდევნო თანხმოვანს, რომელსაც უფრო სუსტი შემართვა აქვს. საზღვარი იქნება ხმოვნის შემდეგ. მოკლე ხმოვნები ერთბაშად წყდება, მას უერთდება მომდევნო თანხმოვანი. მოკლესხმოვნიანი მარცვალი ყოველთვის დახურულია Fin-ger. გერმანულში სიტყვა შეიძლება გაიყოს ა) ორი მარცვლის შუაში geh-en. ბ) ფუძისეულ ორ თანხმოვანს შორის hel-fen. გ) გრძელი ხმოვნისა და მომდევნო თანხმოვანს შორის sa-gen; დ) თუ სიტყვის ბოლოსართი ხმოვნით იწყება, მაშინ მის წინ მდგომი თანხმოვანი მასთან ერთად გამოიყოფა - Metzgeri, Einla-durg. აგრეთვე არ გაიყოფა ასოთშენაერთები: ck, ch, sch, ss, ph, th.

კომპოზიტების მართლწერა – აი, კიდევ ჩვენთვის ერთი საინტერესო მასალა. „ახალ სიტყვათა წარმოთქმითა და ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალება სიტყვათა შეერთება ანუ კომპოზიციაა“ (კიზირია 1961: 20;). გერმანულ ენაში ხშირად ვხვდებით კომპოზიტებს. რთული სიტყვები ორი ან მეტი მარტივი სიტყვის გაერთიანების შედეგია. ძირითადი სიტყვა მოქცეულია ბოლოში. Winterferien (ზამთრის არდადეგები). მასში ყოველი კომპონენტი ინარჩუნებს მაგარ შემართვას. განასხვავებენ კომპოზიტების სხვადასხვა სახეს. მაგრამ გერმანულში ვხვდებით უფრო ხშირად ისეთ ფორმებს, სადაც მეორე კომპონენტი უფრო ძირითადია Mittelschule-საშუალო სკოლაა. აქ ძირითადია Schule-სკოლა; mittel-საშუალო, ეს მეორე ნაწილი აზუსტებს ძირითადი კომპონენტის მნიშვნელობას.

შედგენილი სიტყვის პირველი ნაწილი შეიძლება იყოს: ა) არსებითი სახელი. Hand[არს]+schrift = Handschrift. ბ) ზედსართავი სახელი - bunt[ზედ]+Stiift =Buntstift. გ) ზმნა - mal(en)strift. რაც შეეხება კომპოზიტებს ქართულში შეიძლება იწერებოდეს დეფისით (ორცნებიანი), ან უდეფისოდ (ერთცნებიანი).

ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ არის გაშუქებული მართლწერის საკითხები გერმანული ენის სკოლის სახელმძღვანელოში. აქ ყოველ კონკრეტულ საკითხს მოსდევს სავარჯიშოები, საშინაო დავალებები. აქ შემოქმედებით გადაწერას დიდი გამოყენება აქვს: შეავსეთ გამოტოვებული ასო სიტყვაში, დამარცვლეთ მოცემული სიტყვები, ტექსტიდან მხოლოდ მითითებული ორთოგრაფია ამოწერეთ, და ა. შ. საყურადღებო მასალა ცალკეა გამოყოფილი. სახელმძღვანელოში მოცემულია ტაბულები, სქემები, რომელთა გამოყენება აადვილებს მართლწერის შესწავლის საქმეს. ამგვარი მუშაობა ხელს უწყობს სკოლაში მართლწერის საკითხების საფუძვლიან შესწავლას.

ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ არის წარმოდგენილი გერმანული ენის სახელმძღვანელოში მართლწერის საკითხები. საკითხის ანალიზმა აჩვენა, რომ მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ქართული ენის სახელმძღვანელოები (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე. ქართული ენა, V-VI კლასებისათვის) გაცილებით მაღალ დონეზე დგას: აქ წესის ცოდნასთან ერთად ყურადღების ცენტრში დგას ორთოგრაფიული ჩვევის ფორმირება, რაც ხანგრძლივი ვარჯიშით მიიღწევა.

თამამად შეგვიძია ვთქვათ, რომ ენების სპეციფიკიდან გამომდინარე არ შეიძლება ერთი ენიდან მეორეში ბრმად გადმოვიტანოთ სწავლების მეთოდები, რაც კარგად ჩანს ჩვენ მიერ განხილული საკითხებიდანაც .

თავი II

ქართული ორთოპედიისა და ორთოგრაფიის სწავლების ლინგვოდიდაქტიკური საფუძვლები

2.1 ორთოპედიის რაობა

ორთოპედია (ბერძნ. ორტჰოპედია = ორტჰოს – სწორი, ეპოს – მეტყველება) მართლმეტყველებას გულისხმობს; ანტონ I უწოდებდა "მართლუბნობას", ს. ხუნდაძე – "სწორ ენას" და ა. შ.

საკითხი ზეპირმეტყველებას ეხება. არსებობს ზეპირი და წერილობითი მეტყველების გამოვლენის ორი ფორმა. სალიტერატურო ენის დონეზე ორივე მათგანი ნორმატიული ხასიათისაა; ორივეს ნორმატიულობის საკუთარი კრიტერიუმები აქვს. ზეპირმეტყველების კანონებს განსაზღვრავს **ორთოპედია**, ხოლო წერითი მეტყველებისას – **ორთოგრაფია**. ამდენად, მათ შორის – ისევე, როგორც შესაბამის სფეროებს შორის – განუყოფელი ერთობაა.

ზეპირმეტყველება უსწრებს წინ წერით მეტყველებას ისტორიულად (დამწერლობის მეშვეობით მეტყველების ფიქსირების თვალსაზრისით), იმისათვის რომ სათქმელმა წერილობითი ფორმა შეიძინოს, ის ჯერ უნდა წარმოითქვას, ბგერითი სახე მიიღოს (თუნდაც ეს „წარმოთქმა“ აკუსტიკურად არ იყოს გამოხატული). ამიტომაც არის მიზანშეწონილი, რომ ორთოპედიაზე მუშაობა უსწრებდეს წინ ორთოგრაფიას.

მეორე მიზეზი, რაც ორთოპედიის წინ წამოწევას განაპირობებს, არის ის, რომ ორთოგრაფია ორთოპედიასთან მიმართულებით, ორთოპედიის მოთხოვნების გათვალისწინებით ყალიბდება; ბევრი რამ, რაც ორთოგრაფიის მოსაპოვებელია, ორთოპედიაში იღებს სათავეს. ამიტომაც ორთოგრაფიული პრობლემები ორთოპედიის

ნორმებზეა დამოკიდებული და – პირიქით; ორთოეპიის წესების მოწესრიგებულობა დიდწილად არის განმაპირობებელი ორთოგრაფიული სიმწესეების დამღვევისა.

ეს მიმართება მართლწერის ორი ფორმისა, ორთოგრაფიის დამოკიდებულება ორთოეპიაზე განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი ბუნებისა და მწიგნობრული ტრადიციის ენაში, როგორც ქართულია. კერძოდ, ქართულისათვის, როგორც ცნობილია, ტრადიციულად დამახასიათებელია ზეპირი და წერითი მეტყველების მაქსიმალური სიახლოვე, ისტორიული განვითარების პროცესში მწიგნობრული (წერილობითი) ენის ნაკლები დაშორება ზეპირმეტყველებასთან (რაც, თავის მხრივ, უნდა განაპირობებდეს კიდევ ქართული სალიტერატურო ენის ისტორიული განვითარების სტაბილურობას).

თანამედროვე ორთოეპიის თვალსაზრისით მთავარი ორიენტირი არის თეზისი: სალიტერატურო, დარბაისლური ქართული არის ფონემურად სრული მეტყველება, რასაც ეფუძნება კიდევ ზემომითითებული პრინციპი: როგორც გამოითქმის, ძირითადად ისე იწერება და – პირიქით. ამიტომაც ორთოეპიის საბაზისო ამოცანა სრულიად ნათელია: სიტყვის (ფრაზის) წარმოთქმა ბგერითი სისრულით, ნათლად.

2.2. ორთოეპიული ნორმები

ორთოეპიული ნორმები ხანგრძლივად, საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდება და მკვიდრდება. მართლმეტყველების პრობლემასაც ვარიანტულობა განაპირობებს. ამ პროცესისათვის მეტი სტიქიურობა და ბუნებრიობაა დამახასიათებელი, ვიდრე მართლწერისათვის; მასში ხომ ნეიტრალური, ზომიერი, ბუნებრივი სამეტყველო ნორმის „არჩევა“ არსებითად კონკრეტული ნორმატიული ჩარევის გარეშე, ერთგვარი ფარული „კონვენციის“ (შეთანხმების) გზით ხდება (ვთქვათ, სამეტყველო ორიენტირად და ეტალონად ბუნებრივად, რამე ინსტრუქციის გარეშე, არის მიჩნეული რომელიმე ცენტრალური კილო ან დედაქალაქის მეტყველება და მისთ.)

ორთოეპიული პრობლემები უფრო მეტად რეგულირებული ხდება მას შემდეგ, რაც ენა მწიგნობრობის საფუძველზე დაიწყებს განვითარებას და ზეპირმეტყველებასაც უფრო ფართო ფუნქციები დაეკისრება, ვიდრე მის მარტივ საკომუნიკაციო ამოცანებში მდგომარეობდა. ორთოეპია მკვიდრდება საერთო-ეროვნული ენის ჩამოყალიბების კვალდაკვალ, მაშინ, როცა თანდათან ფართოვდება ზეპირმეტყველების სფეროები, როცა მეტად ვითარდება ოფიციალური, საქმიანი და პუბლიცისტური მეტყველების ფორმები.

ორთოეპიული პრობლემების თავისებურება ის არის, რომ ისინი ბუნებრივად უფრო სწრაფად ექცევიან ცოცხალი ენობრივი პროცესების გავლენის სფეროში, ვიდრე ორთოგრაფიის ნორმები (რომლებიც, ჩვეულებისამებრ, გაცილებით კონსერვატიულია). ეს გავლენა შეიძლება მომდინარეობდეს როგორც რომელიმე კუთხური მეტყველებიდან, ისე უცხოენოვანი გარემოდან. ქართულ სალიტერატურო ზეპირმეტყველებაში უფრო მეტად შეინიშნება კილოური მინარევები, აქცენტუაციური, ვიდრე წერილობით მეტყველებაში. თუ ტრადიციულად ქართულ მეტყველებაში უფრო ნიშანდობლივი იყო კილოური მინარევების არსებობა, ბოლო დროს მეტად გამოიკვეთა უცხო ენებიდან მომდინარე აქცენტუაციური ელემენტები.

ამდენად, ორთოეპიის საკითხების დამუშავებისას აუცილებელია გათვალისწინება იმისა, რომ თანამედროვე გლობალურმა პროცესებმა, საერთაშორისო ვითარებამ ქართული მართლმეტყველება არაერთი ახალი პრობლემის წინაშე დააყენა. ე.წ. ინტერნაციონალურ ლექსიკასთან, სამეცნიერო-ტექნიკურ ტერმინოლოგიასთან ერთად სულ უფრო ინტენსიურად იჭრება უცხო ენებისათვის დამახასიათებელი სამეტყველო ნორმები და მანევრები. ყველა ენას თავისი ფონემატური სტრუქტურა, მეტყველების ტემპი და რიტმი, სპეციფიკური ინტონაცია და მანერა აქვს; ამგვარი გავლენა ერთი ენისა მეორეზე, ჩვეულებისამებრ, ყურს სჭრის; მაგრამ უცხო სამეტყველო ელემენტების შემოჭრა მშობლიურ ენაში ჩვეულებრივი მოქალაქეებისათვის თითქმის შეუმჩნევლად ხდება; მათი შემჩნევა და

შეფასება მხოლოდ სპეციალისტებს შეუძლიათ, ცხადია, თუ მათი რეაგირება დროული იქნება, ხოლო მოქმედება – ადეკვატური.

სანიმუშოდ შეიძლება მიგვემართა უცხო ენათა გავლენით გავრცელებული რამდენიმე ჩვევისათვის. მაგალითად, ასეთია წარმოთქმის ინტონაციურ-რიტმული დანაწევრება პაუზისა და მახვილის ფიქსირებით არა სინტაქსურ საზღვარზე, არამედ რამდენიმესიტყვიანი რიტმული მონაკვეთის ბოლოში. ანდა, სულ ბოლო ხანს გავრცელებული მოვლენა – მკერდისმიერი გაგრძელებული ყ ბგერის ჩართვა ქართული მეტყველების ნორმებით ნაკლად („პარაზიტულ“ მოვლენად) მიიჩნეოდა.

ამრიგად, **ორთოეპია** შეიძლება განვსაზღვროთ როგორც სალიტერატურო ენის იმ საწარმოთქმო ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც სალიტერატურო მეტყველების მთლიანობასა და ერთგვაროვნებას განაპირობებენ. ორთოეპიის ამოცანები მოიცავს როგორც მეტყველების ძირითად ელემენტებს – ბგერებს (ფორმებს), ისე ზესეგმენტურ მონაცემებს (მახვილს, ინტონაციას...); მისი ობიექტია ნებისმიერი ასპექტი სალიტერატურო ზეპირმეტყველებისა. ამ გაგებით იგი რიტორიკის ცნებას ენათესავება (არაბული 2004: 42;).

ამდენად, პრაქტიკული ორთოეპიის მიზანია სასწავლო კურსის განმავლობაში იმ აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება (დაუფლება ან გამოსწორება), რომელთა ქონაც არის საჭირო კონკრეტული პროფესიული ამოცანების განხორციელებისათვის, საზოგადოდ კი – პიროვნების ჰარმონიული, სრულფასოვანი განვითარებისათვის.

ადამიანი, როგორც მეტყველი არსება, პიროვნულად ენობრივ საფუძველზე და ენით აგებულ გარემოში (ბუნებრივშიც და სოციალურშიც) ყალიბდება. შეიძლება ითქვას, ის ენაში და ენობრივად იმკვიდრებს საკუთარ სოციალურ ადგილს და ის შეფერხებებიც, რომლებიც შეიძლება ამ თვალსაზრისით პიროვნების განვითარებასა და დამკვიდრებას შეხვდეს, უპირველესად სწორედ ენობრივი შინაარსისა (ცნობიერისა თუ ქვეცნობიერ დონეზე). ამიტომაც ექცევა თანამედროვე მსოფლიოში ესოდენ დიდი ყურადღება ბავშვთა საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

ორთოეპია უშუალოდ უკავშირდება ფონეტიკას – „მეცნიერებას ბგერის შესახებ, ბგერებისა, რომლებიც წარმოითქმებიან ფიზიოლოგიურად, აღიქმებიან აკუსტიკურად და გამოიყენებიან სოციალურად (არაბული 2004: 37;).

2.3. ორთოგრაფიის რაობა

წერის სისტემა, რომელიც საფუძვლად ედება ქართულ სიტყვათა დამწერლობას და არეგულირებს ურთიერთობას წარმოთქმასა და წერას შორის, მართლწერა, ანუ ორთოგრაფიაა. მართლწერის საგანია სალიტერატურო ენის ნორმალიზაცია, ე.ი. ენის სადავო საკითხების მოგვარება.

მართლწერის შესწავლას აქვს როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული მნიშვნელობა. მართლწერის წესების შესწავლით მოსწავლე აზუსტებს, უკეთ აცნობიერებს და მტკიცედ ეუფლება მშობლიური ენის ბუნება-აგებულებას, რითაც ღრმავდება თეორიული ცოდნა, ინტენსიურად ვითარდება აზროვნება, მეხსიერება, ყურადღება და სხვა ფსიქიკური ფუნქციები. მართლწერის წესების ცოდნა დიდად უწყობს ხელს ცალკეული სიტყვისა და შესატყვისების ფორმის დაუფლებას, მეტყველების განვითარებას. ნაწერი ვერ იქნება ენობრივად გამართული და წიგნიერი, თუ ორთოგრაფიული შეცდომებია. ამიტომ, სკოლაში დიდი ადგილი ეთმობა ორთოგრაფიის სწავლებას, რომლის მიზანი მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლებაა.

ორთოგრაფიის წესების სწავლებას საფუძველი დაწყებით კლასებში ეყრება. სწავლების პირველივე წლიდანვე მახვილდება ყურადღება ცალკეულ სიტყვათა მართლწარმოთქმასა და მართლწერაზე, ხოლო მომდევნო II-III-IV კლასებში კი მართლწერის საკითხთა ხვედრითი წილი თანდათანობით იზრდება.

როგორც არაერთგზის აღინიშნა, ქართული ენაში წარმოთქმა და წერა უმთავრესად ერთმანეთს ემთხვევა. ამიტომ აქ მართლწერის საკითხები არ იწვევს ისეთ სიმწვავეს, როგორც სხვა ენებში, სადაც წარმოთქმა და მართლწერა ერთმანეთს არის დაცილებული (რუსული, გერმანული, ინგლისური და ა. შ.) ქართულში 33 ბგერაა. ასოც

ამდენივეა. თითქოს მართლწერაზე აღარ უნდა გვიხდებოდეს საუბარი, მაგრამ ეს ასე არ არის. ორთოგრაფიული წესების ცოდნის გარეშე, ვერც ერთი ქართველის მეტყველება ვერ იქნება დახვეწილი და გამართული (მაღლაკელიძე... 1996: 228;).

წარმოთქმასა და წერას შორის სხვადასხვა ენაში სხვადასახვაგვარი ურთიერთობაა. წესების სისტემა, რომელიც შემუშავებულია ერთი ენის მართლწერისათვის, არ გამოდგება მეორე ენისათვის. ამასთანავე, ერთ ენაში შეიძლება მართლწერის წესებს საფუძვლად ედოს არა ერთი, არამედ რამდენიმე პრინციპი.

2.4. ქართული მართლწერის პრინციპები

შემუშავებულია მართლწერის პრინციპები, იმის მიხედვით, თუ როგორია ამა თუ იმ ენის ფონეტიკურ-მორფოლოგიური აგებულება, როგორი ურთიერთობა არსებობს წარმოთქმასა და წერას შორის, ან რა სახის ცვლილება განიცადა ამ ურთიერთობამ ისტორიულად, რომელთაგანაც მოცემული ენისათვის ერთ-ერთი ძირითადია, დანარჩენი კი – არაძირითადი.

ა) ფონეტიკური პრინციპი მოითხოვს წერას ისე, როგორც წარმოთქვამენ. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას გერმანულში, ინგლისურში, რუსულში.... ქართულში შეგვიძლია ვთქვათ, რომ განსხვავება წერასა და წარმოთქმას შორის შედარებით მცირეა. ქართული, მართალია ძველი სამწერლობო ენაა, მაგრამ დიდი ფონეტიკური ცვლილება მას არ განუცდია. სწორედ ამიტომ არ დგას ქართულში ისე მწვავედ ფონეტიკურ ნიადაგზე აღმოცენებული სიტყვის მართლწერის საკითხი. სიტყვათა უმეტესობა აქ ისე იწერება, როგორც ისმის. გვაქვს ზოგიერთი გამონაკლისიც, მაგრამ ეს საერთო სურათს ვერ ცვლის – ქართული ძირითადად ფონეტიკური დაწერილობის ენაა (მაღლაკელიძე...1996: 229;).

ბ) მორფოლოგიური პრინციპის მიხედვით, სიტყვა, მიუხედავად იმისა, თუ როგორ წარმოითქმის, უნდა დაიწეროს თავისი მორფოლოგიური შედგენილობის დაცვით;

მორფოლოგიური პრინციპის მიხედვით იწერება მრავალი სიტყვა, ამდენად, ეს პრინციპი ფონეტიკურთან ერთად ძირითადია.

გ) ისტორიული პრინციპი ფართოდ არის მიღებული: იგი მოიცავს გენეტიკურს (წარმოშობით), ეტიმოლოგიურს (პირვანდელი შედეგებისა და მნიშვნელობის) და ტრადიციულს (დროთა განმავლობაში დამკვიდრებულს). მას იყენებენ, როცა სადავო საკითხის გადასაჭრელად საჭიროა ფორმის წარმოშობისა და განვითარების გარკვევა.

ისტორიული პრინციპების გამოა აგრეთვე, რომ ზოგი სიტყვა, რომლის მართლწერაც მორფოლოგიის თვალსაზრისით უმართებულოა, დღეს დამკვიდრდა ჩვენს მეტყველებაში და სალიტერატურო ენაში არსებობის უფლება მოიპოვა.

დ) გავრცელებულობის პრინციპი. ამ პრინციპის გამო ზოგმა სიტყვამ დროთა განმავლობაში სხვადასხვა მიზეზის გამო უმართებულო სახე მიიღო, მაგრამ ისე გავრცელდა, რომ მისი შეცვლა აღარ შეიძლება. მაგალითად, „მოსულ-არიან“ დღეს დიალექტის კუთვნილებაა, მორფოლოგიური თვალსაზრისით კი იგი მართებული ფორმაა.

ე) კეთილხმოვანების პრინციპი. მისი დამწერგავი სილ. ხუნდაძე და შემდეგში ს. გორგაძე განმარტავდნენ, რომ კეთილხმოვანი სიტყვა ის არის, რომელიც გამოსათქმელად ადვილია და სმენისათვის სასიამოვნო. უნდა ითქვას, რომ ეს სუბიექტური საზომია, ენათმეცნიერება მას ვერ დაემყარება. ენას თავისი კანონები აქვს, რომელთა დაცვა სავალდებულოა ყველასათვის, მიუხედავად იმისა, კეთილხმოვანად გვეჩვენება იგი თუ არა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დროთა განმავლობაში ენა იხვეწება და იზრდება. ის, რაც გარკვეული პერიოდისთვის ნორმას წარმოადგენდა, დროის გასვლის შემდეგ არქაიზმად შეიძლება იქცეს.

2.5 ქართული მართლწერის ფსიქოლოგიურ-დიდაქტიკური საფუძვლები

მართლმეტყველებისა და მართლწერის საკითხთა შესწავლა მოსწავლისაგან მოითხოვს შესწავლილი მასალისადმი შეგნებულ დამოკიდებულებას. ეს პროცესი ცნობიერი პროცესია და ამის ფსიქოლოგიური ანალიზი აუცილებელია მართლწერის სწავლების დროს.

მართლწერის სწავლების საქმეში და მის გაცნობიერებაში ფსიქოლოგიურ მონაცემებს ვუწევთ ანგარიშს. როგორც ვიცით, ფსიქოლოგია განიხილავს აღქმას, აზროვნებას, მეხსიერებას და სხვა ფსიქიკურ ფუნქციებს, რომლებსაც აქვს თავისი გენეტიკური კანონზომიერება. ბავშვის ფსიქოლოგია და პედაგოგიური ფსიქოლოგიის მონაცემები ქართული ენის მეთოდის საფუძველსა და მისი მეცნიერული სრულყოფის მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს.

მართლწერის შესწავლის მთავარ ფაქტორს წარმოადგენს ერთი მხრივ წესების ცოდნა, მეორე მხრივ – სმენა, მხედველობა და ხელის მოძრაობა (მოტორიკა). მასწავლებელი ყველა ამ ფაქტორს ეყრდნობა მოსწავლეებთან მუშაობისას. აცნობს ჯერ სათანადო წესს, რამდენჯერმე ამეორებინებს საკონტროლო სიტყვას, უჩვენებს ამ ორთოგრამის გრაფიკულ სახეს და ავარჯიშებს მის მართლწერაში. ერთი და იგივე წესი შეიძლება ბავშვებმა გამოიყენონ წარმატების სხვადასხვა ხარისხით. წარმატება კი დამოკიდებულია კონკრეტული მოქმედების განხორციელების საფუძველად მდებარე ფსიქოლოგიური მექანიზმების თავისებურებებზე.

დღეს საუბარია მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებაზე, რომლის დროსაც ცოდნას მოსწავლე თვითონ აშენებს სწავლის პროცესში მასწავლებლის დახმარებით. ეს არის კონსტრუქტივიზმი, რომლის მთავარი არგუმენტია ცოდნა მოსწავლის მონაწილეობით. სწავლა, ბიჰევიორისტული თეორიის მიხედვით, გულისხმობს გარემოსთან ურთიერთობის პროცესში გამოცდილების მიღებასა და ინფორმაციის დაგროვებას (ბრუნერი). კოგნიტური თეორიების მიხედვით კი იგი ადამიანის

შემეცნებით აქტივობას საჭიროებს. სწავლა შესაძლებელია კოგნიტურ ცვლილებაში გამოიხატოს და ქცევაში მაშინვე არ აისახოს.

ნ. ა. მენჩინსკაიას, დ. ნ. ბოგოიაველენსკის, ე. ნ. კაბანოვას – მელერის და სხვა ფსიქოლოგების გამოკვლევებით მიღებული მონაცემები გვიჩვენებენ, რომ „ეს მექანიზმები არ დაიყვანებიან ცალკეული სასწავლო საგნებისათვის სპეციფიკურ ოპერაციებამდე და მიმართებებამდე, მათ განზოგადებული ხასიათი აქვთ“ (პეტროვსკაია 1977: 7;).

ცნობილია, რომ ქართულ მართლწერას ძირითადად მართლწარმოთქმა ედება საფუძვლად, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სმენის ფაქტორის გამოყენება გარკვეულ შემთხვევაშია შესაძლებელი. ქართულში გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა სიტყვა ისე არ იწერება, როგორც გვესმის. ამ დროს სმენის ფაქტორზე დაყრდნობამ შეიძლება არასასურველი შედეგი მოგვცეს. ე. ი. სმენის ფაქტორის როლი განსაზღვრულია. მას მაშინ ვიყენებთ, როცა წარმოთქმა და წერა ერთმანეთს ემთხვევა. იგივე შეიძლება ითქვას მხედველობით და მოტორულ ფაქტორებზეც. ფსიქოლოგიაში არსებობს ბიჰევიორისტული მიმდინარეობა, რომლის მიმდევრებიც სწავლებისას გამორიცხავენ ცნობიერების როლს და უპირატესობას ანიჭებენ მექანიკურ წვრთნას. ბიჰევიორიზმი არის მოძღვრება ადამიანის ქცევის შესახებ, მისი ფუძემდებელია უოტსონი. ბიჰევიორისტები თვლიან, რომ ფსიქოლოგიის შესწავლის საგანი უნდა იყოს ადამიანის ქცევა და არა მისი შინაგანი სამყარო. ქცევა ეს არის ორგანიზმის რეაქცია გარემოქმედებით, ამიტომ ამ თეორიას უწოდებენ "სტიმულ_რეაქციასაც." „ბიჰევიორიზმისათვის ცენტრალურ მომენტს წარმოადგენს დასწავლის პრობლემა, რომელიც მოიცავს ქცევის ფორმათა ფართო სპექტრს: ცოდნა, უნარ-ჩვევები, მორალური პრინციპები, მანერები და სხვა“ (ჯაფარიძე... 2005: 82;).

ლავი, ტომსონი ორთოგრაფიის სწავლებისას უპირატესობას ანიჭებდნენ უაზრო მარცვლების დაზეპირებას, ყოველგვარი ცნობიერების მონაწილეობის გარეშე. მართლწერის სწავლებაში მექანიკურ გადაწერას თვლიდნენ აუცილებლად, რადგანაც ხელი ხანგრძლივი ვარჯიშით თითქოსდა იმახსოვრებს იმ ორთოგრაფებს.

ბორმანის მიხედვით, დამახსოვრების უნივერსალურ მეთოდად გადაწერა იყო მნიშვნელოვანი. ამგვარი გადაწერა დღესდღეისობით გავრცელებულია ინგლისურენოვან სკოლებში. ინგლისურ ენაში სიტყვის დაწერილობა საგრძნობლად განსხვავდება სიტყვის წარმოთქმისაგან. ამ ენებში (ინგლ. გერმ.) სიტყვის გრაფიკული სახე განპირობებულია არა გრამატიკული წესებით, არამედ ენის ისტორიით, ამდენად სიტყვის აგებულების დასამახსოვრებლად უნივერსალური საშუალება სწორედ გადაწერა გახლავს. ამ დროს დიდი როლი ენიჭება ხელის მოძრაობას და მხედველობას. მართლწერის ჩვევათა გამომუშავებისათვის ტრადიციულად იყენებენ კარნახს. კარნახის დროს კი ყურადღების ცენტრშია სმენითი აღქმა. ჩვენთვის ცნობილია, ქართული ენის მართლწერა და მართლწარმოთქმა ერთმანეთს ემთხვევა. მაგრამ მაინც არის ისეთი საკითხი, რომელთა დაუფლებისათვის კარნახის გამოყენება აუცილებელია. გვაქვს სმენითი, მხედველობითი კარნახი (ჩატარების პროცესის მიხედვით), შინაარსის მიხედვით თავისუფალი, შემოქმედებითი, გამოკრებითი; მიზანდასახულობის მიხედვით (გამაფრთხილებელი და საკონტროლო).

განსხვავებული ვითარებაა იმ ენებში, სადაც ორთოგრაფიას საფუძვლად ფონეტიკურ-მორფოლოგიური პრინციპები უდევს. კ. უშინსკი მოუწოდებდა გრამატიკული წესების ცოდნის აუცილებლობაზე. სწორედ გრამატიკული ცნების ცოდნა ხელს უწყობს შეგნებულობას მართლწერის სწავლებისას. მოსწავლე მაშინ არს დაუფლებული მართლწერას, როცა გამომუშავებული აქვს ორთოგრაფიის ავტომატიზირებული ჩვევები. მართლწერის ჩვევათა გამომუშავება იწყება წესის ახსნით, გაცნობიერებით და გრძელდება პრაქტიკული სავარჯიშოებით. მართლწერის ჩვევათა საფუძველს ორთოგრაფიის წესების მართებულად ათვისება წარმოადგენს. „მოსწავლეები ზეპირად ან წერილობით აყალიბებენ იმ ძირითად ნიშნებს, რომლის ერთიანობა სიტყვის სწორად დაწერით არის განპირობებული“ (Алгазина 1967: 37;). ორთოგრაფიის ჩვევათა გამომუშავებაში მხედველობით აღქმას, წარმოდგენებსაც დიდი როლი ენიჭებათ. თუ მოსწავლემ სიტყვის გრაფიკული სახე სწორად აღიქვა და დაიმახსოვრა, შესაძლოა მან ის ყოველთვის სწორად დაწეროს. სწორედ ვიზუალურ და მოტორულ ფაქტორებს ანიჭებდა უპირატესობას მართლწერის სწავლების საქმეში რუსი

მეთოდისტი ვ. შერემეტევსკი. ის წერდა, რომ ორთოგრაფია არის ხელოვნება გრაფიკული მხედველობითი(როცა ვწერთ, წესზე არ ვფიქრობთ, პირიქით, შეიძლება წესის ცოდნამ ხელიც შეგვიშალოს.

ბოგოიაველენსკი დაწვრილებით იკვლევს მართლწერის ფსიქოლოგიას და აღნიშნავს, რომ სისტემურობის დასაცავად მართლწერის სწავლება იწყება ახალი ორთოგრაფიული წესების გაცნობით და მთავრდება ბოლო ეტაპით, წესების ათვისებით. სწავლების პროცესში საჭირო და აუცილებელია სწორად შეირჩეს სწავლების მეთოდებიც. აუცილებელია მოსწავლე დავაინტერესოთ ორთოგრაფიული მასალით (როგორც ცნობილია ნაკლებად ინტერესდებიან) ისინი უნდა ჩავაყენოთ პრობლემურ სიტუაციებში. მოსწავლე თვითონ უნდა შეეჯახოს ორთოგრაფიულ სირთულეს და დაინტერესდეს ამით, უნდა გაუჩნდეს ინტერესი დავალების ამოხსნისა. ჰოვარდ გარდნერის „მრავალმხრივი ინტელექტის“ თეორია ეს არის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანისტური მიდგომა განათლების საკითხისადმი. გარდნერის აზრით, ყველა ბავშვს გააჩნია რვავე ტიპის ინტელექტი და შეუძლია მათი საკმაოდ მაღალ დონეზე განვითარება. იგი გვიჩვენებს, რომ ისე დავგეგმოთ გაკვეთილი, რაც შეიძლება მეტი ინტელექტის სფერო იყოს ჩართული.

თითოეულ ადამიანს უფრო მეტად აქვს განვითარებული რომელიმე ინტელექტი, ხოლო სხვა შეიძლება ნაკლებად ჰქონდეს განვითარებული. ერთი შეხედვით ძნელია კლასში, ამდენ მოსწავლესთან, ისეთი აქტივობების შერჩევა, რომ ყველას შესაძლებლობებზე იყოს ისინი მორგებული, თუმცა ძალიან ბევრი მასწავლებელი ამას ახერხებს და კარგადაც გამოსდის, ამიტომ ვფიქრობ, გარდნერის თეორიის გამოყენების მოსინჯვა ნავდვილად არ იქნება ურიგო.

ამრიგად, წესის ცოდნას არსებითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ვარჯიშის გარეშე მართლწერის ჩვევებისათვის არაა საკმარისი. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ავიცილებთ ორთოგრაფიული ჩვევების დეავტომატიზაციას.

მოგეხსენებათ, ჩვევა არის ისეთი მოქმედება, რომელსაც ბავშვი იმუშავებს, „ყოველი "სწავლითი ვარჯიში" ჩვევის გამომუშავებისკენ არის

მიმართული"(ჯანაშია...2010: 25;) დაწყებით სკოლაში დებულობენ მოსწავლეები პირველად ცოდნა-ჩვევას კითხვაში, წერაში, მართლწერაში. დაწყებით კლასებში მიღებული ცოდნა-ჩვევა მოსწავლის შემდგომი წარმატების საფუძველია. ვიცით, რომ სწავლა არის ქცევის წამყვანი ფორმა ბავშვისათვის. "სასწავლო ქცევის ძირითადი თავისებურება ის არის, რომ მისი მიზანია ახალი ცოდნის, ჩვევებისა და უნარების შეთვისება და არა გარე შედეგის მიღება"(მუხინა 1988: 181;). ბავშვის ფსიქიკური განვითარება სწავლის პროცესში ხდება. ცოდნისა და ჩვევის დიდ ნაწილს ბავშვები ითვისებენ მოზრდილებთან ურთიერთობის პერიოდში, ჩვევებისა და მითითებების შესრულების დროს. ცოდნის ღრმა და მტკიცე შეთვისებისათვის აუცილებელი პირობაა უნარი და ჩვევა. ამისათვის მასწავლებელი მოსწავლეს სისტემატურად ავარჯიშებს, აჩვენებს საუკეთესო ხერხებს მუშაობის პროცესში, ამოწმებს მათ უნარს. „წერის ჩვევა გულისხმობს ისეთი მოქმედების შესრულებას, რომელსაც ხელის თითების მტევნის და წინამხრის კომბინირებული მოძრაობით ასო ნიშნები გამოჰყავს... ჩვევა არის გარკვეული მოქმედების შესრულების ანუ განხორციელების უნარი, შემძლეობა, დისპოზიცია, რომელსაც არავითარი სხვა რამ მიზანი არ გააჩნია"(ხოჯავა 1950: 14;).

სწავლების პროცესში აუცილებელია ისეთი კოგნიტური ფაქტორები, როგორცაა რწმენები, მოტივაცია, მოლოდინები, მე-კონცეფცია. ეს ბანდურას სწავლების სოციალურ-კოგნიტური თეორიის ძირითადი ფაქტორებია. ამ თეორიის მიხედვით, მოსწავლეს შეუძლია ისწავლოს არა მარტო საკუთარი, ქცევის შედეგებიდან, არამედ სხვებზე დაკვირვებითაც.

სხვადასხვა ასაკის ადამიანის ფსიქიკური მოვლენები თავისებურებით ხასიათდება. ამიტომ აუცილებელია ვაკვირდებოდეთ მოსწავლის ფსიქიკურ მოვლენებს და ამის მიხედვით ვიმუშაოთ მათთან. სკოლამდელი ბავშვის მეტყველება ფაქტობრივად იმავე ფუნქციას ასრულებს, „რასაც ზრდა დასრულებულის მეტყველება (როგორც ურთიერთობის საშუალება, შესაძლებლობას აძლევს ბავშვს სხვა, მახლობელ ადამიანთან ბავშვის ასაკისათვის დამახასიათებელი ურთიერთობა დაამყაროს) ბავშვი აღწევს ასაკობრივი საგნებისა და მოვლენების შემეცნებას, მაგრამ მიუხედავად ამისა, თვითონ

მეტყველებითი აქტივობა არ განიცდება მის მიერ, იმ მოვლენებისგან განსხვავებული სინამდვილე, რომელიც ამ აქტივობით აღინიშნება"(მოსიავა 1962: 84;).

მოსწავლე წერა-კითხვის დაწყებისთანავე ხვდება ენის ბგერითი და გრაფიკული მხარეების ანალიზის საჭიროებას. დაწყებითი კლასიდანვე სწავლობს გაბმულ მეტყველებას, მთლიანიდან ცალკეული სიტყვების გამოყოფა შეუძლია. ენის ეს, ასე ვთქვათ, მოძრავი ბგერები გადადის მხედველობით-თვალსაჩინო გრაფიკულ ფორმებში. ამ პერიოდში ბავშვები მხედველობითი აღქმით განსაზღვრავენ ე. ი. დაწყებით კლასებში, როცა მოსწავლეები ასობის გრაფიკულ მოხაზულობას სწავლობენ, აქ ვაწყდებით ფსიქიკის თავისებურებებს, „რომელიც მდგომარეობს აღქმის სივრცითი ორიენტაციის სისუსტეში"(მჭედლიშვილი 1975: 253;). მართლწერის საკითხთა სწავლება დაწყებით კლასებში მოსწავლეთა მეტყველების განვითარებისა და წიგნიერების დონის ამაღლების ერთ-ერთი საშუალებაა, თავდაპირველად „ბავშვის მეტყველების სტრუქტურის დასაწყის პუნქტად გვევლინება სიტყვა-წინადადება, რომელიც ადრინდელ სტადიაში ასრულებს იმ ფუნქციას, რასაც მოზრდილთა მეტყველებაში მთლიანი წინადადება გამოხატავს"(Рубинштейн 1946:). ცალკეულ ფსიქიკურ პროცესთა განვითარება ხორციელდება მთელი უმცროსი სასკოლო ასაკის მანძილზე. ბავშვებს, მართალია, გააჩნიათ საკმაოდ განვითარებული აღქმის პროცესები, მაგრამ სასწავლო მოქმედებაში მათი აღქმა დაიყვანება ფორმისა და ფერის მხოლოდ ცნობასა და დასახელებაზე. მათ მიერ აღქმული საგნების ანალიზირებისა და დიფერენცირების შესაძლებლობები დაკავშირებულია მასთან შედარებით უფრო რთული სახის მოქმედების ჩამოყალიბებასთან. მოქმედების ეს სახე ანუ დაკვირვება, ინტერესით ყალიბდება სასკოლო სწავლის პროცესში. უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის სწავლის პროცესში მოსწავლეს უხდება მრავალი ამოცანის მოგვარება, რომელთა გადაჭრა დაკავშირებულია ორგანიზებულ და გეგმაზომიერ აღქმასთან. აღქმა არის ცოდნისა და გამოცდილების შექმნის წყარო. სწავლის დროს ყველაზე რთულია „მოსწავლეს სასწავლო მასალა მივაწოდოთ ისეთ ფორმაში, რომ მან იგი აღიქვას ყველა იმ მომენტით, რომელთა ცოდნა აუცილებელია“ (გოგიჩაიშვილი 2001: 74;). ამისათვის უნდა გავითვალისწინოთ იმ ასაკის მოსწავლის აღქმის ძირითადი თავისებურებანი, თორემ შეცდომები გარდაუვალი იქნება.

აღქმა ხორციელდება შეგრძნების გზით – ფერის, სუნის, გემოს...საშუალებით. გვეძლევა „სასკოლო ასაკის პირველ საფეხურზე იმ შეგრძნებათა უნარი, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი სწავლის აქტივობაში, ეს იმას ნიშნავს, რომ შეგრძნებები, რომლების მხოლოდ აღქმაში არსებობენ და მოქმედებენ აღქმითი აქტივობის გზით, აღქმასთან ერთად ვითარდებიან“ (ჩხარტიშვილი 1963: 7;). უმცროსკლასელთა აღქმა კავშირშია შეგრძნების განვითარების დონესთან. იგულისხმება მხედველობისა და სმენის შეგრძნების განვითარების დონე. ბავშვი გარესამყაროს შესახებ ინფორმაციას იღებს მხედველობის საშუალებით. უმცროსკლასელებში ჭარბობს სასიგნალო სისტემის მოქმედება, ამ პერიოდში სწავლებაში წამყვანი როლი თვალსაჩინოებას და გრძნობად აღქმას ენიჭება. ამ ასაკის ბავშვის აღქმის ერთ-ერთი თავისებურება არის სიტყვათა გრაფიკული გამოსახულების არასაკმარისი დიფერენცირებული აღქმა. ერთნაირი ფორმით ასოთა შორის განსხვავების გაკეთება უჭირთ. ამიტომ ვაწყდებით შეცდომებს, ბავშვები ურევნ ერთმანეთში ასოებს. მას არა აქვს საკმარისად განვითარებული ანალიზისა და სინთეზის უნარი, რაც თავისებურ სიძნელეს ქმნის წერა-კითხვის სწავლებაში. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის აღქმის ის თავისებურებანი და სათანადო ორგანიზაციაც უნდა გაუკეთოს.

ვერც ერთი ფსიქიკური პროცესი ვერ გამოვლინდება თუ მას არ დაეხმარა ყურადღება, რომლის „საშუალებითაც ადამიანი მის ცნობიერებას გარკვეული ობიექტისაკენ მიმართავს“(ყოლბაია 1989: 109;). ამის გამო ხდება ობიექტი ნათელი და მკაფიო. ყურადღება მონაწილეობს ყველა ფსიქიკური პროცესების მიმდინარეობაში. ეს განსაკუთრებით ითქმის შეგრძნების, აღქმის, მეხსიერების, აზროვნების პროცესებზე. ბავშვს სკოლაში შესვლის პირველ ხანებში აქვს პასიური ყურადღება – უნებლიე ყურადღება. იგი ვერ მართავს ყურადღებას, რადგან მისი ყურადღება იზიდავს გარე ობიექტებს. ამ ასაკის მოსწავლეებთან მუშაობით უნდა მივალწიოთ, რომ უნებლიე ყურადღებამ მიიღოს ნებითი ყურადღების სახე. სწორედ ნებითი ყურადღების განვითარებასთან ერთად უვითარდებათ მათ არჩევითი ხასიათი. იგი არჩევს სასწავლო მასალას მასწავლებლის დახმარებით და ყურადღებით ეკიდება მას. რაც შეეხება სასწავლო მასალას, იგი „ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ ბავშვში მოქმედებდეს ყველა

ფსიქიკური აქტი"(ბაქრაძე 1959: 19;). დაწყებითი სკოლის ბავშვის ყურადღებას ახასიათებენ გაფანტულობის მაღალი ხარისხით. ამიტომ აუცილებელია სიმყარისათვის გაკვეთილის სწორად წარმართვა და მრავალფეროვანი მეთოდებისა და ხერხების გამოყენება. "ბავშვის ყურადღება მაშინაა ხანგრძლივად საგნისაკენ მიპყრობილი, როცა მის ცნობიერებაში ამ საგნის ახალი და ახალი მხარეები შემოდის, როცა ცნობიერება "შინაარსის სინაკლულეს" არ განიცდის"(კაკაბაძე 1962: 80;).

როგორც ვიცით, სწავლება ფსიქოლოგიური პროცესია და მისი სწორი წარმართვა იწვევს მოსწავლის ინტელექტის განვითარებას. სწავლის პროცესში ბავშვს უნდა განუვითაროთ ფსიქიკური ძალები, ამისათვის დიდი როლი ენიჭება კრიტიკული აზროვნების განვითარებას. „აქტიური პროცესები (გააზრება, ფიქრი) მაშინ წარმოიქმნება, როცა მოსწავლეს ეძლევა დავალება, გარკვეულწილად იგი მისთვის უნდა წარმოადგენდეს სიახლეს. სწორედ აქ ვარდება იგი პრობლემურ სიტუაციაში და ხვდება, რომ საჭიროა მისი საფუძვლიანი შესწავლა"(Богоявленский 1966: 130;).

ფსიქოლოგიის მონაცემთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია მართლწერის სწავლებაში მუშაობის სტილის შერჩევა. ორთოგრაფიის წესების შესწავლა მოითხოვს შემსწავლელისაგან შეგნებულ დამოკიდებულებას შესწავლილი მასალის მიმართ. სწავლების პროცესში მოსწავლეს ვაწვდით არა მხოლოდ ცოდნას, არმედ ვუვითარებთ მეხსიერების პროცესებსა, „რომლებიც ამ ცოდნის მტკიცედ შეთვისებისათვის არის საჭირო, მეხსიერება სწავლის პროცესში ყალიბდება და ვითარდება"(ფრანგიშვილი 1969: 57;).

როგორც ვნახეთ, ფსიქოლოგია ენის სწავლების საქმეში წამყვან როლს ასრულებს, კერძოდ მართლწერის სწავლების პროცესში. ორთოგრაფიის სწავლებისას გარკვეულ როლს მხედველობითი აღქმა და წარმოდგენები თამაშობს. მართლწერის შესწავლისას აუცილებელია წესის ცოდნა, განმტკიცება; მისი ჩვევის გამომუშავება კი უნდა მოხდეს მიზნობრივი წერითი სავარჯიშოების ჩატარების გზით. „წესის გაგება და მისი სიტყვიერი ფორმულირების დამახსოვრება მხოლოდ დასაწყისი ეტაპია. ამ პროცესის

ბედი დამოკიდებულია იმ ქმედებაზე, რომელშიც მარეგულირებელ ფუნქციას წესი ასრულებს (Богоявленский 1966: 247;).

ამრიგად, ფსიქოლოგია მართლწერის სწავლებისას წამყვან როლს ასრულებს, რადგან ცოდნის მიღება-შემეცნება ეს ხომ თვით ფსიქოლოგიური მოვლენაა.

თავი III

მართლმეტყველებისა და მართლწერის საკითხთა სწავლება დაწყებით სკოლაში

3.1. მოსწავლეთა ფონემატური სმენის განვითარება, როგორც ქართული მართლმეტყველების დაუფლების წინაპირობა

მშობლიური ენის შესწავლისათვის, პირველ რიგში, დიდი მნიშვნელობა აქვს "ბგერითი სისტემის კანონზომიერებათა შეგნებულად ათვისებას და სწორად წარმოთქმის ჩვევათა გამომუშავებას"(ჭახნაკია 1990: 3;). ფონეტიკა ენათმეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. მისი ცოდნა აადვილებს მართლწერის წესების დადგენასა და მის შესწავლას. „ფონეტიკას საქმე აქვს ადამიანის მეტყველების ბგერით მასალასთან; შეისწავლის ენის ბგერით შემადგენლობას, ენის ბგერით წყობას და ბგერით ცვლილებებს ენაში; აგრეთვე ამ ცვლილებათა კანონზომიერებებს" (ჩიქობავა 1952: 139;).

ბგერა უმცირესი სამეტყველო ერთეულია, ხოლო მისი გრაფიკული გამოსახულება არის ასო. ქართული ენა ბგერისა და ასოს ურთიერთმიმართებაში სრულყოფილი ენაა. თანამედროვე სალიტერატურო ენაში 33 ბგერაა. თითოეულ ბგერას თავისი შესატყვისი წერითი ნიშანი აქვს, რომელსაც ასო ეწოდება. წარმოთქმა და წერა უმთავრესად ერთმანეთს ემთხვევა. თითქოს მართლწერის შესახებ აღარ უნდა გვიხდებოდეს საუბარი, მაგრამ ეს ასე არ არის, რადგან აქაც ვაწყდებით სირთულეებს. დამწერლობის სიძველე და სხვა ფაქტორები განსაზღვრავენ ამა თუ იმ ენის ორთოგრაფიის სირთულის საკითხს. „ქართულში ფონეტიკური ცვლილებები ისტორიულად ნაკლებია, ვიდრე სხვა ენებში. ამიტომ, რომ ქართულში არ მოხდა წარმოთქმასა და წერას შორის იმდენი დამორება, რამდენიც, მაგალითად, რუსულში ან რომელიმე ევროპულ ენაში, მაგრამ ორთოგრაფიის საკითხები აქაც მწვავედ დგას" (ახვლედიანი 1938: 87;).

ფონეტიკის საკითხებზე მუშაობა, ჩვეულებრივ, ბგერისა და ასოს შესწავლით, მათ შორის განსხვავების დადგენით იწყება. II კლასში საუბარია სიტყვის დამარცვლასა და გადატანის მარტივ შემთხვევებზე. III - IV კლასებში ეს საკითხები უფრო რთულდება. V კლასში კი მზად არის საფუძველი იმისა, რომ ამ საკითხების შესახებ ცოდნა გაიღმავონ. თეორიული მასალასთან ერთად აუცილებელია ისეთი სავარჯიშოები, „რომელნიც შესაფერი იქნებიან მოსწავლეთა გონებრივი შესაძლებლობისათვის და გაუფართოვებენ ცოდნას“(ლორთქიფანიძე 1957:).

ბგერათა მართლწარმოქმნაზე მუშაობას პირველი კლასიდანვე ექცევა სათანადო ყურადღება. პირველ კლასში ბავშვებს ჯერ კიდევ არა აქვთ ჩამოყალიბებული ეს ჩვევა, უჭირთ ბგერის პოზიციის განსაზღვრა, ბგერასა და ასოს შორის ადეკვატური მიმართების დამყარება, შესაბამისად – სიტყვაში მარცვლთა გამორჩევა. უმცროსკლასელთა მეტყველებაში დაფიქსირდა შეცდომები როგორც *ფონეტიკური* – სიტყვაში ბგერის გამოტოვება (სახში), ერთი ბგერით მეორე ბგერის შეცვლა (ბახში, სავანტყოფო...), ბგერათშერწყმა (გვერძე), ბგერათა გადაადგილება (ცალიერი)..., ისე – *მორფოლოგიური ხასიათის*: ორი მ-ს, ორი ს-ს და ვით. ბრ. ნიშნის (სახელებთან), ორი ვ-ს (ზმნებთან) არასწორად წარმოთქმის, ზმნებთან უ-სა და ო-ს წინ პირველი პირის ნიშნის გამოტოვების... შემთხვევები.

რადგან ქართულში მართლწერის საფუძველი ძირითადად მართლწარმოთქმას, ამიტომ მოსწავლეებს ჯერ ზეპირმეტყველებაზე ვავარჯიშებთ. შეცდომების თავიდან აცილებისათვის დაწყებით სკოლაშივე ყურადღება უნდა მივაქციოთ ყოველივე ამ საკითხებს სიტყვის ფონეტიკური სტრუქტურის დაუფლებით და სიტყვის მართლწარმოთქმაზე მუშაობით.

კითხვის შესწავლამდე მასწავლებელი თავად უკითხავს მოსწავლეებს ზღაპრებს, მოთხრობებს, ლექსებს და წარმოათქმევინებს მათ. ამ შემთხვევაში ეფექტურია „დიდი წიგნის ერთობლივი კითხვის“ მეთოდის გამოყენება. „დიდი წიგნი“ გაზეთის ზომის წიგნია, სადაც დიდი ასოებითაა წარმოდგენილი ტექსტი, თითოეულ გვერდზე მარტივი ნახატებია განთავსებული. წიგნის კითხვისას რამდენჯერმე მეორდება ერთი და იგივე

სიტყვა ან ფრაზა, რათა უკეთ დაიმახსოვროს მოსწავლემ. ჯერ მოსწავლეებმა არ იციან კითხვა, მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები „კითხულობენ“ ხმამაღლა და გამომეტყველებით, იმახსოვრებენ წინადადებებს. „კითხულობენ“ აუდიტორული მეხსიერებით. მეთოდის გამოყენების შედეგად მოსწავლე შეძლებს მოისმინოს, აღიქვას და გადმოსცეს მარტივი ინფორმაცია მისთვის ნაცნობ თემებზე. ანუ დეკოდირების დაწყებამდე მოსწავლეები ეჩვევიან ტექსტთან ურთიერთობას და ნელ-ნელა გადადიან მარცვლებსა და ასო-ბგერებზე (პაპავა 2010: 118;).

ამ ეტაპზე აუცილებელია მოსწავლეთა დაკვირვება უშუალოდ მეტყველებაზე. მას ვუჩვენებთ წინადადებას თვალსაჩინოდ, „ წინადადების გათვალსაჩინობაა თვითონ მეტყველებითი მოქმედების კონკრეტული ფაქტი და არა ის შინაარსი, რაც ამ მოქმედებით გადმოიცემა“ (მოსიავა..1955: 75;).

ენის თვალსაჩინოდ სწავლება ბავშვის მიერ მეტყველებითი მოქმედების კონკრეტული ფაქტების აღმოჩენას ნიშნავს. მეტყველებაზე მუშაობაა მოსწავლის მომზადება სიტყვის მარცვლობრივი სტრუქტურის დაუფლებისათვის. სიტყვის დამარცვლით მოსწავლე ახდენს პირველ ორიენტაციას სიტყვაში. ვიყენებთ მუშაობისას სწავლების სხვადასხვა ხერხს: ა) სიტყვიდან მარცვალთა გამოყოფა და ამ მარცვლის იდენტიფიკაცია, ბ) სიტყვის თქმის პროცესში ყოველ მარცვალზე შეჩერება, გ) სიტყვის შემადგენელ მარცვალთა რაოდენობის დათვლა, მისი რიგობითი ადგილის აღნიშვნა. ასეთი სწავლება ამზადებს მოსწავლეს სიტყვის ბგერებად დაყოფის სწავლებისათვის. ამის შემდეგ კი გადავდივართ სიტყვის ფონემური სტრუქტურის დაუფლებაზე. მოსწავლე უნდა მივახვედროთ, რომ ყოველი სიტყვა ცალკე ბგერებისაგან შედგება, ერთი ბგერის დამატებას (გამოკლებას/გადანაცვლებას) შეუძლია სიტყვას მთლიანად შეუცვალოს მნიშვნელობა, ბგერა სხვადასხვა სიტყვაში სხვადასხვა პოზიციაში გვხვდება. სიტყვის ბგერითი ანალიზის შემდეგ ჩვენი ამოცანაა, ცალკეული ბგერების შემჩნევა - გამოყოფა და სიტყვის ფონემური სტრუქტურის დაუფლება.

მოსწავლე უნდა ვავარჯიშოთ სიტყვიდან ბგერის გამოყოფაზე. უნდა ვასწავლოთ ამ გამოყოფილი ბგერის ცნობა სხვა სიტყვაში , ამის შემდეგ მან უნდა შეძლოს მოიგონოს

სიტყვები, რომელშიც მოცემული ბგერა გვხვდება. ფონემის ჩამოყალიბების პროცესში ეს აუცილებელია. უკვე საანბანო პერიოდში სრულდება ფონემის გამომუშავება მისი გრაფიკული ნიშნის გაცნობით, „რაც საბოლოოდ აყალიბებს ფონემას და ხელს უწყობს მის ფიქსაციას ბავშვის ცნობიერებაში“(მოსიავა.. 1955: 10;).

რუსმა ფსიქოლოგმა ი. ელკონინმა მოძებნა საინტერესო გზა სიტყვის ბგერითი მატერიალიზაციისა, რათა მოსწავლეს უკეთ გაეცნო სიტყვის ბგერითი აგებულება. წარმოადგინა ნახატი, მის ქვეშ ცარიელი უჯრები, ამ უჯრების რაოდენობა სიტყვაში შემავალ ასოთა რაოდენობას შეესატყვისება. მოსწავლეს ევალებოდა ფერებით განესხვავებინა ხმოვანი და თანხმოვანი.

„ბგერათა მატერიალიზაციის“ ეს ხერხი გარკვეული სახეცვლით გამოყენებულია ამჟამად მოქმედ „დედაენაში“ (ნ. მაღლაკელიძე, ე. მაღლაკელიძე) წერა-კითხვის დაწყებამდე. მოსწავლეებს ვაცნობთ ასო-ბგერათა აღმნიშვნელ გრაფიკულ ნიშანებს, ისინი სიმბოლიკების საშუალებით გამოსახვენ სიტყვებს გრაფიკულად. ხმოვანი - , თანხმოვანი - , მარცვალი - , სიტყვა- და წინადადება- .

ამ დროისათვის მათ გამომუშავებული აქვთ ელემენტარული გრაფიკული ჩვევები და სიმბოლიკებით შეუძლიათ ჩაწერონ მოსმენილი ტექსტი.

წინასაანბანო პერიოდში თუ მოსწავლე არასწორად წარმოთქვამს სიტყვას, თავიდან ვამეორებინებთ მართებულ ფორმებს, ანდა სიტყვას ვაყოფინებთ ბგერებად ან მარცვლებად და ცალ-ცალკე ასე წარმოვითქმევინებთ, ვავარჯიშებთ ენის გასატეხით. ფონეტიკის სწავლება მთლიან ტექსტებზე მუშაობასთან უნდა იყოს ინტეგრირებული. "მუშაობის ეს სახე ხელს უწყობს ზეპირი მეტყველების კულტურის ჩვევათა დანერგვა-განვითარებას"(ჩინჩალაძე 1971: 32;).

დიდი ყურადღება უნდა გავამახვილოთ სწავლებისას ბგერითი სისტემასა და საარტიკულაციო ბაზისის თავისებურებაზე. მოსწავლეთათვის ნათელი უნდა გავხადოთ, რომ სამეტყველო ბგერა წარმოშობით ბიოლოგიურია, სამეტყველო

ორგანოებს დაწვრილებით არ აღვწერთ, მაგრამ ძირითად და აუცილებელ ნაწილებზე კი ვამახვილებთ ყურადღებას.

მართლწარმოთქმაზე ვარჯიშის დროს ყურადღებას ვამახვილებთ ყოველი ბგერის სწორად, გამოკვეთილად და სრული ბგეროვნებით წარმოთქმაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით პრობლემურია ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ქ, რ, ლ, მ, ნ, ვ თანხმოვნები. შეცდომების თავიდან ასაცილებლად კარგია ამ ფორმების მართლწარმოთქმაზე პრაქტიკული ვარჯიში, სწორი წარმოთქმა ხომ სწორი წერის საწინდარია. რ-ლ წარმოთქმა უფრო სიმძნელებთან არის დაკავშირებული (ლ ბგერას არბილებენ), მ-ნ-ვ იმდენად არა, მაგრამ უცხო ენათა გავლენით მაინც ხდება ამ თანხმოვანთა არასწორი წარმოთქმა, რაც მიუღებელია ქართული ენისათვის.

ამ „დედაენაში“ მოთავსებულია სავარჯიშოები, რომელთა გამოყენებაც აღმოფხვრის ასეთი ტიპის შეცდომებს. ერთ-ერთი ასეთი სტრატეგიაა ჩქარსათქმელების წარმოთქმა. მასწავლებელი საგანგებოდ ავარჯიშებს მათ ძნელად წარმოსათქმელი ბგერების მართლწარმოთქმაზე, აძლევს ნიმუშს, ყურადღებას ამახვილებს საარტიკულაციო ორგანოების პოზიციაზე: „რიონი ნარიონალში, ნიორი - ნანიორალში“, „ლომმა დაღლილი თვალი მილულა, სველ ლელიანში სულს ლევს გმირულად,“ თეთრი თრითინა თეთრ თრთვილზე თრთოდა“, ხევ-ხევ ხერხი მიცუხცუხებს, აცახცახებს ვერხვებს, მუხებს“.

ასეთი სავარჯიშოებით მოსწავლეები ეუფლებიან ბგერათწარმოთქმას და გასაგებად და დიფერენცირებულად გამოთქვამენ სიტყვებს. ამავე მიზნით გამოიყენება ანდაზები და გამოცანებიც.ყოველი ახალის ასო-ბგერის შესწავლისას მოსწავლეებს ეცნობათ ანდაზა/გამოცანა, რომელიც ამ ასო-ბგერით იწყება.

ფონემატური სმენის განვითარებას ხელს უწყობს ისეთი სიტყვების მართლწამოთქმაზე დაკვირება, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ა)მხოლოდ ერთი ბგერით (წელი-ცელი, ქუდი – კუდი, ქარი –კარი, ძმა – ხმა, თმა...), ბ) მსგავსი ბგერების პოზიციით (მთა – თმა). ასევე ეფექტურია დიდაქტიკური თამაში „მარცვლობანა“: მასწავლებელს ხელში უჭირავს პატარა ბურთი, ასახელებს სიტყვის

პირველ (ბოლო) მარცვალს, ვისაც გადაუგდებს ბურთს, მან უნდა დაასახელოს სიტყვის ბოლო (პირველი) მარცვალი: ქა... (ლი, და, რი...), (ქა, ხა, და...) რი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე ფონემატური სმენის განვითარება მჭიდროდ უკავშირდება მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე მუშაობას. მაგ. დაასახელეთ სიტყვა, ა) რომელიც იწყება ა ბგერით, ბ) რომელშიც ა ბგერა სიტყვის ბოლოშია, გ) რომელშიც ა სიტყვის შუაშია, დ) რომელშიც ორი (სამი) ა ისმის, ე) შეადგინეთ წინადადებები ამგვარი სიტყვების გამოყენებით, ვ) შესაბამისი მარცვლების მიმატებით მიიღეთ ახალი სიტყვები. ვარჯიშობენ ახალი სიტყვის მიღებაზე: ასო-ბგერის გადანაცვლებით, ასო-ბგერის შეცვლით, ასოს ამოღებით და ასოს ჩამატებით.

ამგვარი მუშაობით, გარდა იმისა, რომ მოსწავლე ეუფლება ცალკეული ბგერების (სიტყვების) მართლწარმოთქმას, უვითარდება ფონემატური სმენა, სიტყვის ბგერითი ანალიზისა და სინთეზის ჩვევა, იმ დასკვნამდეც მიდის, რომ "აზრი სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირებით გამოითქმის, სიტყვა ბგერებისაგან შედგება, ბგერები ასოებითაა აღნიშნული" (რამიშვილი 1979: 37;).

3.2. მარცვალი, სიტყვის დამარცვლა გადასატანად

მოსწავლეთა ფონემატური სმენის განვითარებისა და სიტყვის სტრუქტურაში გარკვევისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სიტყვის დამარცვლას, რომელიც შემდგომში საფუძვლად ედება სიტყვის გადატანის წესების გაცნობას. მარცვლის შესწავლა „ავითარებს მოსწავლეებში სიტყვათა ბუნებრივ ნაწილებად დაყოფის ჩვევას და ყოველი ნაწილი ზუსტად, მკაფიოდ წარმოითქმის"(თალაკვაძე 1975: 49;). ამ საკითხებს ძველ გრამატიკებშიც ვხვდებით, მაგრამ საფუძვლიანად იგი ა. შანიძემ წარმოადგინა "სასკოლო გრამატიკაში". მარცვლის რაობას, სიტყვის დამარცვლას მოსწავლეები ჯერ კიდევ წინასაანბნო პერიოდში ეცნობიან პრაქტიკულად (სათანდო წესების მიწოდების გარეშე). წერა-კითხვის შესწავლის პროცესში კი სისტემატურად ხდება სიტყვის დაყოფა

მარცვლებად, ამ მარცვლებით სიტყვების შედგენა. ეს უქმნის საფუძველს მოსწავლეს შემდგომში სიტყვის გადატანის წესებს გააზრებულად გაეცნოს.

სწავლების პროცესზე დაკვირვებითა და მოსწავლეთა ნაშრომების ანალიზით დადგინდა ტიპობრივი შეცდომები, რომლებიც მარცვლის შესწავლასთან არის დაკავშირებული: სათანადო წესის ცოდნის მიუხედავად, მომდევნო კლასებში მოსწავლეებს მაინც უჭირთ სიტყვის დამარცვლა გადასატანად; როცა წესს აცნობ, მაშინ შეიძლება მოცემული სიტყვა სწორად დამარცვლონ, მაგრამ არ იყენებენ ამ წესს წერისას.

საპილოტე კლასებში (IIკლ.) სწავლება „მარცვლის გაცნობა“ წარმართეთ ინდუქციის გზით. ამ დროს ახალი მასალის სწავლება მიემართება კონკრეტული ფაქტების ანალიზიდან ზოგადისაკენ, ანუ წესისაკენ. გამოიყენება თვალსაჩინოება, რომელიც სწავლების პროცესში დიდ ეფექტს იძლევა. ტრადიციულთან ერთად გამოვიყენეთ ე. წ. „შემოქმედებითი ხასიათის“ წერითი სავარჯიშოები, "რომელთა ჩატარების პროცესში მოწაფეები უკეთ აცნობიერებენ შესწავლილ წესს, აქტიურად აზროვნებენ დასახული ამოცანის გადაწყვეტაზე“ (რამიშვილი 1966: 46;). აქ „ისეთი სავარჯიშოები უნდა იყოს შერჩეული, რომელნიც შესაფერი იქნებიან მოსწავლეთა გონებრივი შესაძლებლობისათვის და გაუფართოვებენ ცოდნას ბგერის შესახებ“ (ლორთქიფანიძე 1957:). ამგვარი სავარჯიშოები ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტივიზირების, დაკვირვების, ძიების, კონტროლის, თვითკონტროლის, მსჯელობის უნარის გამომუშავებას, შესწავლილი ენობრივი მოვლენის ცოდნის განმტკიცებას.

მოსწავლეებს მოვარგონეთ ხმოვანთა რაოდენობა ქართულში. ამის შემდეგ დაფაზე დავწერეთ სიტყვები: *ქა-ლი, თო-ჯი-ნა, მა-ტა-რე-ბე-ლი*. დავაკვირვეთ, თუ რამდენი ხმოვანია თითოეულ სიტყვაში და რამდენი ნაწილისაგან შედგება ეს სიტყვები. ამის შემდეგ მივაწოდეთ წესი: *სიტყვაში იმდენი მარცვალია, რამდენი ხმოვანიც არის*. ეფექტურია, თუ გამოვიყენებთ ტაბულას და საკლასო ოთახის კედელზე მოვათავსებთ.

სიტყვაში იმდენი მარცვალია, რამდენი ხმოვანიც არის.

ქალი

ქა-ლი

თოჯინა

თო-ჯი-ნა

მატარებელი

მა-ტა-რე-ბე-ლი

ამის შემდეგ კონკრეტული მაგალითების ანალიზით (ამ ეტაპზე სასურველია დასამარცვლად შეირჩეს ორ და სამმარცვლიანი თანხმოვანდაუჯგუფებელი სიტყვები) ვარკვევთ მარცვალთა რაოდენობას სიტყვაში.

დაფასთან ვავარჯიშებთ მოსწავლეს სიტყვის დამარცვლაზე, ხმოვანთა და თანხმოვანთა რაოდენობის დადგენაზე. ამაში მთელი კლასი იღებს მონაწილეობას.

მარცვალზე მუშაობას დავუკავშირეთ ლექსიკური მარაგის გამდიდრება. მოსწავლეები დავაკვირვებთ სხვადასხვა მარცვალთა მიმატებით, გამოკლებით ან შეცვლით სიტყვათა მნიშვნელობის ცვლაზე.

საპილოტე კლასს შევთავაზებთ სავარჯიშოთა სისტემას:




❖ დააჯგუფეთ მარცვლები ისე, რომ მიიღოთ სიტყვები.

ლი, ბა; ცი, კა; ლი, მა, მა; ტა, მა, ბე, რე, ლი; ბე,ლო; კა,ბე, კე;

❖ წარმოვთქვათ ხმამაღლა და გამოვარკვიოთ, რამდენ მარცვალს შეიცავს სიტყვები.

ცა, მზე, მამა, ცხრა, სიფაქიზე, ლომი, ქათამი, ტელევიზორი.

❖ მარცვალთა დამატებით მიიღეთ ახალი სიტყვები:



❖ ვავალებთ, შესწავლილი ტექსტიდან მოძებნონ ერთმარცვლიანი, ორმარცვლიანი და სამმარცვლიანი სიტყვები და დამარცვლონ.

❖ მოსწავლეებს მივეცით ნაწყვეტი ლექსიდან, მათ ვვავალებოდათ, ერთმარცვლიანი სიტყვებისათვის ერთი ხაზი გაესვათ, ორმარცვლიანებისათვის -ორი;

„დიდი ხანია, შესცქერის
 მაღლა ვაშლს ცელქი შაქარა,
 ოჰ, ნეტავ, ერთი მოსწყდესო,
 ამბობს თვის გულში შაქარა.“

❖ ჩასვით გამოტოვებული მარცვლები:

ბა- ... -ხი, სა- ... -მუ-რი, ლი- ...-მო-ნი, ... -ლა-ქი,

ბოლოს ინდივიდუალური ბარათების საშუალებით გავარკვიეთ, შეითვისეს თუა არა ეს საკითხები მოსწავლეებმა. მოსწავლეები ინდივიდუალურად ავსებენ ამ ბარათებს .

სიტყვა	მარცვალთა რაოდენობა
მამალი	
მზე	
ბალახი	
მამა	
საპყრობილე	
ცხრა	
ვერხვი	
სამშობლო	
წყალი	
საქართველო	

გაანალიზდა 63 მოსწავლის წერიტი ნამუშევარი. აქედან: 8 შეცდომა დაფიქსირდა ერთმარცვლიან სიტყვებთან, ორმარცვლიანთან – 6, სამმარცვლიანებთან 10, ოთხმარცვლიანთან –12. გამოირკვა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობამ სწორად გააკეთა დავალება.

იხილეთ დანართი №1

მარცვლის გაცნობისას, სიტყვის სტრუქტურის გააზრებისას აუცილებელი პირობაა სავარჯიშოთა მართებული შერჩევა, რამდენადაც სწორედ მათი საშუალებით შეიძლება ცოდნის ჩვევაში გადაყვანა. სწავლების ასე წარმართვისას მოსწავლეებს არ უჭირთ სიტყვის დამარცვლა, ამ დროს ისინი უკეთ აცნობიერებენ შესწავლილ წესს (სიტყვაში იმდენი მარცვალია, რამდენიც – ხმოვანი), პრაქტიკულად იყენებენ მას და დასახული ამოცანის გადაწყვეტაც არ უჭირთ; ასევე - სწავლების ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის განპირობებული სწავლების გზითაც – ინდუქციით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში.

სიტყვის დამარცვლასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სიტყვის სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანის საკითხები. გადატანის საკითხი წმინდა პრაქტიკული ხასიათისაა და მართლწერის დაუფლებას ემსახურება. დამარცვლა ძირითადი საფუძველია გადატანის წესებისა, მაგრამ ისინი ყოველთვის როდი ემთხვევა ერთმანეთს. გადასატანად სიტყვის დაყოფის წესების ცოდნა ხელს უწყობს მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლებას.

გადატანის წესები ბევრად რთულად იყო ა. შანიძის, ვ. რამიშვილის სახელმძღვანელოთა ადრეულ გამოცემებში, ახლა კი გადატანის წესები ბევრად გამარტივებულია.

ძველად სიტყვის გადატანას ედო როგორც ფონეტიკური – 1. ერთი ასოს დატოვება ან გადატანა არ შეიძლება, 2. ერთმარცვლიანი სიტყვა გადასატანად არ გაიყოფა, 3. სიტყვა იყოფა ხმოვანზე, 4. თანხმოვანდაჯგუფებულ სიტყვებში ერთი თანხმოვანი რჩება წინა მარცვალთან, დანარჩენი გადადის, 5. ჰარმონიული

კომპლექსების – ბღ, დღ, ძღ, ჯღ, ფხ, თხ, ცხ, ჩხ, პყ, ყტ, წყ, ტყ – გათიშვა არ შეიძლება –ისე მორფოლოგიური პრინციპი: 1. თანდებულისა და ზმნისწინის გაყოფა არ შეიძლება, 2. არ შეიძლება არც ბრუნვის ნიშნის გათიშვა და ა. შ. ძველ სკოლაში ყველა ეს საკითხი ისწავლებოდა. ფონეტიკის კურსის გავლისას ისწავლებოდა სიტყვების გადატანა ფონეტიკური პრინციპით, ხოლო მორფოლოგიის საკითხების სწავლებისას თანდათან ივსებოდა ეს ცოდნა და მოსწავლეებს ეცნობოდათ სახელებისა და ზმნის ფორმაცვლასთან დაკავშირებით.

ძველ სახელმძღვანელოებში (ა. შანიძე; ვ. რამიშვილი) წარმოდგენილი იყო გადატანის ძირითადი ხუთი წესი:

1. ერთმარცვლიანი სიტყვა გადასატანად არ დაიყოფა. ეს წესი ვრცელდებოდა ა) ორმარცვლიან სიტყვაზე, რომელშიც მხოლოდ ორი ხმოვანია და გადასატანად არ დაიყოფა - „ია“. ბ) ორმარცვლიან სიტყვაზე, რომელშიც ორ ხმოვანთან მხოლოდ ერთი თანხმოვანია-„სია“. გ) ისეთ სიტყვაზე, რომელშიც ცალ-ცალკეა დაჯგუფებული ორი ან ორზე მეტი ხმოვანი - „მზია“. დ) ერთი ხმოვანი ან ერთი თანხმოვანი არც წინა სტრიქონზე რჩება და არც მომდევნო სტრიქონზე გადაიტანება.

2. სიტყვა, რომელშიც იმდენი თანხმოვანია, რამდენიც ხმოვანი და თითო მარცვალში ხმოვანთან ერთად შედის ერთი თანხმოვანი გადასატანად მარცვლებად დაიყოფა. მაგ. „ლა-მა-ზი“

3. თუ სიტყვაში ხმოვანთა შორის ერთზე მეტი თანხმოვანია, პირველი თანხმოვანი პირველ მარცვალთან რჩება, უკანასკნელი კი მეორე მარცვალს გადაჰყვება. დანარჩენები ან პირველ მარცვალს მიეკუთვნება, ან მეორე მარცვალს გადაჰყვება. მაგალითად: ქარ-თვე-ლი

ამავე წესით ხდება ისეთი სიტყვების გადასატანად დაყოფა, რომლებშიც ჰარმონიული ჯგუფებია; „ოთ-ხი, სიც-ხე, სიტ-ყვა ან სიტყ-ვა“

4. სიტყვა, რომელშიც ერთად იყრის თავს რამდენიმე ხმოვანი, მარცვლების მიხედვით კი არ დაიყოფა, არამედ, ზოგიერთ გადასატან ერთეულში ორი მარცვალი შევა; “ აი-კი-და, აუ-ღია“.

5. რთული სიტყვის გადასატანად დანაწილებისას მასში შემავალი ფუძეები ცალ-ცალკე დაიყოფა და ისე გადაიტანება; ხავს-მო-კი-დე-ბუ-ლი, ჯა-რის-კა-ცი“.

ამჟამად კი II - III კლასში სიტყვის დამარცვლისა და გადატანის მარტივი შემთხვევები ეცნობათ მოსწავლეებს. II კლასში ეცნობათ მოსწავლეებს გადატანის ორი წესი: 1. *ერთმარცვლიანი სიტყვა გადასატანად არ დაიყოფა.* 2. *სიტყვა იყოფა ხმოვანზე და სიტყვის გადასატანად დაყოფისას თანხმოვანთან ერთ ხმოვანს ვტოვებთ.*

ეს წესები მაგალითის ანალიზის საფუძველზე ავხსენით და წესები დავაზეპირებინეთ მოსწავლეებს. შესწავლილი წესების გამოყენებით გააკეთეს ანალოგიური მაგალითები და შეადგინეს ტაბულები. III კლასში კი ნასწავლი მასალა გავიმეორეთ და ამის შემდეგ გავაცანით წესები: 1. *ერთი ასოს დატოვება ან გადატანა არ შეიძლება.* 2. *თუ სიტყვაში ორი ან მეტი თანხმოვანია დაჯგუფებული, პირველი თანხმოვანი პირველ მარცვალთან რჩება და მეორე თანხმოვანი მეორე მარცვალს გადაჰყვება.* ცოდნის გასამტკიცებლად და სათანადო ჩვევათა გამოსამუშავებლად გამოვიყენეთ გადაწერა, კარნახი, თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალები.

წერთი ნამუშევრების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ამ ეტაპზე შესაბამისი წესების გაცნობამდე სიტყვის სტრიქონიდან სტრქონზე გადატანისას მოსწავლეები უშვებენ შემდეგი სახის შეცდომებს: ა) სიტყვა არასწორად არის დამარცვლული: ნაკ-ადული, ყვავ-ილი, საღ-ამო, მაგ-იდა... ბ) დატოვებულია (ან გადატანილია) ერთი ასო (უფრო ხშირად ხმოვანი) ა-ილო, მისც-ა, ა-აშენა, მზ-ე, რ-უ, პეპელა-ს, ყეფ-ს, ც-ელქი..., გ) გაყოფილია ერთმარცვლიანი სიტყვები: ბავშვს, კლდე...

პირველ ეტაპზე მოსწავლეებს დავაკვირვებთ ერთმარცვლიან სიტყვებზე. სწავლება წარმართეთ უშუალოდ კლასის მონაწილეობით, დადებითი ემოციების აღძვრით, რაც სწავლების ხარისხს ზრდის. მივმართავთ „კეთებით“, აღმოჩენებით და შემოქმედებით სწავლებას, ამ დროს მოსწავლე საგაკვეთილო პროცესის უშუალო წარმმართველია.

მოვაგონეთ მოსწავლეებს რამდენი ხმოვანია ქართულში და როგორ ხდება მარცვალთა რაოდენობის დადგენა. შემდეგ დავავალეთ, ვინ უფრო მეტ ერთმარცვლიან

სიტყვებს დაასახელებდა შესწავლილი ტექსტიდან. (თმა, აქვს, შინ, დრო..) და ამის შემდეგ განსაზღვრეს ხმოვანთა და თანხმოვანთა რაოდენობა მათში. იქვე მივაწოდეთ წესი: *ერთმარცვლიანი სიტყვა გადასატანად არ გაიყოფა.*

ამ წესის გამოყენებით მოსწავლეებმა დაასაბუთეს, რომელი სიტყვის გადატანა არ შეიძლება და რატომ. მაგალითები მოიყვანეს ტექსტიდან.

შემდგომ ეტაპზე გავაცანით თანხმოვანდაუჯგუფებელი სიტყვები: *მა-ხა-თი, სა-თა-მა-შო, მა-ტა-რე-ბე-ლი.* მოსწავლეთა დახმარებით გავარკვეეთ, რამდენმარცვლიანია თითოეული სიტყვა და რით არის გამოწვეული მარცვლის სიმრავლე. ბოლოს მივაწოდეთ შესაბამისი წესი: *სიტყვის გადასატანად დაყოფისას თანხმოვანთან ერთ ხმოვანს ვტოვებთ.* ამის შემდეგ შევასრულებინეთ შესაბამისი სავარჯიშოები. უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსწავლეები თითქმის უშეცდომოდ წერენ ამ ტიპის სავარჯიშოებს, სადაც მთლიანად ემთხვევა დამარცვლისა და გადატანის წესები ერთმანეთს.

❖ მოცემული მარცვლებით შეადგინეთ სიტყვები და დაყავით გადასატანად:

ტა, მა, რე, ლი, ბე; თა, ქა, მი; ლა, რო, ტო; კა, თი, ნა, კა;

❖ მარცვალთა მიმატებით მიიღეთ სიტყვები:

მა _ _ ბუ _ _ სა _ _ _

კა _ _ ხა _ _ მა_ _ _

როგორც აღვნიშნეთ, III კლასში სიტყვის გადატანის ახალი წესი ეცნობა: *ერთი ასოს დატოვება ან გადატანა არ შეიძლება.* მოსწავლეთა დახმარებით გავაანალიზეთ სიტყვები: ლია, ია, ათი, ოცი, იზა... – რამდენი მარცვალია ამ სიტყვებში? როგორ მიხვდით? რომელია პირველი მარცვალი? მეორე? რამდენი ასოსაგან შედგება ეს მარცვალი?..

აქვე მივაწოდეთ სათანადო წესი.

შემდგომ ეტაპზე მოსწავლეებს შევთავაზებთ ამ ცოდნის გამოყენებაზე ორიენტირებული სავარჯიშოები:

❖ შემოქმედებით გადაწერა – გადაწერეთ წინადადებები და სიტყვები დაყავით გადასატანად:

1. ია და გია ეზოში არიან.
2. ხეს მხოლოდ ერთი ატამი აბია .
3. ლია მზიას დაა.
4. ქობის კარი ღია იყო.

❖ დავავალეთ ტექსტიდან ამოეწერათ ისეთი სიტყვები, რომლებიც გადასატანად არ დაიყოფოდა;

გარეული ტახი და მელა

დგას ხის ძირში ტახი და კბილებს ილესავს. თავს მელა წაადგა, და ჰკითხა:

-რას იბასრავ მაგ კბილებს? მტერი ხომ არსაიდან ჩანს?

-სჯობს, მუდამ მზად იყო, თორემ მტერი რომ კარს მოგადგება, გვიანლა იქნება! - მიუგო ტახმა.

❖ გაასწორეთ გადატანისას დაშვებული შეცდომები:

ა-აშენა, აული-ა, კარ-ადა, პაპ-ანაქება, სათ-ამაშო, მარ-იამი.

❖ ხაზი გაუსვითი სიტყვებს, რომლის გადატანაც არ შეიძლება:

1. გია ყველაზე კარგი მოსწავლეა კლასში.
2. ია ლამაზი ყვავილია.
3. ის მუდამ მზად იყო.
4. მზე და მთვარე ცაზე სხვადასხვა დროს ჩნდებიან.

❖ ამოიწერეთ შესწავლილი ტექსტიდან და დააჯგუფეთ მოცემული სიტყვები მარცვალთა რაოდენობის მიხედვით:

ერთმარცვლიანი

ორმარცვლიანი და ა. შ.

იმის გასარკვევად, თუ რამდენად კარგად ფლობენ მოსწავლეები სიტყვის დამარცვლისა და გადატანის უნარ-ჩვევებს, მომდევნო წელს იმავე მოსწავლეებთან (მეოთხე კლასში) ჩავატარეთ გამოკითხვა ინდივიდუალური ბარათების მეშვეობით. დავამზადეთ იმდენი ბარათი, რამდენი მოსწავლევ იყო კლასში. მოსწავლეებს დავავალეთ მათი შევსება დამოუკიდებლად. ასეთი მუშობით იზრდება როგორც მოსწავლეთა ინტერესი და აქტივობა, ასევე მასალის შეთვისების ხარისხიც.

სიტყვა	მარცვალთა რაოდენობა	როგორ დავეყოთ გადასატანად
პეპელა		
კლდე		
დედა		
ფოთოლი		
ეზო		
მატარებელი		
ღია		
სკამი		
ველოსიპედი		
ასი		
მეგობარი		

60 მოსწავლის ნამუშევრის ანალიზით გამოიკვია, რომ 42-მა მოსწავლემ უშეცდომოდ დაწერა მიცემული დავალება, ხოლო 18-მ შეცდომებით. მოსწავლეები ძირითადად ფერხდებოდნენ სიტყვების: ეზო, ღია, კლდე ... დამარცვლისას. შეცდომათა დიდი ნაწილი სწორედ ამ სიტყვებზე მოდიოდა.

იხილეთ დანართი №2

საინტერესოა, რომ ამავე მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში (მხედველობაში გვაქვს ისეთი დავალებები, სადაც ყურადღების ცენტრში იდგა ტექსტის შინაარსობრივი მხარე) სიტყვის გადატანისას დაშვებული შეცდომები რამდენადმე (დაახლოებით 1,8-ჯერ) აღემატება ჩვენ მიერ ზემოთ ნაჩვენებ შედეგებს.

მომდევნო ეტაპზე (მე-5-მე-6 კლასებში) მოსწავლეთა ზეპირი პასუხებისა და წერითი ნამუშევრების ანალიზმა გვიჩვენა, რომ სიტყვის დამარცვლისა და გადატანის ძირითადი წესები ცნობილია მოსწავლეთათვის, მაგრამ წერითი მეტყველებისას მათ იშვიათად იყენებენ.

მოსწავლეებს დავავალეთ გადაეწერათ წინადადებები და სიტყვები დაეყოთ გადასატანად.

1.თედომ ბოსლის კარი შეაღო. 2. ილესავდა კბილებს ველური ტახი. 3.მატარებელი ზანტად დაიძრა. 4. დათომ მაშინვე იცნო ზურიკოს და ია. 5.უცნობს ტანისამოსი შემოდარცვოდა და ნაფლეთები ეკიდა. 6. მას შინ არავინ დაუხვდა. 7. მზის სხივები არემარეს ანათებდა. 8. ქარიშხალმა ხე ფესვიანად მოგლიჯა. 9. მან გზაზე ღრმა ორმო დაინახა. 10. გოგონას თმა შუბლზე აქვს ჩამოშლილი.

გაანალიზდა 40 მოსწავლის ნამუშევარი. შეცდომები ერთმარცვლიანი სიტყვების გადატანისას იყო 14 ; ერთი ასოს დატოვება–გადატანისას – 13.

იხილეთ დანართი № 3

ცოდნა ჯერ კიდევ არ არის სათანადო ჩვევაში გადასული და მასწავლებელს ამ კუთხით მუშაობა კვლავაც ჰმარტობს. ჩვენი აზრით, ამის ერთ-ერთი არსებით მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ საყოველთაო კომპიუტერიზაცია. ნათელია, რომ სიტყვის დამარცვლამა და სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანის წესებმა (მიუხედავად გამარტივებისა) დაკარგა თავისი სიმწვავე და აქტუალურობა. სწორედ ამიტომაც აღარ იყენებენ მათ ჩვენი მოსწავლეები.

3.3 სახელების სწავლებასთან დაკავშირებულ ორთოგრაფიულ საკითხებზე მუშაობა

ა) არსებითი სახელის მართლწერა;

1. ორი მ, ორი ს, ვით. ბრუნვის -ად დაბოლოება (IV კლასი)

მართლწერისა და მართლმეტყველების ჩვევათა გამომუშავების საფუძველს ენის გრამატიკული ფორმირების შეგნებულად დაუფლება წარმოადგენს. ამისათვის მზადება იწყება II კლასიდან. პრაქტიკულად მოსწავლე გრამატიკული კატეგორიების გამოყენებას სკოლამდელ ასაკში იძენს, ხოლო სწორ მიმართულებას სკოლაში გრამატიკის შესწავლით ახდენს. „გრამატიკა იმის გაცნობიერებული გააზრებაა, რაც გაუცნობიერებლად ცოცხლობს დედაენის სახით სოციუმში“ (რამიშვილი 2002: 24;) – ამტკიცებს გ. რამიშვილი. ამავე მოსაზრებაზე დგანან ფსიქოლოგებიც. დ. უზნაძე იმ აზრს ავითარებს, რომ სკოლის წინარე ასაკში ბავშვი პრინციპულად უკვე დაუფლებულია მშობლიური ენის როგორც მორფოლოგიას, ისე სინტაქსსა და სემასიოლოგიას. „ამიერიდან მისი (ბავშვის) ენის განვითარება მხოლოდ რაოდენობით ზრდას განიცდის... ერთი სიტყვით, სკოლის წინარე ასაკის ბავშვს თავისი სამშობლო ენა ძირითადად დაძლეული აქვს“ (უზნაძე 2003: 34;).

გრამატიკა ლოგიკურ მეცნიერებათა რიცხვს განეკუთვნება, იგი ხელს უწყობს განზოგადების უნარის განვითარებას, კონკრეტულიდან აბსტრაქტულ აზროვნებაზე გადასვლას. დაწყებითი სწავლების საფეხურზე, უკვე პირველი კლასიდან, მოსწავლეები პრაქტიკულად ეცნობიან ენის ცალკეულ სემანტიკურ თუ სტრუქტურულ კანონზომიერებებს, ეუფლებიან მშობლიური ენის მართლწერისა და მართლმეტყველების ძირითად ნორმებს.

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, სანამ ეროვნული სასწავლო გეგმა ამოქმედდებოდა, გრამატიკის სწავლების კუთხით სკოლაში არაერთგვაროვანი სურათი იყო: გრამატიკის ელემენტარული კურსი ოთხწლედში საკითხავ ტექსტებთან მჭიდრო კავშირში ისწავლებოდა. მე-5 კლასიდან კი იწყებოდა გრამატიკის ე.წ. „სისტემატური კურსი“.

დღეს კი დაწყებითი სწავლების საფეხურზე, უკვე პირველი კლასიდან, მოსწავლეები პრაქტიკულად ეცნობიან ენის ცალკეულ სემანტიკურ თუ სტრუქტურულ კანონზომიერებებს, ეუფლებიან მშობლიური ენის მართლწერისა და მართლმეტყველების ძირითად ნორმებს. ხდება ამ ცოდნის გამოყენება პრაქტიკულად, კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაში. II კლასიდან იწყება მორფოლოგიის ელემენტების გაცნობა ტერმინის მიწოდების გარეშე, ეს ყველაფერი მიზნად ისახავს ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, მართლწერისა და მართლმეტყველების ჩვევათა გამომუშავებას. სწავლების პირველივე წლიდან პრაქტიკულად მახვილდება ყურადღება ცალკეულ სიტყვათა მართლწერასა და მართლმეტყველებაზე. II-III-IV კლასებში კი ორთოგრაფიის ხვედრითი წილი თანდათან იზრდება.

დაწყებითი განათლების ზედა საფეხურზე (მე-4, მე-5, მე-6 კლასები) მართლწერის საკითხების გააზრებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მეტყველების ნაწილებთან – მათ შორის არსებითი სახელთან – დაკავშირებული გრამატიკული დეფინიციების მიწოდებას მოსწავლეთათვის გასაგები ფორმითა და ხერხებით. სკოლაში არსებითი სახელის სწავლების ერთ-ერთი მიზანი სწორედ მოსწავლეთა მეტყველების განვითარება და სათანადო პრაქტიკული სამეტყველო უნარ-ჩვევების გამომუშავებაა.

არსებით სახელთან დაკავშირებული მართლწერის საკითხების შესწავლა IV კლასიდან იწყება. ეს არის: ორი მ-ს, ორი ს-ს და ვით. ბრ.ში -ად ხმარების წესები.

ვაკვირდებოდით როგორც გამოცდილ პედაგოგებს, ასევე დამწყებ მასწავლებლებსაც. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ზოგი მასწავლებელი ნაკლებ ყურადღებას უთმობს მართლწარმოთქმისა და მართლწერის საკითხების სწავლებას, მართლწერის ჩვევათა ავტომატიზაციისათვის არ ატარებს სათანადო მუშაობას; კერძოდ – მართლწერის საკითხების სწავლებისას არ მიმართავს სათანადო სახელის ფუძისა და ბრუნვის ნიშანთა გამოყოფას, მაგალითებს პირდაპირ უსახელებს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. ზოგი პედაგოგი კმაყოფილდება მხოლოდ წესითა და რამდენიმე მაგალითით. სავარჯიშოები უგულვებელყოფილია, მასწავლებელი არ იყენებს პრობლემურ და განმავითარებელ სავარჯიშოებს. ამიტომ შეცდომებიც მრავლადაა მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში. ამის თქმის საფუძველს გვადლევს ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. კვლევისას აღმოჩნდა, რომ მოსწავლეებმა ხშირად იციან სათანადო წესები, მაგრამ მას არ იყენებენ გაბმული მეტყველებისა თუ შემოქმედებითი სავარჯიშოების შესრულებისას, მათ არა აქვთ სათანადო ჩვევა გამომუშავებული. ფიქსირდება ასეთი ტიპის შეცდომები: *ლომა დაიდრიალა. აგორებული ქვა ხავს ვერ მოიკიდებს. ქუთაის რიონი ჩამოუდის. კაცათ მაშინ ხარ საქები. იგი წვიმათ იქცევა.*

კვლევისას მოსწავლეთა ნაწერებიდან გამოჩნდა, რომ ისინი შედარებით ნაკლებ შეცდომებს უშვებენ ორი მ-ს მართლწერის დროს. რაც შეეხება ორი ს-ს და ვით. ბრუნვის ნიშნის –ად ხმარების წესებს, აქ შეცდომათა რაოდენობა უფრო მეტია. აქ მართლწარმოთქმა თამაშობს მნიშვნელოვან როლს. გემინირებული მ ბგერის წარმოთქმა უფრო უადვილდებათ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართულს აქვს სიტყვის ბლოკიდური თანხმოვნის დაყრუებისკენ მიდრეკილება, ამიტომაც ვით. ბრ-ის ნიშანს წარმოთქმისას ვაყრუებთ ხოლმე, ამიტომ ამ კუთხით სპეციალური სავარჯიშოებია საჭირო შეცდომათა აღმოსაფხვრელად.

ტექსტის შინაარსის, ესეს დაწერისას მოსწავლე ნაკლებად იყენებს სათანადო ორთოგრაფიულ ცოდნას, რადგან მას არა აქვს გამომუშავებული ამა თუ იმ ორთოგრამის გამოყენების ჩვევა, შესწავლილ წესს ვერ იყენებს პრაქტიკულად, რადგან ამ შემთხვევაში ყურადღების ცენტრშია შინაარსობრივ-ლოგიკური მხარე და არა რომელიმე კონკრეტული სიტყვის მართლწერა. ხოლო მართლწერის შესწავლის მიზანი ისაა, რომ მოსწავლემ შეუფერხებლად გამოიყენოს შესწავლილი წესი თავისუფალი სახის წერით სავარჯიშოშიც.

არსებითი სახელის მართლწერის გაცნობამდე მოსწავლეებს ჩაუტარდათ გამოკითხვა. ამით ნიადაგი შევამზადეთ მართლწერის წესების გასაცნობად, ამავე დროს მიზნად დავისახეთ გამოგვევლინა მართლწერის ჩვევის შემაფერხებელი და ხელისშემწყობი ფაქტორები (ამ ეტაპზე მოსწავლეები თეორიულად უკვე იცნობდნენ არსებითი სახელის ბრუნების მარტივ შემთხვევებს, ბრუნვის ნიშნებს, ფუძის მონახვის ხერხს).

1. რას ეწოდება არსებითი სახელი და რა კითხვები დაესმის მას?
2. რამდენი ბრუნვა გვაქვს ქართულში?
3. როგორ უნდა ვიპოვოთ არსებითი სახელის ფუძე?

გაანალიზდა 60 მოსწავლის პასუხი. მოსწავლეთა უმრავლესობამ –40–მა მოსწავლემ იცის არსებითი სახელის რაობა და მათი კითხვები, არასწორად დაწერა 18 მოსწავლემ, თავი შეიკავა 2–მა.

გამოირკვა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობამ (42–მა მოსწავლემ) იცის ბრუნვათა რაოდენობა ქართულში და როგორ იპოვოს არსებითი სახელის ფუძე. არასწორად დაწერა 13–მა მოსწავლემ და საერთოდ არ დაწერა პასუხი 5–მა მოსწავლემ.

იხილეთ დანართი №4


სწავლების პროცესზე დაკვირვებითა და ჩატარებული ცდების გათვალისწინებით არსებით სახელთან დაკავშირებული მართლწერის საკითხთა სწავლება ასე წარვმართეთ:

წინასწარ მოვაგონეთ მოსწავლეებს წინა გაკვეთილებზე შესწავლილი არსებითი სახელის ფუძის მონახვის წესი, დავასახელებინეთ არსებითი სახელები, რომელთა ფუძე

მთავრდება მ თანხმოვანზე, ეს ფუძეები დაიწერა დაფაზე, ერთმანეთს შევუპირისპირეთ სახ. და მოთხ. ბრუნვის ფორმები.

ვახშამი	ვახშამმა	ქათამი	ქათამმა
ომი	ომმა	ირემი	ირემმა

ამ სიტყვებიდან გამოვყავით ფუძე და ბრუნვის ნიშნები. მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით ვნახეთ, რომ ერთი მ არის ფუძისეული, რადგან ფუძე მ თანხმოვანზე ბოლოვდება. ხოლო მეორე მ კი ბრუნვის ნიშნისეულია. ამ ანალიზის შემდეგ მოსწავლეთა მონაწილეობით გამოვიტანეთ დასკვნა და ჩამოვაყალიბეთ წესი. ეს წესი "მიუთითებს, როგორ უნდა დაიწეროს ესა თუ ის ორთოგრაფია." (ხოჯავა 1950: 128;). იქვე მივაწოდეთ სქემაც:



მართლწერის სწავლებისას სავარჯიშოებთან ერთად ეფექტურია ორთოგრაფიული ტაბულების გამოყენება. რადგან ცნობილია, რომ ზოგ მოსწავლეს აკუსტიკური მასალის დამახსოვრება უადვილდება, ზოგს ოპტიკური, ზოგს კი - მოტორული. მასწავლებელმა ეს ფაქტორები უნდა გაითვალისწინოს, ანგარიში გაუწიოს მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს და სწავლის პროცესში ჩართოს მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტელექტი.

ტაბულები შეგვიძლია საკლასო ოთახის კედლებზე გავაკრათ. ანდა პროექტორის საშუალებით მოსწავლეებს ვაჩვენოთ ეს ტაბულა.

ქათამ-მა წყალი დალია.


ლომ-მა იწყინა ასეთი ყურადღება.

ომ-მა დიდი ზიანი მიაყენა ქვეყანას.

ყურადღების მისაქცევი ორთოგრამები შეგვიძლია გამოვყოთ წითელი ფერით, რადგან წითელი ფერი კარგად მოქმედებს თვალის რეცეპტორებზე, აღიზიანებს მათ და ამით შთაბეჭდილებას ახდენს მოსწავლეზე. ამ საკითხის შესწავლის შემდეგ ორი ს-ს მართლწერა გავაცანით მოსწავლეებს, იმავე გზითა და ტაბულების დახმარებით, როგორც ეს ორი მ-ს სწავლებისას მოხდა. კითხვების საშუალებით მოვავიწყებთ მოსწავლეებს ფუძის მონახვისა და ორი მ-ს ხმარების წესები. მოსწავლეს დავავალეთ დაფაზე ჩვენ მიერ წინასწარ მოფიქრებული წინადადებებიდან მოეძებნა არსებითი სახელები, გამოეყო ფუძე და ბრ. ნიშნები.

უმცროსს მთელი ღამე არ ეძინა.

კლასის აქტიური მონაწილეობით გავარკვიეთ, რომ პირველი -ს ფუძისეულია, ხოლო მეორე -ს ბრუნვისნიშნისეული. ანალიზის შემდეგ მივაწოდეთ წესი. იქვე ვაჩვენეთ სქემასაც:



აქაც ვიყენებთ ტაბულებს:

წყალწაღებული ხავს-ს ეჭიდებოდა.

ქუთაის-ს რიონი ჩამოუდის.

ავტობუსი თბილის-ს უახლოვდება.

ს-ს მართლწერის დროს უფრო მეტ შეცდომებს ვაწყდებით ვიდრე ორი მ-ს მართლწერისას. ამიტომ აუცილებელია მეტი ვარჯიში მართლწარმოთქმაზე, საჭიროა ტაბულების გამოყენებაც, რომლის მეშვეობითაც უკეთ აღიქვამს მოსწავლე საკონტროლო ორთოგრამას.

შემდეგი საკითხი არსებითი სახელის მართლწერის სწავლებასთან დაკავშირებით არის ვითარებითი ბრუნვის ფორმის მართებული გამოყენება. მოსწავლეთა მეტყველებაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ისინი წერენ ისე, როგორც ესმით ესა თუ ის სიტყვა. კვლევისას მრავლად დაფიქსირდა ასეთი ტიპის შეცდომები: „კუნძი მგლათ მოეჩვენა“, „წყალი გაიყინა და ყინულათ იქცა“ და ა.შ. ამიტომ საჭიროა დიდი ყურადღებით მოვეკიდოთ ვით. ბრუნვის ფორმის ხმარების წესს. ეს საკითხიც მოსწავლეთა მონაწილეობით ავხსენით. დაფაზე დავწერეთ სიტყვები: აზრი, მებრძოლი. გავარკვიეთ ამ სიტყვების ფუძე, აღვნიშნეთ ხმოვანფუძიანია ეს სიტყვები თუ თანხმოვანფუძიანი, შემდეგ ჩავსვით ვითარებით ბრუნვაში - აზრად, მებრძოლად და არა (აზრათ, მებრძოლათ). იქვე მივაწოდეთ მოსწავლეებს სათანადო წესი: ვითარებით ბრუნვაში თანხმოვნით დამთავრებული სახელის ბოლოს იხმარება ად.

მართლწერის წესების გასამტკიცებლად გამოვიყენეთ ორთოგრაფიული ტაბულა.

ვითარებით ბრუნვაში თანხმოვნით დაბოლოებული სახელის ბოლოს იხმარება ად
მოზვერი ხარად გავზარდე
ცა ქუდად არ მიმაჩნია და დედამიწა ქალამნად.

დაკვირვებიდან ჩანს, რომ ამ წესებს მოსწავლეები ადვილად ეუფლებიან და მიზნობრივ (ცოდნის განმტკიცებაზე ორიენტირებულ) სავარჯიშოებში ნაკლებ შეცდომებსაც უშვებენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ უკვე აქვთ სათანადო ჩვევა. მართლწერა მაშინ იცის მოსწავლემ, „როცა ამ წესების საგანგებო მოგონების გარეშე

შეუძლია შეუცდომლად წეროს. ე.ი. გამომუშავებული აქვს მართლწერის ავტომატიზირებული ჩვევები. მართლწერის ჩვევა–გამომუშავება წესის ახსნით, გაცნობიერებით იწყება და გეგმაშეწონილი სისტემატური ვარჯიშობით ხორციელდება" (რამიშვილი 1966: 10;). შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტრადიციული წერითი სავარჯიშოები (კარნახი, გადაწერა) ვერ გამოიღებს ისეთ ნაყოფს ჩვევათა ფორმირებისას, როგორც შემოქმედებითი წერითი სავარჯიშოები, რომელთა ჩატარების პროცესში მოსწავლეები უფრო კარგად აცნობიერებენ შესწავლილ წესს და აზროვნებენ აქტიურად ამოცანის გადაწყვეტისას. მართლწერის წესების განმტკიცებასა და ჩვევათა გამომუშავებისათვის საჭიროა მხატვრულ ნაწარმოებთა სწავლის პერიოდში ამ საკითხთა გათვალისწინება.

საპილოტე კლასებში არსებით სახელთან დაკავშირებული მართლწერის საკითხთა სწავლებისას გამოვიყენეთ სხვადასხვა სახის წერითი სავარჯიშოები. პრაქტიკული სავარჯიშოები უწყობს ხელს მართლწერის ჩვევათა ფორმირებას. „ჩვევა რღვევას იწყებს, თუ იგი გარკვეული დროის მანძილზე უმოქმედოდ დარჩება" (ბოჭორიშვილი...1950: 40;).

შერჩეული სავარჯიშოები:

❖ გამოტოვებული ადგილები შეავსეთ ბრუნვის ნიშნებით.

ამ ქათამ.. ბლომად იპოვა საკენკი.

ქუთაის.. და თბილის.. შორის მშვენიერი გზატკეცილია.

ობოლი ბავშვი შვილ.. აიყვანეს.

ირემ.. წყალში ჩაიხედა.

ნინო მასწავლებლ.. მუშაობს.

❖ იპოვეთ შეცდომები და გაასწორეთ.

დედაჩემა ცეცხლს გაღვივება დაუწყო.

მატარებელი თბილის უახლოვდება.

მოზვერი ხარათ გავზარდე.

ზღვაში ჩავაგდებ საოცარ ანკეს.

მარიამა მეგობრების გული მოიგო.

❖ მოცემული სახელები ჩასვით შესაბამის ბრუნვაში და წინადადებები ისე შეადგინეთ.

მოთხ. ბრ.	მიც. ბრ.	ვით. ბრ.
ქათამი	ქუთაისი	კაცი
ქრთამი	ხავსი	აზრი
ჭერამი	თასი	ფიქრი

მოსწავლეები ხალისით ასრულებენ ამ ტიპის დავალებას. ასეთი სავარჯიშოები ხელს უწყობს ორთოგრამის ცოდნის განმტკიცებას და მართლწერის ჩვევათა ფორმირებას. ეს სავარჯიშო ორთოგრამის ჩვევათა გამომუშავებასთან ერთად მოითხოვს წინადადების აგების უნარს. მართლწერასთან დაკავშირებული შეცდომების რაოდენობა მცირეა, თუმცა მოსწავლეებს უჭირთ წინადადებების აგება.

განსაკუთრებით შევჩერდებით სმენითი კარნახის როლზე ქართული მართლწერის სწავლებისას. კარნახს მართლწერის სწავლებისას ტრადიციულად ვიყენებთ. მას შემოქმედებითი ხასიათი აქვს. „იგი მოსწავლისაგან მეტ დამოუკიდებლობას მოითხოვს... კარნახის დროს ყურადღების ცენტრში დგას სმენითი აღქმა“(მაღლაკელიძე 2004: 241;). კარნახის მიზანია, ხელი შეუწყოს გრამატიკაში მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას და ორთოგრაფიულ ჩვევათა ფორმირებას.

საკარნახო ტექსტს ვკითხულობთ ხმამაღლა, გარკვევით ტექსტს, სათანადო ინტონაციის დაცვით. პირველი წაკითხვისას მოსწავლეები ტექსტს ისმენენ, შემდეგ ისევ ვკითხულობთ თითოეულ წინადადებას, მოსწავლეები კი იწერენ. ბოლოს თავიდან ბოლომდე ვკითხულობთ ტექსტს.

სმენითი კარნახისათვის ამჯერად მოსწავლეებს ამგვარი ტექსტი შევთავაზეთ:

„აგვისტოს ომმა დიდი უბედურება მოუტანა ჩვენს ქვეყანას. შემოჭრილ დამპყრობლებს ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა ქალამნად. საუკეთესო ქართველი ვაჟკაცები შეეწირნენ ამ უთანასწორო ბრძოლას. მართალია, მტერმა თბილისსა და ქუთაისს ვერ მიაღწია, მაგრამ დაიპყრო ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი ტერიტორია.“

ეს სავარჯიშო შეიცავს 5 ორთოგრამას: ორი მ-ს მართლწერის – 12, ორი ს-ს მართლწერის – 14, ვით. ბრუნვის -ად დაბოლოება 25.

გაანალიზდა 64 მოსწავლის ნამუშევარი. აქედან 2 შეცდომა დაფიქსირდა ორი მ-ს მართლწერისას, 3 შეცდომა – ორი ს-ს მართლწერისას და 8 შეცდომა – ვითარებითი ბრუნვის ფორმებთან.

იხილეთ დანართი № 5

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მართლწერის ჩვევათა ფორმირებისათვის დიდ ეფექტს იძლევა სავარჯიშოთა მრავალფეროვნება, რომლის ჩატარების პროცესში მოსწავლეები უკეთ აცნობიერებენ შესწავლილ წესს. ამიტომ აუცილებელია ფართოდ გამოვიყენოთ შემოქმედებითი წერითი სავარჯიშოები. გონივრულად შერჩეული სავარჯიშო კი მართლწერაში „კონტროლს უწევს გრამატიკაში ზეპირად მიღებულ ცოდნას, ნათლად ავლენს არსებულ ხარვეზებს და ქმნის ხელსაყრელ სიტუაციას იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ახალი მაგალითების ანალიზის საფუძველზე დანაწევრებულად მიიღონ დამატებითი ცნობები შესწავლილი გრამატიკული კატეგორიის, წესის შესახებ“(რამიშვილი 1965: 41;) და ამით განიმტკიცონ გრამატიკისა და მართლწერის წესების ცოდნა. ეს ცოდნა პრაქტიკულად გამოიყენონ და მეტყველების განვითარების რეალურ საშუალებად გახადონ.

2. ორი ნ, ორი თ მრ. რიცხვში (Vკლასი)

როგორც ვნახეთ, არსებითი სახელთან დაკავშირებული მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხები მოსწავლეთათვის ცნობილია IV კლასიდან. მათ აქვთ უკვე ელემენტარული ცოდნა ამ საკითხის შესახებ. V კლასში კი არსებითი სახელის ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხებს უფრო ღრმად და საფუძვლიანად ეუფლებიან.

სანამ უშუალოდ თანხმოვანფუძიან არსებითი სახელების მართლწერაზე გადავიდოდით, მანამდე კლასს ჩავუტარეთ ტესტირება, რომელიც შემდეგ კითხვებს მოიცავდა:

1. მოთხრობით ბრუნვაში ორი მ იწერება, თუ... (დაასრულეთ წინადადება) დაასახელეთ მაგალითი
2. მიცემით ბრუნვაში ორი ს იწერება, თუ... (დაასრულეთ) მოიყვანეთ მაგალითი
3. ვითარებითი ბრუნვის ნიშანია ა) -ად, ბ) -ათ, გ) ორივე, დ) არც ერთი პასუხი სწორი არ არის.

განალიზდა 48 მოსწავლის პასუხი. ნაწერებიდან გაირკვა, რომ 24-მა მოსწავლემ სწორად გაართვა ამ დავალებას თავი, არასწორად დაწერა 20-მა მოსწავლემ და საერთოდ არ დაწერა პასუხი 4-მა მოსწავლემ.

მოსწავლეთა უმრავლესობამ – 22-მა მოსწავლემ იცის ორი ს–ს მართლწერის საკითხი, 16-მა მოსწავლემ არასწორად დააფიქსირა პასუხი და ამ კითხვაზე ვერ გაგვცა პასუხი 10-მა მოსწავლემ.

მეტი წილი შეცდომებისა დაფიქსირდა ვითარებითი ბრუნვის ფორმათა მართლწერისას. სწორად დაწერა 14-მა მოსწავლემ, არასწორად – 28-მა მოსწავლემ და პასუხი საერთოდ არ გასცა 6-მა მოსწავლემ.

იხილეთ დანართი № 6



სწავლების პროცესზე დაკვირვებითა და მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების ანალიზით თუ ვიმსჯელებთ, მოსწავლეებს ჯერ კიდევ არა აქვთ მართლწერის სათანადო

ჩვევები გამომუშავებული. როცა ყურადღების ცენტრში დგას შესასწავლი ორთოგრაფია. სწორად ამბობენ წესს, მართებულად ასახელებენ მაგალითებსაც და შედარებით ნაკლებ შეცდომებს უშვებენ, მაგრამ როცა მოსწავლეს უკვე ფიქრი უხდება ნაწერის შინაარსობრივ და არა ფორმოზობრივ მხარეზე, იგი უკვე ბევრ შეცდომებს უშვებს. ამიტომ მოსწავლეთა თავისუფალი სახის წერით ნამუშევრებში (წერილობითი ტექსტის აგება: შინაარსი, აღწერა, თხზულება...) ჯერ კიდევ მრავლად გვხვდება არსებითი სახელის ბრუნებასთან დაკავშირებული ორთოგრაფიული შეცდომები (თუმცა წინა კლასში მათ სათანადო წესებიც ისწავლეს და სავარჯიშოებიც შეასრულეს ამ მიმართებით).

მე-5 კლასში მართლწერის ჩვევათა ფორმირებისათვის შევიმუშავეთ ექსპერიმენტული სწავლების გეგმა. რაც გულისხმობდა:

- ა) ამ კუთხით წინა კლასში მიღებული ცოდნის გამოორებასა და სისტემაში მოყვანას;
- ბ) სათანადო თვალსაჩინო მასალის მიზნობრივ შერჩევასა და გამოყენებას;
- გ) შესასწავლი მასალის გადანაწილებას მოსწავლეთა შესაძლებლობების მიხედვით;
- დ) ე.წ. „თავისუფალი სახის“ ტექსტების ხვედრითი წილის გაზრდას;
- ე) საინფორმაციოს ნაცვლად პრობლემური კითხვების დასმას;
- ვ) ორთოეპიისა და ორთოგრაფიის ერთიანობაში სწავლებას.

გამოვიყენეთ ასეთი სქემა:




ასეთი სქემები ეფექტურია, როგორც წესის ასახსნელად, ასევე სათანადო პრაქტიკული ჩვევის გასამტკიცებლად. ჩვენ შემდეგ გრამატიკული გარჩევის ხერხს ვიყენებთ, რათა მოსწავლემ ადვილად გაიგოს ერთგვარი თანხმოვნების თავმოყრის მიზეზი.

ფონეტიკური მიზეზების გამო სახელის ბოლოს ყრუვდება მჟღერი –დ და გამოითქმის როგორც –თ. არადა ეს შეცდომაა. აქაც გამოვიყენეთ გრამატიკული გარჩევის ხერხი და ამით ადვილად გავარკვიეთ მოსწავლეები ამ საკითხში. მათი მონაწილეობით ავხსენით ეს საკითხი. დაფაზე დავწერეთ: *კაცი, წესი* - გამოვყავით ამ სიტყვების ფუძე, აღვნიშნეთ ხმოვანფუძიანია ეს სიტყვები თუ თანხმოვანფუძიანი, შემდეგ ჩავსვით ვითარებით ბრუნვაში – *კაცად, წესად*; შეადგინეთ წინადადებები (გაბმული ტექსტი) ამ სიტყვების გამოყენებით...

ეფექტურია, როცა მასწავლებელი სვამს მხოლოდ პრობლემურ და არა ინფორმაციულ შეკითხვებს. იგი არ აძლევს მოსწავლეებს ინფორმაციას, არამედ მათ სთხოვს აზროვნებას, რათა თავად მივიდნენ პრობლემის გადაწყვეტამდე. ამ დროს მოსწავლეები თავისუფლად გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით და ეს ეხმარებათ მათ საკითხის უკეთ შესწავლაში.

მრ. რიცხვში ორი ნ-სა და ორი თ-ს მართლწერის წესების გაცნობისას გამოვიყენეთ როგორც გრამატიკული გარჩევის, ისე – შედარება-შეპირისპირებისა და ჩასმის ხერხები. კლასის აქტიური მონაწილეობით გავარჩიეთ შემდეგი მაგალითი:



ღმერთ-თა (ღმერთ-ებ-ის) ღმერთია მამული.

ფუძის ბოლო თანხმოვანი თანიანი მრავლობითის ნიშანი

და მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით გამოვიტანეთ დასკვნები.

მოსწავლეებს მივაწოდეთ წინასწარ შედგენილი სავარჯიშოები:

❖ წაიკითხეთ მაგალითები, წარმოთქვით მართებულად და აღნიშნეთ, რატომ იყრის თავს ორი ერთნაირი თანხმოვანი:

1. ეს ამბავი ხალისს უკარგავდა გოგონას.
2. ხალხნო, ადამიანნო, რას ჩადით?
3. ჯალათთა ქცევა ვერ შევნიშნე.
4. უმცროსს მამის ძალიან ეშინოდა.
5. აქლემმა ტვირთი იუკადრისა.
6. ზვირთთა ხმაური არემარეს აყრუებდა.
7. ომმა ბევრი სისხლი მოგვიტანა.
8. ბატონნი და აზნაურნი ყველა ჩემი დარდიაო.

❖ შეადგინეთ წინადადებები ქვემოთ მოცემული სიტყვების გამოყენებით:

- ა) მოთხ. ბრ. - ნამი, ირემი
- ბ) მიც ბრ. - თასი, კლასი.
- გ) ნარიანი მრავლობითი – ციკანი, ცხენოსანი,
- დ) თანიანი მრავლობითი – ზვირთი, ბარათი.

❖ გაასწორეთ შეცდომები და სწორი ფორმა ხმამაღლა წარმოთქვით:

1. რაღაც უფორიაქებდა სინდისა და ნამუს.
2. ქათამა ბლომად საკენკი იპოვა.
3. ხმლიანო ვაჟკაცნო, წინ მტრისაკენ!
4. ატამა უკვე იყავილა.
5. ზვირთა ხმაური არღვევდა სიჩუმეს.
6. კაცათ მაშინ ხარ ნაქები, თუ ეს წესი წესათ დარგე.

❖ მოსწავლეთა მონაწილეობით ვავსებთ.

არსებითი სახელი	სახელის ფუძე	ბრუნვის ნიშანი	წინადადება
აქლემმა მენსს ქედანნი ირემმა ხმელეთთა ბატკანნი თასს			

ბოლოს ჩავატარეთ კარნახით წერა იმის გასარკვევად, თუ რამდენად კარგად შეითვისა კლასმა ახსნილი მასალა. ეს მეთოდი მოსწავლეთა მეტყველების განვითარების კარგი საშუალებაა.

„გურამი დილით ადრე ადგა, ანკესს ხელი დაავლო და მდინარისაკენ გაემშურა. ორღობეში ლოყაწითელმა ატამმა თვალი მოსჭრა. გურამმა ღობეზე გადაძრომა მოინდომა, მაგრამ სინდისს რაღაც უფორიაქებდა. მაშინვე იქაურობას გაეცალა. ზვირთთა ხმაურმა გამოაფხიზლა. მალლიდან კი ყორანნი ჩხაოდნენ. ბიჭი პირდაპირ მდინარისაკენ გაიქცა, უნდოდა რომ ვახშმად გემრიელი თევზი მიეტანა სახლში.“

ეს სავარჯიშო შეიცავს 7 ორთოგრამას: ორი მ-ს მართლწერის- 2, ორი ს-ს მართლწერის – 2, ვით. ბრუნვის -ად დაბოლოება 1, ორი თ-ს მართლწერის –1 და ორი ნ-ს მართლწერის –1.

გაანალიზდა 64 მოსწავლის ნამუშევარი, აქედან ორი მ-ს მართლწერისას დაშვებული იყო 10 შეცდომა, ორი ს-ს მართლწერისას 13, ვით. ბრუნვის დაბოლოების მართლწერისას 23, ორი ნ-ს მართლწერისას – 21. ორი თ-ს მართლწერისას – 23. მიზეზი, ერთი მხრივ, ის არის, რომ ეს შედარებით ახლად შესწავლილი საკითხებია, მეორე ის, რომ მოსწავლეებს არა აქვთ მათი მართლწარმოთქმის ჩვევა.

იხილეთ დანართი № 7

მოსწავლეთა წერთი ნამუშევრების ანალიზით დადასტურდა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობამ ამ დავალებას კარგად გაართვა თავი. გააზრებულად შეასრულეს დავალება ფონეტიკისა და გრამატიკის მონაცემებზე დაყრდნობით, გაარჩიეს და გააანალიზეს გამოსაყენებელი ფორმები.

ამ საკითხების ახსნისას გამოვიყენეთ ინდუქციის გზა, გრამატიკული გარჩევის ხერხი, სქემები. კოგნიტური დიაგრამებით, ანუ გრაფიკული ორგანიზატორებით მუშაობა მოსწავლეებს მნიშვნელოვანი ინფორმაციის აღქმაში ეხმარება.

3. ხმოვანფუძიან სახელთა მართლწერა – ორი ი, ორი ე (VI კლასი)

ფუძეკვეცადი სახელების გაცნობის შემდეგ მოსწავლეებს ვაცნობთ მასთან დაკავშირებულ მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხებს.

დავაკვირდით იმ ხარვეზებს, რომლებიც ხელს უშლის ხმოვანფუძიანი სახელების მართლწერისა და მართლმეტყველების ჩვევათა დანერგვისას. დიდი წილი შეცდომებისა მოდის ია-ზე დაბოლოებული სახელების ნათ. და მოქ. ბრუნვის ფორმების ხმარებისას. მოსწავლეებს აბნევს მიცემითი ბრუნვის ფორმა მაგ. (კალიას) და ანალოგიურად წერენ ნათ. და მოქ. ბრუნვის ფორმასაც.

მოსწავლეთა შეცდომების აღმოსაფხვრელად შევიმუშავეთ სწავლების ასეთი გზა:


დაფაზე დავწერეთ სიტყვები: **ისტორია აკაცია**

კლასის აქტიური მონაწილეობით გავანალიზებთ ეს სიტყვები.

1. რომელ ბრუნვაშია ეს სიტყვები?
2. ჩასვით ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვაში.
3. რამ გამოიწვია ორი ი-ს თავმოყრა სიტყვაში?

გრამატიკული გარჩევით მოსწავლეებმა თვითონ გამოიტანეს სათანადო დასკვნა და ჩამოაყალიბეს წესი.

შემდეგ გამოვიყენეთ ასეთ სქემა:



მოსწავლეებს ყურადღება გავამახვილებინეთ ამ სიტყვების არტიკულაციაზე და ვავარჯიშეთ მათ წარმოთქმაზე. დაფაზე დავხაზეთ ასეთ სქემა და მოსწავლეთა მონაწილეობით შევავსეთ:

ფუძეკვეცადი სახელი	ნათ. ბრუნვა	მოქ. ბრუნვა
კალია კერია მერია გალია	კალი-ის	კალი-ით

ამის შემდეგ დაფაზე დავწერეთ სიტყვები, რომლებიც ბოლოვდებიან ე-ზე.

გუბე მეცხვარე

მოსწავლეებს დავავალეთ ეწარმოებინათ ებიანი მრავლობითი. მათ სწორად გაართვეს ამ დავალებას თავი და დაასახელეს – *გუბეები, მეცხვარეები.*

დავაკვირვეთ მოსწავლეები ამ ფორმებზე და გავანალიზეთ:

- 1) რომელი ბგერით ბოლოვდება სიტყვები – გუბე და მეცხვარე?
- 2) რომელი ბგერით იწყება ამ მრავლობითის ნიშანი?

მოსწავლეებს არ გასჭირვებიათ და თვითონ გამოიტანეს სათანადო დასკვნა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შეცდომაა ამათი ანალოგიით ნაწარმოები სიტყვების ხმარება: წლები, კვირები, ეს სიტყვები ე-ზე არ ბოლოვდება, ამდენად ორი ე-ს ხმარება შეცდომაა. ამის შემდეგ მივაწოდეთ სქემაც:

1) თუ თუ სახელის ფუძე ია-ზე ბოლოვდება, მხოლოდითი რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებითში ორი ი იყრის თავს.

გალიის კარი ღია დარჩენოდათ.

ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს.

2) თუ სახელი ე-ზე ბოლოვდება, ებიან მრავლობითში ორი ე მოიყრის თავს.

საუკუნეების განმავლობაში მრავალი რამ შეიცვალა.

ამ მასალის შესწავლისას ეფექტურია ორთოგრაფიული ტაბულების გამოყენება. საკლასო ოთახის კედლებზე გარკვეული დროის განმავლობაში რჩება ეს ტაბულა, აქ განსხვავებული ფერით არის წარმოდგენილი საჭირო ორთოგრამები.

მოსწავლეები ვავარჯიშეთ წერითი სავარჯიშოებით:

❖ მოცემული სიტყვები ჩასვით ნათ. და მოქ. ბრუნვაში და მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

კერია, ია, კალია, აკაცია.

❖ ფრჩხილებში მოცემული სიტყვები ჩასვით ებიან მრავლობითში:

1. (მეცხვარე) ცხვრები სამოვარზე გარეკეს.
2. აიშალნენ (მეურმე) თვალების ფშვნეტით.
3. (ხე) ქარისაგან ირხეოდა.
4. (მდინარე) და (ღელე) წვიმისაგან ადიდდა.
5. (მონადირე) ტყეში იყვნენ.
6. (მეჯინიბე) განაგრძობდნენ თავიანთ სამუშაოს.

❖ ქვემოთ მოცემული სიტყვები ჩასვით ებიან მრავლობითში და მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

კლდე, ლობე, ყორე, მეზალე, მეფე, საუკუნე.

ბოლოს ჩავატარეთ წერა იმის გასარკვევად, რამდენად კარგად აითვისა კლასმა ეს საკითხი.

ამ სავარჯიშოში სავარაუდო ორთოგრამა არასწორი ფორმით იყო გამოყენებული. მოსწავლეებს ევალუბოდათ წაეკითხათ წინადადებები, მიეგნოთ მცარი ფორმებისათვის, გაეხსენებინათ მათი მართლწერის წესი და მართებული ფორმით გამოეყენებინათ გადასაწერ წინადადებაში.

1. ბავშვებს გალიას კარი ღია დარჩენოდათ.
2. კლდებს ნისლი დასწოლია.
3. ყველგან იგრძნობოდა იას სურნელი.
4. ბაჭიას სიტყვებმა ყველა ცხოველი აატირა.
5. ადიდებულმა მდინარებმა დიდი ზარალი მოუტანა სოფლებს.
6. მან საუკუნებს გაუძლო და ჩვენამდე მოაღწია.
7. კერიას ცეცხლიც ბრიალებდა.
8. წვდებოდა ღამე ზედაზნისა და სარკინეთის უბებში.
9. აკაციას თეთრი ფანტელი მხრებზე მეცემოდა.
10. მონადირეები ტყეში შევიდნენ.

ეს გახლავთ შემოქმედებითი გადაწერის ნიმუში, რომელიც კონკრეტულ სიტუაციაში ცოდნის გამოყენებაზეა ორიენტირებული. იგი ეფექტურია შესწავლილი წესების გასამთლიანებლად და გასამტკიცებლად.

ია-ზე დაბოლოებული ორთოგრამა იყო 5 და ე-ზე დაბოლოებულს – 5. ნაწერების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მეტი წილი შეცდომებისა მოდის -ია-ზე დაბოლოებული სახელების ნათ. მოქ. ბრუნვის ფორმების ხმარებისას, ხოლო შეცდომების რიცხვი ნაკლებია ორი ე-ს ხმარების შემთხვევებთან.

გაანალიზდა 63 მოსწავლის წერითი ნამუშევარი. აქედან:

- ია–ზე დაბოლოებული სახელთან 15 შეცდომა დაფიქსირდა.
- ე–ზე დაბოლოებულთან – 10
- არასწორად გასწორდა 6 ორთოგრამა – ამ მოსწავლეებმა ან ვერ მიაკვლიეს შეცდომას, ან მართებული ფორმა “გაასწორეს”;
- გამოტოვეს 5 ორთოგრამა.

იხილეთ დანართი №8

მოსწავლეთა ზეპირმეტყველებაზე დაკვირვებისას გამოირკვა, რომ მოსწავლეებს საარტიკულაციო ორგანოები არა აქვთ გაწაფული გემინირებული ხმოვნების წარმოსათქმელად და შეცდომებიც იმიტომ მოსდით. ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ასეთი სიტყვების სწორად წარმოთქმაზე ვარჯიშს, ხმამაღლა რამდენჯერმე წარმოვათქმევინებთ საკონტროლო სიტყვებს.

სწავლება, რომელიც პრობლემაზეა დაფუძნებული, მოსწავლეზე ორიენტებული სწავლების სტრატეგიაა. ასეთი ტიპის სწავლების დროს მოსწავლეები პრობლემების კვლევის გზით იძენენ მნიშვნელოვან ცოდნას. პრობლემაზე ორიენტებული სწავლებით ჩვენ მოსწავლეებს დავანახეთ პრობლემა, რომელიც ეფექტური და მარტივი გზით შეიძლება გადაიჭრას,

პრობლემის გადაჭრა მოითხოვს აზროვნების ისეთ კომპლექსურ უნარებს, როგორცაა ანალიტიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება. პირველად უნდა მოხდეს პრობლემის განსაზღვრა, გაანალიზება; შემდეგ უნდა ჩამოვაცალიბოთ პრობლემის გადაწყვეტის შესაძლო ვარიანტები; ბოლოს უნდა ამოვარჩიოთ და განვახორციელოთ პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზა და შევაფასოთ მისი ეფექტურობა.

4. კომპოზიტა მართლწერა

კომპოზიცია ანუ სიტყვათშეერთება არის ახალი სიტყვის წარმოქმნას და ლექსიკის გამდიდრების საშუალება. კომპოზიტი ლათინური სიტყვიდან მომდინარეობს და შედგენას ნიშნავს. „სიტყვათა შეერთებას ეწოდება კომპოზიცია, ხოლო შეერთებით მიღებულ ახალ სიტყვას კომპოზიტი“ (კიზირია 1961: 30;). როგორც აღვნიშნეთ, ქართულ ენაში ლექსიკური შემადგენლობის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალება სწორედ კომპოზიტია. ამიტომ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ საკითხის სწორად შესწავლას.

კომპოზიტი ანუ რთული სიტყვა, როგორც ა. კიზირია აღნიშნავს, ძველი ქართულიდან მომდინარეობს. იგი შემონახულია გეოგრაფიულ სახელებშიც (უფლისციხე), მცენარეთა და ცხოველებთა სახელებშიც (ჭილყვავი), ხელობის სახელებშიც – (კირითხურონი) და ა.შ.,

ფუძის შედგენილობის მიუხედავად, კომპოზიტი ერთ სიტყვას წარმოადგენს და წინადადებაში ერთი წევრია, მაგრამ ის შეიძლება იყოს ერთცნებიანი და ორცნებიანი. ამაზეა დამოკიდებული სწორად წერა. ერთი მნიშვნელობის კომპოზიტი უნდა დაიწეროს ერთად. ხოლო დეფისით უნდა დაიწეროს ორცნებიანი (ორმნიშვნელობიანი) რთული სიტყვები, ა) რომლებიც მიღებულია მნიშვნელობის მხრივ ერთმანეთთან დაკავშირებული ფუძეების გაერთიანებით: ცოლ–შვილი, ტყე–ველი. ბ) რიცხვითი სახელების ფუძის გაორკეცვით მიღებული კომპოზიტები: ერთ–ერთი. გ) ფუძეგაორკეცვით მიღებული ზედსართავები: ცივ–ცივი. დ) სახელის ფუძის გაორკეცვის შედეგად მიღებული ბრუნვის ნიშნის უქონელი ზმნიზედები: უბან–უბან. ე) ერთსა და იმავე ფუძის მქონე , მაგრამ ზმნისწინებით განსხვავებული რთულ სიტყვად ქცეული ზმნები: აირბინ–ჩაირბინა.

მოსწავლეებს II-III კლასში პრაქტიკულად ვაკვირვებ კომპოზიტებზე ტექსტების კითხვისას, IV კლასში ვაცნობ ორცნებიან კომპოზიტებს (ტერმინის გარეშე), V-VI კლასში კი - ერთცნებიან და ფუძეგაორკეცვულ კომპოზიტებს – აქაც ტერმინის გარეშე. ამოსავალი გახლავთ „და“ კავშირის ჩასმა-ჩაუსმელობა.

ელემენტარული ცნობები მოსწავლეებს რთული სახელების მართლწერის შესახებ IV კლასში ეძლევათ. *რთული სიტყვა, რომელიც ერთ საგანს აღნიშნავს, ერთად იწერება. მაგ.: დედაბერი. რთული სიტყვა, რომელიც ერთზე მეტ საგანს აღნიშნავს, დეფისით იწერება. ასეთ სიტყვაში შუაში და კავშირის ჩასმა შეიძლება. მაგ.: მთა-ბარი.*

მოსწავლეთა წერით თუ ზეპირ მეტყველებაში ხშირად ვხვდებით რთული სიტყვების უმართებულოდ ხმარების შემთხვევებს. არადა ქართულ ენაში ლექსიკური შემადგენლობის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალება სწორედ კომპოზიტია და ჩვენ ვალდებული ვართ ეს საკითხი საფუძვლიანად გავაცნოთ მოსწავლეებს.

კომპოზიტა მართლწერისას მოსწავლეები უშვებენ ასეთი ტიპის შეცდომებს: 1. ორცნებიანი კომპოზიტები წერია ერთად (დედმამა) – ამ ტიპის შეცდომები ყველაზე ნაკლებად გვხვდება; 2. ერთცნებიანი კომპოზიტები წერია დეფისით: დედა-მიწა – ეს უფრო ხშირია; 3. ერთცნებიანი კომპოზიტები წერია ცალ-ცალკე: დედა მიწა – ეს შედარებით ნაკლებად არის გავრცელებული; 4. ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები წერია ცალ-ცალკე: თავ თავი, წამ წამი (იშვიათად); 5. ასეთი კომპოზიტებში არასწორად არის გამოყენებული დეფისი: თავ-თავი (ხშირია).

იმისათვის, რომ შეცდომები თავიდან ავიცილოთ, საჭიროა მოსწავლეებს IV კლასში რთულ სიტყვათა შესწავლისას მივაწოდოთ ელემენტარული ცნობები მათი მართლწერის შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, რთული სიტყვების მართლწერის კონკრეტულ შემთხვევებს მოსწავლეები პრაქტიკულად წინა კლასებშიც ეცნობიან ტექსტის კითხვის პროცესში, სახელმძღვანელოში (ნ. მაღლაკელიძე, ც. ყურაშვილი ე. მაღლაკელიძე – ქართული III-IV კლასი) ამ მიმართებით არის სათანადო სავარჯიშოებიც წარმოდგენილი.

მეოთხე კლასში ამ საკითხის სწავლებისათვის საფუძველს ამზადებს სახელის ფუძის გააზრებული ცოდნა. ამიტომ წინასწარ გავამეორებინეთ კლასს სახელის ფუძე და მისი მონახვის წესი (ამ ეტაპზე მათ უკვე იციან ფუძის პოვნა).

ამ საკითხის შესწავლისას გამოვიყენეთ შედარება-შეპირისპირების ხერხი.

დედაშვილობა	ქმარ-შვილი
გულისპირი	დედ-მამა
დედამიწა	მიწა-წყალი

კლასის მონაწილეობით გავაანალიზეთ სიტყვები და დავაკვირდით, რამდენ საგანს აღნიშნავს პირველ სვეტში მოთავსებული სიტყვები. გავარკვიეთ, თუ არის შესაძლებელი „და“ კავშირის ჩასმა მათ შორის. შემდეგ II სვეტში მოცემულ სიტყვებს დავაკვირდით, რამდენ საგანს აღნიშნავს ისინი და შეიძლება თუ არა მათ შორის და კავშირის ჩასმა.

დავაკვირვეთ მოსწავლეები, როგორ იწერება I სვეტში მოცემული სიტყვები და II სვეტში მოთავსებული სიტყვები. პირველად გავაცანით უდეფისო კომპოზიტები. მეორე გაკვეთილზე კი დეფისიანები, რადგან ერთდროულად მათი შეგნებულად ათვისება უძნელდებათ. ბოლოს მივაწოდეთ *წესები: რთული სიტყვა, რომელიც ერთ საგანს აღნიშნავს, ერთად იწერება. მაგ.; დედაჩემი, დისწული. რთული სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ერთზე მეტ საგანს, დეფისით იწერება. მაგ.; და-მამა, მთა-ბარი.* ასეთი სიტყვების შუაში და კავშირის ჩასმაც შეიძლება. ორთოგრაფიული წესი უნდა აიხსნას სათანადო გრამატიკული საკითხის შემდეგ იგი უნდა იყოს ზუსტი, ნათელი, დასამახსოვრებლად ადვილი და იმგვარად უნდა იყოს ფორმულირებული, რომ სათანადო საილუსტრაციო მასალის შერჩევა და ანალიზი ადვილად ხერხდებოდეს. მაგრამ ეს ყველაფერი ვარჯიშის გარეშე საკმარისი არაა.

დიდ ეფექტს იძლევა ამ საკითხთა სწავლებისას თვალსაჩინო მასალის გამოყენება.

ხელი	ფეხი	ხელ-ფეხი
დანა	ჩანგალი	დანა-ჩანგალი
მთა	ბარი	მთა-ბარი

კლასის აქტიური მონაწილეობით შევასრულეთ შემდეგი სამუშაო:



კითხვა-პასუხით მივედით საბოლოო დასკვნამდე.

–რამდენი სიტყვისაგან შედგება რთული სიტყვები *ქამარ-ხანჯალი, დედამიწა*?

–რამდენ საგანზე მიუთითებს? (რამდენ ცნებიანია?)

–რატომ იწერება მათ შორის დეფისი? ანდა რთული სიტყვა დედამიწა უდეფისოდ?

ბოლოს განვუმარტეთ, რომ ორცნებიან სიტყვებს შორის იწერება დეფისი (დედა-შვილი). ხოლო ერთცნებიანი სიტყვები (დედამიწა) ერთად იწერება. ზოგჯერ დეფისით დასაწერი რთული სახელისაგან წარმოქმნილი სიტყვა უდეფისოდ იწერება. მაგ.; და-ძმა – დაძმობა.

დეფისით იწერება აგრეთვე ფუძის განმეორებით მიღებული რთული სიტყვაც. მაგ.; მაღალ-მაღალი, შავ-შავი...

დიდ ეფექტს მივიღებთ, თუ შევადგენთ ლამაზად გაფორმებულ ტაბულებს, პლაკატებს და საკლასო ოთახის კედლებზე მოვათავსებთ.

ჩვენ მიერ შემუშავებული წერითი სავარჯიშოები მართლწერის ჩვევათა გასამტკიცებლად ჩატარდა.

❖ გადაიწერეთ წინადადებები, ხაზი გაუსვით რთულ სიტყვებს და გამოარკვიეთ, რომელი წესის მიხედვით იწერება ასე.

1. სოფელში დავსახლდი, ხვნა-თესვასა და ბაღ-ბოსტნების გაშენებას მივყავი ხელი.
2. წყალწალღებული ხავსს ეჭიდებოდა.
3. აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა.
4. გადათეთრდა მინდორ-ველი.
5. მოხუცი ახალგაზრდებს მამაშვილურ დარიგებას აძლევდა.
6. დედინაცვალი თვალში ნაცარიო.

❖ გადაიწერეთ, გახსენით ფრჩხილები და დაწერეთ სწორად.

1. ზაქივით (ოკრო)ბოკრო მოუვიდა ნახტომი.
2. მივდექ სარკმელს გადვიხედე, (არე)მარე მესხვაფერა.
3. (ვაჟ)კაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდა ხისაო.
4. ყაჩაღები (ტყე)ტყე მოდიოდნენ.
5. (ცის)კარმა აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შეღება.
6. (მოთქმა)ტირილის ხმა ისმოდა.

❖ მართებულ ფორმას გაუსვით ხაზი.

1. დედა-შვილური, დედა შვილური, დედაშვილური.
2. დედაშვილი, დედა-შვილი, დედა შვილი.
3. ჩქარჩქარი, ჩქარ-ჩქარი, ჩქარ ჩქარი.
4. ქართლკახეთი, ქართლ-კახეთი, ქართლ კახეთი.

5. სოფელ-სოფელ, სოფელსოფელ, სოფელ სოფელ.

❖ აწარმოეთ რთული სახელები.



❖ ამოიწერეთ გ. ჩოხელის მოთხრობიდან „ცასწავალა“ (ნ. მაღლაკელიძე, ც.ყურაშვილი, ე. მაღლაკელიძე- ქართული, მე-4 კლასი) დეფისიანი და უდეფისო რთული სახელები.

და ბოლოს კონტროლის მიზნით, რამდენად საფუძვლიანად შეითვისა კლასმა ეს მასალა, ვატარებთ სმენით კარნახს. ეს მეთოდი ძირითადად სმენით აღქმაზე დაყრდნობით ტარდება. ჩვენი მიზანია, მოსწავლემ აღიდგინოს მეხსიერებაში მათი შესატყვისი წერილობითი ნიშნები. ამისათვის საჭიროა მოსწავლეს ჰქონდეს მოსმენის საკმაოდ განვითარებული უნარი და სათანადო ორთოგრაფიული წესი კარგად იცოდეს.

„კოხტად და ფაქიზად ჩაცმა-დახურვა უყვარდა გიორგის. ძალიან ხელგამომავალი ბიჭიაო, ამბობდა ამისი დედა. , მაგრამ ცხონებულივით გულლია და გულმხიარული არ არისო, სულ პირდაღვრემილია და წარბშეკრულიო. გიორგი თავის დედის ყურმოჭრილი ყრმა იყო. ამას დედაშვილობას ბევრი შეჰნატროდა. შვილი, რომელიც ვეხქვეშ ჭიანჭველასაც არ გაიტარებდა, დედას თავის დღეში სიტყვას არ შეუბრუნებდა.“

ამ სავარჯიშოში 9 ორთოგრაფიაა. გაანალიზდა 63 მოსწავლის ნამუშევარი.

იხილეთ დანართი № 9

შეცდომათა მცირე რაოდენობა განაპირობა მართლწერის წესების მტკიცე ცოდნამ, სავარჯიშოს შემოქმედებითმა ხასიათმა (მაქსიმალურად ყურადღებით არიან).

მოსწავლეებმა გამოავლინეს ორთოგრამების მოხმარების დამოუკიდებელი ჩვევა. ამრიგად, სწავლების ასე წარმართვა მართლწერის ავტომატიზებული ჩვევის გამომუშავებისა და ასეთი ჩვევის კონტროლის ეფექტურ საშუალებად გვევლინება. ე.ი. მოსწავლეები უკვე იცნობენ ამა თუ იმ წესის ხმარების კონკრეტულ შემთხვევებს და აქვთ მტკიცედ ჩამოყალიბებული ორთოეპიული თუ ორთოგრაფიული უნარ-ჩვევები. მაგრამ, მთავარია, როგორ იყენებს ისინი მათ ტექსტების აგებისას. ტექსტის შექმნისას კი მოსწავლის მთელი ყურადღება ორიენტირებულია არა მართლწერაზე, არამედ მკითხველთან წერის საშუალებით კომუნიკაციაზე. ამ დროს მოსწავლე ფოკუსირებულია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

- ტექსტის შინაარსობრივი მხარე;
- აუდიტორია, ვისთვისაც წერენ;
- თვალთახედვა – ვისი პოზიციიდან იქნება მიწოდებული მისი აზრები და ინფორმაცია;
- იმის გარკვევა, თუ რა ინფორმაცია უნდა შეგროვდეს;
- ტექსტის ფორმატი...

მოსწავლე ამ დროს ნაკლებად ფიქრობს ორთოგრაფიულ წესებსა და მათ გამოყენებაზე. ესა თუ ის წესი კი შესწავლილად შეგვიძლია ჩავთვალოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ცოდნის ავტომატიზაცია, ანუ მოსწავლე მათ იყენებს პრაქტიკულად ასეთი ტექსტების აგების პროცესში.

ამგვარად, წესის ცოდნას არსებითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ვარჯიშის გარეშე მართლწერის ჩვევისათვის ეს საკმარისი არაა. მისი ყოველმხრივი გააზრება და ჩვევის ავტომატიზაცია უნდა მოხდეს სათანადო წერითი სავარჯიშოების შესრულების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში თავიდან ვერ ავიცილებთ ორთოგრაფიული ჩვევის დეავტომატიზაციას, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა უფროს კლასებში, როცა აღარ ხდება მართლწერის საკითხებზე ვარჯიშობა“ (მაღლაკელიძე... 1996: 331;).

ბ) რიცხვითი სახელის მართლწერა

რიცხვითი სახელი ეს არის სიტყვა, რომელიც აღნიშნავს საგნის რაოდენობას, რიგს ან ნაწილს მთელთან შეფარდებით. ელემენტარული ცნობები საგნის რაოდენობის რიცხვის შესახებ I-II კლასში ეძლევათ მოსწავლეებს ტერმინის მიწოდების გარეშე. საგნის რიცხვის გაცნობა სურათებით იწყება. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა მხედველობითი შეგრძნებით ადვილად აღიქვან საგნის რაოდენობა, რიცხვის აღმნიშვნელი სახელები დაყოფითაა წარმოდგენილი სახელმძღვანელოში და ეს თავისებურად ათვალსაჩინოებს შესასწავლ მასალას.

III კლასში ისწავლება რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელები. სათანადო მასალა სახელმძღვანელოში (ნ. მაღლაკელიძე, ც. ყურაშვილი, ე. მაღლაკელიძე – ქართული) სათანადო სავარჯიშოებითაა წარმოდგენილი. ჯერ რაოდენობითი რიცხვითი სახელი ისწავლება, შემდეგ – რიგობითი, რაოდენობითი რიცხვითი სახელის სწავლებისათვის საფუძველი წინა კლასებში მზადდება, რიგობითი რიცხვითი სახელის რაობის გაგება კი ეფუძნება რაოდენობითი რიცხვითი სახელიც ცოდნას.

IV კლასში ხდება ნასწავლი მასალის გამეორება, განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ მართლწერისა და მართლმეტყველების თვალსაზრისით რიგობითი რიცხვითი სახელის სწავლებაზე. ცნობილია, რომ რიგობითი რიცხვითი სახელი სამნაირად აღინიშნება: სიტყვიერად, არაბული და რომაული ციფრებით. ეს გარემოება, როგორც მეთოდისტები აღნიშნავენ, (კიზირია 1939; 27;) ართულებს რიგობითი რიცხვითი სახელის მართლწერას.

მოსწავლეთა წერითი თუ ზეპირი მეტყველების ანალიზით ირკვევა, რომ შეცდომები ფიქსირდება რიგობითი რიცხვითი სახელის წარმოებისას – როგორც რომაულით, ისე – არაბულით. არასწორად იყენებენ თავსართ-ბოლოსართებს: ან ორივეს იყენებენ : მე-60-ე. ან თავსართს იყენებენ ბოლოსართის ნაცვლად: მე-25, ან ბოლოსართს იყენებენ თავსართის ნაცვლად: 60-ე, რომაულ ციფრებთანაც იყენებენ თავსართს/ბოლოსართს.

წინასწარ შევისწავლეთ მართლწერის ჩვევა რამდენიმე სკოლის III-VI კლასებში. წერითი ნამუშევრები შევისწავლეთ სხვადასხვა თვალსაზრისით: რა და რა სახის წერითი სავარჯიშო ტარდება თითოეულ კლასში, რა ადგილი უჭირავს მართლწერის სავარჯიშოებს და რა მოცულობისაა ისინი, რა რაოდენობითაა წარმოდგენილი საწერ ტექსტებში შესწავლილი ორთოგრამები და როგორია ასეთი ნამუშევრების შესრულების ხარისხი.

მართლწერის სწავლების პრაქტიკის როგორც ზეპირი, ასევე წერითი მხარეების შესწავლა-ანალიზის შემდეგ სწავლების უფრო ეფექტური მეთოდების შემუშავებისათვის მივმართეთ ექსპერიმენტს.

III კლასში ამ საკითხის გაცნობა კლასის აქტიური მონაწილეობით დავიწყეთ. რაოდენობითი რიცხვითი სახელი მივაწოდეთ მოსწავლეებს არსებით სახელთან ერთად სათანადო კითხვის (რამდენი?) მეშვეობით. ხოლო განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ რიგობითი რიცხვითი სახელის სწავლებაზე, რომლის ცოდნა საფუძვლად ედება მართლწარმოთქმისა და მართლწერის პრაქტიკული ჩვევის გამომუშავებას.


პირველ რიგში მოსწავლეებს გავაცანით არაბული ციფრებით მართლწერა. რაოდენობით რიცხვით სახელთან შეპირისპირებით მათთვის ნათელი გავხადეთ, რომ რიგობითი რიცხვითი სახელის ფუძეზე მე- თავსართისა და –ე ბოლოსართის დართვით იწარმოება რიგობითი რიცხვითი სახელი. გამოვიყენეთ შედარება-შეპირისპირების ხერხი. მოსწავლეებს მივაწოდეთ ტაბულა:

რაოდენობითი	რიგობითი
ორი	მე-ორ-ე
ხუთი	მე-ხუთ-ე
ცხრა	მე-ცხრ-ე

იქვე მივაწოდეთ სათანადო წესი. ყურადღება გავამახვილეთ რიგობითი რიცხვითი სახელების კითხვებზე – მერამდენე? რომელი?

1. წელიწადის მერამდენე თვეა ?
2. რომელი საუკუნეა ახლა?

ჩვენს შემთხვევაში ეფექტურია პლაკატის გამოყენება, ის მოსწავლეს ეხმარება ვიზუალურად დაიმახსოვროს სათანადო წესები.



აუცილებელია მოსწავლეებს განვუმარტოთ, როდის უნდა ვიხმაროთ მე- და –ე რიგობითი რიცხვითი სახელის საწარმოებლად. მთავარია, მოსწავლე დავაუფლოთ რიცხვითი სახელის შინაარსობლივ ამოცნობას. ყურადღება გავამახვილოთ არაბული რიცხვით აღნიშნული რიგობითი რიცხვითი სახელების მართლწერაზე ოცის ჩათვლით და ვასწავლოთ, რომ მრგვალი ოცეულები (40, 60, 80, 100) დაირთავენ მე- სუფიქსს. მაგ.: მე-20, მე-60 და ა.შ.

ამის შემდეგ გავაცანით მოსწავლეებს რთული რიგობითი რიცხვითი სახელების მართლწერა. ამისათვის ფუძისა და მაწარმოებელი ელემენტების გაცნობა იყო საჭირო. ეს საკითხი რთულია სწავლების თვალსაზრისით იმდენად, რამდენადაც მათი მართლწერა ერთ წესს არ ემორჩილება. აქ მაწარმოებელი რთული ფუძის შემადგენელ უკანასკნელ ფუძეს მოუდის – ოცდა-მე-ხუთ-ე, 25-ე. სრული ოცეულებისაგან ნაწარმოები რიგობითი რიცხვითი სახელების წერა და წარმოთქმა არ ემთხვევა ერთმანეთს. წარმოთქმისას რიგობითი რიცხვითი სახელი მე-ს თავში დაირთავს და –ე-ს ბოლოში (მე-ორმოც-ე), ხოლო როცა ციფრებით აღვნიშნავთ, მაშინ –ე სუფიქსი აღარ იწერება – მე-40.

ანალოგიური ვითარებაა სრული ასეულებისაგან ნაწარმოებ რიგობით რიცხვით სახელებთან.

ამ საკითხის შესწავლის შემდეგ მოსწავლეები დავაკვირვებ რიგობითი რიცხვითი სახელის წარმოებისას –ე სუფიქსის ხმარების შემთხვევებზე.

დაფაზე ვწერთ:

რაოდენობითი	რიგობითი
ოცდახუთი	25-ე
სამოცდაშვიდი	67-ე
ოთხმოცდათერთმეტი	91-ე

ყურადღება გავამახვილებინებ მოსწავლეებს, თუ როგორ დაიწერა ეს რიგობითი რიცხვითი სახელი და რა გამოვიყენებთ მათ საწარმოებლად ანუ რა დავურთებთ ბოლოში რიგობითი რიცხვითი სახელის წარმოებისას. მოსწავლეებმა თვითონვე გააანალიზეს და გამოიტანეს სათანადო დასკვნა. და-თი შეერთებულ რიგობით რიცხვით სახელს ბოლოში -ე დაერთვის. მაგ., 25-ე, 29-ე, 87-ე და ა. შ.

ამ საკითხთა შესწავლის შემდეგ მოსწავლეებს გავაცანით რომაული ციფრების წერა. დაფაზე გამოვსახებთ რომაული რიცხვითი სახელები ათის ჩათვლით. შევუპირისპირებთ რაოდენობით რიცხვით სახელს და ამით ნათელი გავხადებთ, რომ რომაული ციფრებით აღნიშნულ რიგობით რიცხვით სახელს არც თავში და არც ბოლოში არაფერი არ დაერთვის. აუცილებელია მოსწავლეებს მივაწოდოთ სქემა-ტაბულა:

რაოდენობითი რიცხვითი სახელი		რიგობითი რიცხვითი სახელი	
სიტყვა	ციფრი	არაბული ციფრი	რომაული
ერთი	1	1-ლი	I
ორი	2	მე-2	II
სამი	3	მე-3	III
ოთხი	4	მე-4	IV
ხუთი	5	მე-5	V
ექვსი	6	მე-6	VI
შვიდი	7	მე-7	VII
რვა	8	მე-8	VIII
ცხრა	9	მე-9	IX
ათი	10	მე-10	X

მიღებული ცოდნა-ჩვევის განმტკიცებისათვის შევთავაზეთ ჩვენ მიერ შემუშავებული წერითი სავარჯიშოების შესრულება:

❖ რაოდენობით რიცხვით სახელს გაუსვით ერთი ხაზი, რიგობითს-ორი:

ერთი ნახვა ცნობაა, ორი ნახვა ძმობა.

მეათე შვილი ნაბოლარა იყო.

ოცდამეერთე საუკუნეში ვცხოვრობთ.

ცხრა მე ჰყავდა, ცხრა ვაჟკაცი დედას.

თამარი მეფობდა მეთორმეტე საუკუნეში.

❖ გადააკეთეთ რაოდენობითი რიცხვითი სახელი რიგობით რიცხვით სახელად: ორი -

მეორე, ხუთი-....., რვა-....., ოცდასამი-....., ორმოცდათორმეტი-.....

სამოცი-....., ოცდაათი-....., ოთხმოცდათორმეტი-.....

❖ წერტილების ადგილზე დაწერეთ შესაბამისი რიგობითი რიცხვითი სახელები; ლაშა (სამი) კლასში სწავლობს.

ის (შვიდი) სართულზე ცხოვრობს.

აქედან (ორი) სახლი ჩემია.

❖ გადააკეთეთ რაოდენობითი რიცხვითი სახელი რიგობითად 11-დან 20-მდე.

❖ შეცვალეთ რიგობითი რიცხვითი სახელებით:

1. მე (5) კლასში ვსწავლობ.

2. ის მოსწავლე (3) მერხზე ზის.

3. ჩვენმა ფეხბურთელებმა (25) წუთზე გაიტანეს გოლი.

4. (21)საუკუნეში შევაბიჯეთ.

5. (2)დღეა გადაუღებლად წვიმს.

❖ სიტყვები შეცვალეთ რიცხვებით:

1. მეცხრამეტე განთიადით გვეგებება ოხვრა კაკლის.

2. მესამე წელია, რაც აქ აღარ ვყოფილვარ.

3. დედამ მეცხრე ვაჟს გამოართვა დროშა და თავად წაუძღვა ჯარს.

4. მეშვიდე სართულზე ხანძარი მიმდინარებდა.

5. ნინოკო მეხუთე საფეხურიდან გადმოხტა და გაიქცა.

გაასწორეთ მართლწერისას დაშვებული შეცდომები: მე-V, V-ე, მე-III-ე, X-ე, მე-IX, მე-VII-ე.

❖ სიტყვით აღნიშნული რიგობითი რიცხვითი სახელი გამოსახეთ არაბული და რომაული ციფრებით: მაგ.: მეათე – მე-10 –X, მერვე, მესამე, მეშვიდე, მეხუთე, მეცხრე.

❖ მოძებნეთ რიცხვითი სახელის მართლწერისას დაშვებული შეცდომები და გაასწორეთ:

მე-7-ე, მე-25-ე, 19-ე, მე-97, მე-II, IV-ე, X-ე, მე-IX-ე

მოსწავლეები ვავარჯიშეთ მართლწარმოთქმაზე, მათ უჭირდათ ზოგირთი ორთოგრამის წარმოთქმა, ე.ი. სწორად არ იყო ფიქსირებული სიტყვის ფორმა, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ სწორად წარმოთქმაზე ვარჯიშს. ამისათვის გამოვიყენეთ სათანადო სავარჯიშოები:

1. შესასწავლი ორთოგრამები ავიღეთ წინადადებაში და მოსწავლეებს ხმამაღლა წარმოვათქმევინეთ.
2. დაევაღათ მოსწავლეებს სწორად წარმოთქვათ სიტყვით გამოხატული რიგობითი რიცხვითი სახელი ოციდან ორმოცამდე.

იმის გასარკვევად, თუ რამდენად კარგად შეითვისეს III კლასში მოსწავლეებმა რიგობით რიცხვით სახელთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები, ჩავატარეთ სმენითი კარნახი.

„ქრისტეფორე კოლუმბი მე-15 საუკუნის ბოლოსა და მე-16 საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა. იგი თოთხმეტი წლიდან მეზღვაური იყო. სწორედ მისი ინიციატივით გავიდა ესპანეთიდან სამი გემი. ეს ექსპედიცია ინდოეთისაკენ მიმავალი ახალი გზის აღმოჩენას ისახავდა მიზნად. გემზე ოთხმოცდაათი ადამიანი იყო. ისინი სამოცდათორმეტი დღის განმავლობაში ელოდნენ ხმელეთის გამოჩენას, მხოლოდ მოგზაურობის 73-ე დღეს გამოჩნდა მიწა.“

ტექსტი წავიკითხეთ ხმამაღლა თავიდან ბოლომდე, მკაფიოდ და სათანადო ინტონაციის დაცვით. შემდეგ ისევ წავიკითხეთ თითოეული წინადადება და მოსწავლეებმა ჩაიწერეს. ბოლოს კიდევ ერთხელ გადავიკითხეთ ტექსტი.

გაანალიზდა 62 მოსწავლის ნამუშევარი. ტექსტში იყო 7 ორთოგრამა.

იხილეთ დანართი № 10

შედეგების ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ მოსწავლეებმა ყველაზე მეტი შეცდომა დაუშვეს არაბული რიცხვით აღნიშნული რიგობითი რიცხვითი სახელის წარმოებისას,

არასწორად გამოიყენეს თავსართ-ბოლოსართები. დანარჩენი შეცდომების რაოდენობა კი მცირე იყო.

კარნახის მომენტში მოსწავლემ გაითვალისწინა საჭირო წესი, სმენითი შთაბეჭდილებიდან გაიხსენა სიტყვის გრაფიკული სახე. კარნახს უარყოფითი მხარეც აქვს. აქ ყურადღება მხოლოდ ცალკეული სიტყვების დაწერაზეა მიმართული, ტექსტი კი მზამზარეული მიეწოდებათ მოსწავლეებს. მათ აღარ უხდებათ ფიქრი დასაწერი მასალის შინაარსზე. მაგრამ მაინც თმამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კარნახით წერა ორთოგრაფიის შეთვისების ყველა ძირითადი ფაქტორის ერთდროულად ამოქმედებას იწვევს.

როგორც ვნახეთ, მოსწავლეებმა რიცხვითი სახელის მართლწერის ელემენტარული საკითხები III კლასში შეისწავლეს. ეს მასალა მიზანად ისახავდა რიცხვითი სახელის მართლწერისა და მართლმეტყველების პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებას. V კლასში უკვე ეუფლებიან რიგობითი რიცხვითი სახელების რომაული ციფრებით გამოხატვას და რიგობითი სახელების არაბული ციფრებით გამოსახვას. მათთვის სიახლეს წარმოადგენს ფუძეგაორკეცებული და სხვადასხვა რიცხვითი სახელების შეერთებით მიღებული რთული სახელების მართლწერა, რიცხვითი სახელები ასს ზევით. აგრეთვე შვიდივე ნიშანს ეცნობიან, რომელიც საჭიროა რომაული სისტემით რიცხვების გამოსახატავად. მეექვსე კლასში კი წილობითი რიცხვითი სახელების მართლწერას სწავლობენ.

სასწავლო წლის ბოლოს V კლასის წერითი ნამუშევრების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ძირითად შეცდომათა ტიპები ასეთია: არაბული ციფრებით გამოხატვისას ორივე მაწარმოებელს იყენებენ, როცა რიგობითი სახელს რომაული ციფრებით გამოხატავენ, იყენებენ მაწარმოებლებს. შეცდომათა მეტი წილი გვხვდება რთული ან შედგენილი რიცხვითი სახელების წარმოთქმასა და წერაში.

ამ საკითხის შესწავლა-ანალიზის შემდეგ მივმართეთ ექსპერიმენტს, რათა მოგვეძებნა რიცხვითი სახელის მართლწერის სწავლების უფრო რაციონალური გზა.

საპილოტე კლასებში ნასწავლი მასალის გამეორებით დავიწყეთ რიცხვითი სახელის მართლწერის შესწავლა. გამოვიყენეთ თვალსაჩინოება (სურათები, საგნები ტაბულები, სქემები), რომელიც აადვილებს მართლწერის საკითხების შესწავლას.

დაფაზე დავწერეთ წინადადებები:

1. რომელ სახლში ცხოვრობ? – აქედან მესამე (მე-3) სახლში.
2. მერამდენე დღეა რაც არ გინახავს? – თითქმის ოცდამეხუთე (25-ე) დღეა.

მოსწავლეები დავაკვირვებ რიცხვითი სახელის კითხვებზე. კლასის აქტიური მონაწილეობით გამოიტანეს სათანადო დასკვნები. აქვე მივაწოდეთ გამონაკლისი წესი, რომ არაბული „პირველი“ ციფრით გამოიხატება ასე: 1-ლი

კლასს მოვაგონეთ ნასწავლი მასალა რომაული რიცხვების შესახებ და შვიდივე ნიშანი I,V,X,L,C,D,M საფუძვლიანად შევასწავლეთ შესაბამისი სავარჯიშოების მეშვეობით.

გამოვიყენეთ შესაბამისი ტაბულა, რომელმაც ხელი შეუწყო მოსწავლეებს მართლწერის ჩვევათა გამომუშავებაში.

რიცხვითი სახელის მართლწერის საკითხების სწავლებას უკავშირდება კიდევ რამდენიმე საკითხი, რომელთა შესწავლისას გამოვიყენეთ სწავლების დედუქციური გზა. ეს წესებია:

1. ფუძეგაორკეცებული და სხვადასხვა რიცხვითი სახელებისაგან მიღებული რთული სახელები იწერება დეფისით. იქვე ვაკვირვებთ სათანადო მაგალითებზე. ხუთ-ხუთი (5-5), შვიდას-შვიდასი (700-700) და ა.შ.
2. და-თი შეერთებული რთული რიცხვითი სახელები ასის ფარგლებში და ასეულების აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები იწერება ერთად. ოცდახუთი, სამასი და ა. შ.

3. ნახევარი დეფისით გამოეყოფა იმ სახელს, რომელსაც უკავშიროდ დაერთვის. ხუთ-ნახევარი, თვე-ნახევარი.

4. რიცხვითი სახელები ასს ზევით იწერება ცალ-ცალკე (ასეულების აღმნიშვნელი რიცხვითების გარდა). ას სამოცი, ათას სამი...

მოსწავლეებს მართლწერის წესები სათანადო გრამატიკულ თემებთან დაკავშირებით შევასწავლეთ და გამოვუმუშავეთ მართლწერის ავტომატიზირებული ჩვევა. ამ საკითხის სწავლება დავუკავშირეთ ლიტერატურული ტექსტების სწავლებას. მოსწავლემ თავისუფლად უნდა შეძლოს მათი გამოყენება ყველა სახის წერით სავარჯიშოში. ამიტომ ჩვენი ექპერიმენტის მიხედვით საპილოტე კლასებში მოსწავლეებს ვავარჯიშებთ დამატებითი წერითი სავარჯიშოებით:

❖ რაოდენობითი რიცხვითი სახელი შეცვალეთ რიგობითი რიცხვითი სახელებით და წარმოთქვით სწორად:

1. გაღმიდან (2) მგელმა მისცა ხმა.
2. (6) წელია რაც აღარ მინახავს.
3. (65) საშუალო სკოლაში სწავლობს.
4. ბრმათა შორის ცალთვალიო არის (1) სარდალიო.
5. (102) მუხლით გაასამართლეს.

❖ გადაიწერეთ დასახელებული რიცხვები, მიუწერეთ რომაული და არაბული ციფრები:

მესამე _ მე-3 _ III ოცდამეცამეტე

ოცდამეშვიდე მეათე

ორმოცდამეათე პირველი

ასმეხუთე მეთორმეტე

❖ გაასწორეთ შეცდომები:

მე-45	მე-X
60-ე	V-ე
მე-1	მე-L
მე-30	მე-D-ე

❖ ჩაწერეთ სიტყვებით:

1. 107, 37, 306. 1035, 299.
2. 5-5, 50-50, 40-45, 600-700.

❖ გაარკვიეთ, რომელია მართებული ფორმა:

- | | |
|--------------|------------------------|
| 1. შვიდშვიდი | 2. ოთხმოცდა მეცხრამეტე |
| შვიდ შვიდი | ოთხმოცდამეცხრამეტე |
| შვიდ-შვიდი | მეოთხმოცდამეცხრამეტე |
| 3. ორას ოცი | 4. თვე ნახევარი |
| ორასოცი | თვენახევარი |
| | თვე-ნახევარი |

ეს დავალება შევასრულებინეთ დამოუკიდებლად და შემდეგ იქვე კლასში გავაანალიზოთ. მთელი კლასი აქტიურად იყო ჩართული, გავასწორეთ შეცდომები და მოსწავლეებს მართებული ფორმები სათითაოდ წარმოთქვათქმევინეთ. ისინი ასე უფრო

რიგობითი რიცხვითი სახელის მართლწერაზე 6 შეცდომა იქნა დაშვებული, ფუნქციონირებისაზე-7, რთულ რიცხვით სახელებთან-8, რომაულ ციფრებთან - 7.

იხილეთ დანართი № 11

ჩვენ მიერ შემუშავებული წერითი სავარჯიშოები მართლწერის ჩვევის განმტკიცებისაკენ იყო მიმართული. სავარჯიშოებთან ერთად მართლწერის სწავლებისას წესის ცოდნას არსებითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის ჩვევათა ფორმირებისას. წესის ყოველმხრივი გააზრება და ჩვევის ავტომატიზაცია უნდა მოხდეს სათანადო წერითი სავარჯიშოების შესრულების გზით. ამ საკითხის სწავლება ლიტერატურულ მასალასთან დავაკავშირეთ. სწავლების პროცესში გამოვიყენეთ თვალსაჩინოების მეთოდი, რომლის გამოყენების ეფექტი დიდია.

VI კლასში რიცხვითი სახელის შესწავლას წინ უძღვის წინა კლასებში შესწავლილი მასალის გამეორება.

ლიტერატურული ტექსტის ანალიზისას რიცხვითი სახელების გარკვევისა და ერთგვარი დაჯგუფების შემდეგ კლასს მოვაგონეთ წესი რიცხვითი სახელის შესახებ, თითოეული ჯგუფის გარკვევისა და განსაზღვრის მიცემის შემდეგ გავაცანით ტერმინები: რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი. ამა თუ იმ ჯგუფის რიცხვითი სახელის ამოსაცნობად გამოვიყენეთ კითხვები. შეჯამების მიზნით შევადგინეთ ტაბულა:

ჯგუფები შინაარსის მიხედვით	კითხვები	ნიმუში
რაოდენობითი რიცხვითი სახელი	რამდენი?	ორი, ასი, ბევრი
რიგობითი რიცხვითი სახელი	მერამდენე?	მეხუთე, მეასე
წილობითი რიცხვითი სახელი	მერამდენედი?	მეხუთედი,მეათედი

ასეთი ტაბულის გამოყენება აზუსტებს და ასისტემებს ცოდნას და ხელს უწყობს რიცხვითი სახელის სხვა მეტყველების ნაწილთაგან გამიჯვნას.

კლასი დავაკვირვით მაგალითებზე:

სამი კალათა ყურძენი დაიკრიფა.

მესამე კალათაში შავი ყურძენია.

კალათის მესამედი ყურძენი სტუმრებმა შეჭამეს.

კლასის აქტიური მონაწილეობით გავარკვიეთ, რომელია რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელი. რომელი აღნიშნავს მთელის ნაწილს, როგორ იწარმოება და რა კითხვა დაესმის. მოსწავლეებმა თავად გამოიტანეს სათანადო დასკვნები და ამის შემდეგ მივაწოდეთ წესი: *წილობითი რიცხვითი სახელი იწარმოება რიგობითისაგან და გამოყენებულია რიგობითი რიცხვითი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა. (მეოთხედი). მეორედის ნაცვლად იხმარება ნახევარი, რომელიც დეფისით გამოეყოფა იმ სახელებს რომელსაც ის უკავშიროდ დაერთვის. (სამ-ნახევარი).*

შესწავლილი მასალის გასამტკიცებლად მოსწავლეებს შევთავაზეთ სავარჯიშოები:

1. მოსწავლეებს დაევალოთ, მითითებული ტექსტიდან ამოეწერათ რიცხვითი სახელები;
2. მიეცათ რაოდენობითი რიცხვითი სახელები სიტყვობრივად და დაევალოთ მათი გადაკეთება რიგობითად და წილობით რიცხვით სახელებად.
3. მიეცათ რაოდენობრივი რიცხვითი სახელები არაბული ციფრებით და დაევალოთ მათი გადაკეთება რიგობითად და გამოხატვა არაბული და რომაული ციფრებით.
4. დაევალოთ რიგობითი რიცხვითი სახელებისაგან წილობითის წარმოება და მათი გამოყენებითი წინადადებების შედგენა.

ანალოგიური დავალებები მიეცათ შინ შესასრულებლად. სავარჯიშოები ერთიმეორესთან იყო კავშირში და ხელს უწყობდა ახსნილი ორთოგრაფის ცოდნის განმტკიცებას და ამავე დროს ნიადაგს ამზადებდა შემაჯამებელი წერისათვის.

ბოლოს, იმის გასარკვევად რამდენად კარგად შეისწავლა კლასმა ეს მასალა, გამოვიყენეთ ასეთი სავარჯიშო:

❖ მოცემული რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან აწარმოეთ რიგობითი (არაბული რიცხვით აღნიშნული) და წილობითი რიცხვითი სახელები და მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები.

ორი, ხუთი, ოცი, თხუთმეტი, ოცდაორი.

გაანალიზდა 68 მეექვსე კლასელის წერითი ნამუშევარი. ანალიზმა აჩვენა, რომ მეტი წილი შეცდომებისა დაფიქსირდა ორიდან წილობითი რიცხვითი სახელის წარმოებისას – 8 შეცდომა, *ნახევარის* ნაცვლად გამოიყენეს *მეორედი*–(7 შეცდომა), და ოცდაორიდან რიგობითი (*მეოცდამეორე*– 5 შეცდომა) და წილობითი რიცხვითი სახელის წარმოებისას–(*მეოცდამეორედი*–ასეთი შეცდომა –8).

იხილეთ დანართი № 12

ე.წ „თავისუფალი სახის“ წერითი სავარჯიშო, როგორცაა მოცემული ორთოგრამების გამოყენებით ცალკეული წინადადებების შედგენა, მოითხოვდა მოსწავლეებისაგან შეუფერხებლად გამოყენებინათ მართლწერის შესწავლილი წესები. ამ სავარჯიშოს მთავარი ამოცანა შესწავლილი ორთოგრამების მართებულად გამოყენება კი არა იყო, არამედ წინადადებების სწორად შეთხზვა. ე.ი ყურადღების ცენტრში ნაწერის შინაარსობლივ–ლოგიკური მხარე იყო და არა რომელიმე სიტყვის მართლწერა. მოსწავლეებმა დიდი ინტერესითა და წარმატებით გაართვეს თავი დაკისრებულ ამოცანას, აქ ორი კონკრეტული ამოცანის გადაჭრა მოუხდათ, რომლისთვისაც მთელი მათი ფსიქიკური ძალები გამოიყენეს. დადასტურდა ის ფაქტი, რომ მოსწავლეები არცთუ ძნელად სწავლობენ მართლწერის წესებს, მათ იცავენ კიდევ თავისუფალი სახის წერით სავარჯიშოებში, თუ სწავლებისას ხშირად გამოვიყენებთ ასეთი ტიპის სავარჯიშოებს. ასე მათ ორთოგრამის ხმარების ავტომატიზებული ჩვევა გაუვითარდებათ.

3.4 ზმნასთან დაკავშირებული ორთოგრაფიული საკითხების სწავლება

ქართული ზმნა ფორმათა მრავალფეროვნებით, თავისი მოქნილობითა და დინამიკურობით გამოირჩევა. მას არა ერთი დამახასიათებელი თავისებურება გააჩნია, რომელიც დიდ გამომსახველობით უნარს ანიჭებს ენას. ქართულში ზმნას ხშირი გამოყენება აქვს. როგორც ი. ჭავჭავაძე წერდა: „ქართველი უფრო ზმნით ლაპარაკობს, ზმნებით ჰმეტყველებს, ვიდრე სხვა სიტყვის ნაწილებით,“ „ქართული ფრაზის აგებულება ზმნაზეა დამოკიდებული“ (ჩიქობავა1952:).

ქართული ზმნის მნიშვნელობა ქართული ენის მორფოლოგიის კურსში მეტად დიდია. მოსწავლე ქართული ენის გრამატიკული წყობის დიდ ნაწილს და ლექსიკური შემადგენლობის გამდიდრების საშუალებებს ქართული ზმნის შესწავლით ეცნობა.

ზმნის სწავლებისათვის მოსამზადებელი მუშაობა II კლასში იწყება. მოსწავლეები სათანადო ტერმინის მიწოდების გარეშე ეცნობიან საგნის მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს. საგნის მოქმედებაზე დაკვირვებით, მარტივი მაგალითების კითხვების საშუალებით, ანალიზით. შესწავლილი მასალის გასამტკიცებლად მოცემულია სავარჯიშოები. „ეს აძლევს მოსწავლეს ელემენტარულ თეორიულ ცოდნას ქართული ზმნის ბუნების შესახებ და მიზნად ისახავს გამოუმუშაოს ჩვევა მეტყველებაში ზმნების სწორად გამოყენებისა“(მაღლაკელიძე 1976:).

ცნება “ზმნა” III კლასში მიეწოდება მოსწავლეებს. "ცნების მიწოდება სიტყვის სემანტიკური დახასიათების ბაზაზე ხდება, ხოლო სემანტიკური დახასიათება ამ პრაქტიკული ცოდნის ბაზაზე, რაც მეტყველების ნაწილთა შესახებ მიიღეს" (წულაძე1971: 13;). IV კლასში მოსწავლეებს ზმნის უღლების ელემენტარული საკითხები და მასთან დაკავშირებული მართლწერის მარტივი საკითხები ეცნობათ, ესენია: ორი ვ–ს და ვ–ს წინ უ–ს ხმარების შემთხვევები.

წინა კლასებში მიღებული ცოდნა ედება საფუძვლად V–VI კლასში მთელი რიგი გრამატიკული კატეგორიების გაცნობას, ამიტომ მოსწავლეებს აღარ უჭირთ ზმნის

პირისა და რიცხვის ნიშნებთან დაკავშირებული მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხების გარკვევა და ცოდნის გაღრმავება.

წინასწარ სპეციალურად შევისწავლეთ და გავაანალიზეთ ზმნასთან დაკავშირებული მართლწერის სწავლების პრაქტიკა, წერიტი ნამუშევრები, სავარჯიშოების არსებული სისტემა, რათა ნათლად დაგვეჩვენა მართლწერის ჩვევის შემაფერხებელი მიზეზები და ხელისშემწყობი ფაქტორები.

ერთი შეხედვით, თითქოს II კლასში ამ მოცულობით (მხოლოდ სიტყვის სემანტიკაზე დაკვირვებით) რთული არ უნდა იყოს მოქმედების გამომხატველი სიტყვების სწავლება, მაგრამ მაინც არის სიმძნელები. სპეციალურ ლიტერატურაში (Айдаров 1967:) ჩანს, რომ მოსწავლეები ამ ასაკში სიტყვას უკავშირებენ იმ წარმოდგენებს, რომლებსაც მათში მოცემული საგანი იწვევს, მაგრამ ასეთი წარმოდგენები ხშირად იწვევს მეტყველების ნაწილთა ერთმანეთში აღრევას. ამ მიზეზის გამო ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ გრამატიკის სწავლებაში საგნობრივი თვალსაჩინოება ნაკლებსასურველია, თუმცა იგი საერთოდ სწავლების პროცესში მაღალ ეფექტს იძლევა"(Богоявленский 1958:).

ყველაზე გავრცელებული შეცდომა კი არის ვ – თავსართის გამოტოვება პირველ პირში ვ–, უ– და ო– ბგერით დაწყებულ ზმნებთან.

როგორც ვიცით, ქართული ძირითადად ფონეტიკური დაწერილობის ენაა, მაგრამ ფონეტიკური პრინციპი ხშირად ირღვევა (ერთი ბგერის მეორესთან მეზობლობის დროს). "მეზობლობაში მყოფი ორი ბგერის წარმოთქმისას მათი საზიარო არტიკულაცია წარმოებს მხოლოდ ერთხელ და არა ცალ-ცალკე თითოეულისათვის"(ახვლედიანი 1966: 40;). სწორედ ამის გამო აწყდებიან ამ სირთულეებს მოსწავლეები ზმნის პირის ნიშნების გაცნობისას, უჭირთ გემინირებული თანხმოვნების (ორი ვ) და ჰომორგანული ბგერების (უ-სა და ო-ს წინ ვ-ს) სათანადო არტიკულაცია.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო მართლწერის სწავლებაში ეფექტური გზების ძიება, მართლწერის ჩვევათა გამომუშავების კანონზობიერების მიგნება.

IV კლასში მოსწავლეებს ზმნის უღლების ელემენტარული საკითხები და მასთან დაკავშირებული მართლწერის მარტივი საკითხები – ორი ვ–ს და ვ–ს წინ უ–ს ხმარების შემთხვევები გავაცანით. ზმნის უღლებასთან დაკავშირებული ორთოგრაფიული წესების გაცნობამდე ზმნის ფუძისა და პირის ნიშნები მოვაგონეთ მოსწავლეებს. მართლწერის წესების ასახსნელად გამოვიყენეთ შეპირისპირების ხერხი და გრამატიკული გარჩევის ხერხი. ზმნასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხების სწავლებისას დავაკვირვებთ სათანადო მაგალითებზე და თვითონ გამოიტანეს დასკვნები. ამ საკითხის სწავლებისას ეფექტური გამოდგა სწავლების ინდუქციური გზა. მოსწავლეს დაფაზე დავაწერინებ ჩვენ მიერ წინასწარ მოფიქრებული სიტყვები.

ვარაუდობს ხატავს

კლასის აქტიური მონაწილეობით გავაანალიზებთ ზმნები.

1. რომელ პირშია ეს ზმნები?
2. რომელია ზმნის ფუძე და პირის ნიშნები?
3. რომელი ბგერით იწყება ზმნის ფუძე?
4. ჩასვით ეს ზმნები I პირში.

მოსწავლეთა ყურადღება გავამახვილებთ I პირში ორი ვ–ს შემთხვევებზე. მათ გააცნობიერეს, რომ პირველი ვ არის პირის ნიშანი, მერე- ვ - კი ფუძისეული.

ამ ორი ზმნის შეპირისპირებით მოსწავლეები ხვდებიან, როცა *ზმნა ვ-თი იწყება, I პირში ორი ვ მოიყრის თავს*. მოსწავლეები დავაკვირვებთ ამ ზმნების არტიკულაციაზე და ვავარჯიშებთ მათ წარმოთქმაზე. ამით სწორად დაფიქსირდა სიტყვის ფორმა. ეს თავიდან აგვაშორებს მოსალოდნელ შეცდომებს წერაში.

ამის შემდეგ დაფაზე გამოვსახებთ სქემა და შევავსებთ მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით.

პირის ნიშანი	ფუძე	ზმნა
ვ-	ვარაუდობ	ვ-ვარაუდობ
ვ-	ვითარდებ	ვ-ვითარდები
ვ-	ვარცხნი	ვ-ვარცხნი
ვ-	ვარჯიშობ	ვ-ვარჯიშობ
ვ-	ვაჭრობ	ვ-ვაჭრობ

შემდეგ მოსწავლეებს გავაცანით უ-ს წინ ვ-ს ხმარების აუცილებლობა. კლასს მოვაგონეთ ზმნის ფუძის პოვნის ხერხი, როდის იწერება ორი ვ ზმნაში და გახსენების შემდეგ ვაკვირვებთ მაგალითებზე.

უყვირის უმზერს უტევს

კითხვების საშუალებით მოსწავლეებმა გააანალიზეს ეს ზმნები, დაასახელეს ზმნის ფუძე, პირის ნიშანი, ყურადღება მივაქცევინეთ, თუ რომელი ბგერით იწყება ზმნის ფუძე, ჩავსვით პირველ პირში და შევადარეთ II ან III პირის ფორმები. მოსწავლეებმა თვითონ გამოიტანეს სათანადო დასკვნა. ამ წესების შესწავლით მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ მართლწერის ჩვევა. „მოსწავლე არა მხოლოდ უნდა ასრულებდეს მართლწერის ამა თუ იმ წესს და შეეძლოს მისი ახსნა, არამედ უნდა ჰქონდეს ჩვევა ამ წესების მართებულად გამოყენებისა საკუთარ მეტყველებაში –ზეპირსა და წერაში“(თალაკვაძე 1955: 61;).

მოსწავლეებს საკითხები უნდა წარვუდგინოთ როგორც ამოცანა, რომელიც თავად უნდა გადაჭრან, კონსტრუქტივიზმის ძირითადი პრინციპიც სწორედ ესაა: ცოდნა არ შეიძლება გადავცეთ მზა სახით, უნდა შევქმნათ სათანადო პედაგოგიური პირობები, რათა მოსწავლეებმა თვითონ ააგონ და განავითარონ ის. (ჯანაშია... 2010: 107;).

ჩვენ მოსწავლეებს ვებმარებით ააგონ ცოდნა, შეძლონ ანალიზი, დამოუკიდებლად გამოიტანონ დასკვნები. სათანადო ორთოგრაფიული ჩვევები რომ გამოვუმუშაოთ,

ამისათვის საჭიროა „მოსწავლეებს ჰქონდეთ სათანადო სიტყვათა ანალიზის უნარი ზეპირ მეტყველებაში“(თოფურია 1965: 58;).

ამ საკითხების დაუფლებაში გარკვეული როლი ეკუთვნის სწორ მხედველობით აღქმებსა და წარმოდგენებს. ამიტომ სწავლებისას ეფექტურია თვალსაჩინოების გამოყენება (ორთოგრაფიული ტაბულები, სქემები, პლაკატები) და სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების (კომპიუტერი, პროექტორი) გამოყენება. სადაც საყურადღებო ორთოგრაფიები განსხვავებული ფერით იქნება წარმოდგენილი:

ორთოგრაფიული ჩვევების განმტკიცების მიზნით ჩავატარეთ წერითი სავარჯიშოები. კვლევამ გვიჩვენა, რომ მოსწავლეები წარმატებით ითვისებენ მართლწერის წესებს, მაგრამ როცა საქმე თავისუფალი სახის წერით სავარჯიშოზე მიდგება, აქ უკვე შეცდომებს ვაწყდებით, რადგან მათ არა აქვთ კარგად გამომუშავებული ორთოგრაფიის ხმარების ავტომატიზირებული ჩვევა. წესს, რომელიც მან ზეპირად იცის, ვერ იყენებს წერის დროს. მართლწერის სწავლების უპირველესი მიზანი კი არის მოსწავლეს ყოველთვის ახსოვდეს და შეუფერხებლად იყენებდეს შესწავლილ წესებს. რადგან „წესშია ასახული ის ზოგადი ნიშნები, რომელთა ცოდნა უამრავი ანალოგიური ფაქტის ასახსნელადაა გამოსადეგი“(რამიშვილი 1966: 25;). მაგრამ წესის ცოდნასთან ერთად აუცილებელია ორთოგრაფიის ხმარების ავტომატიზირებული ჩვევა, რაც წერითი სავარჯიშოებით მიიღწევა. „მისი ყოველმხრივი გააზრება და ჩვევის ავტომატიზაცია უნდა მოხდეს სათანადო წერითი სავარჯიშოების შესრულების გზით“ (მაღლაკელიძე 2004: 238;).

საპილოტე კლასის მოსწავლეები ვავარჯიშეთ ასეთი ტიპის სავარჯიშოებით:

❖ ჩასვით გამოტოვებული ასოები:

მე გაცოცხლებდი –უყურებდი მზის ჩასვლას. მე ყოველთვის გვიან –ვახშმობ. სულგანაბული მე ყურს –უგდებდი მის სიმღერას. ბებოს წერილს –უგზავნი. ჩემს პატარა დაიკოს თმებს –ვარცხნი. მე მას ყველაფერი გულახდილად – უთხარი. მე პატარებს – უყვები საინტერესო ამბებს.

ამ წინადადებებს ვწერთ დაფაზე და მოსწავლეთა საერთო ძალებით ვავსებთ გამოტოვებულ ადგილებს. შემდეგ დავფარავთ ტექსტს და ვკითხულობთ. ამ დროს მოსწავლეები ერთმანეთს უდარებენ ოპტიკურ და სმენით შტაბეჭდილებებს, აღიდგენენ და ინიშნავენ ამ ორთოგრაფებს. კარნახის დასრულებისთანავე ვხსნით დაფარულ ტექსტს დაფაზე. მოსწავლეები საკუთარ ნაწერებში პოულობენ და ასწორებენ შეცდომებს.

❖ მართლწერის სწავლებისას ეფექტურია ინდივიდუალური ბარათების გამოყენება. ამ ბარათებს ვამზადებთ იმდენს, რამდენი მოსწავლეც არის კლასში. ბავშვები დამოუკიდებლად ასრულებენ ამ დავალებას. ასეთი მუშაობა „ზრდის, როგორც მოსწავლეთა ინტერესსა და აქტივობას, ისე მასალის შეთვისების ხარისხსაც“ (მაღლაკელიძე 2004: 205;).

ზმნა	თავსართი	ფუძე
ვვახშობ	ვ-	ვახშობ
ვვარაუდობ		
ვვარცხნი		
ვუყვები		
ვვაჭრობ		
ვუმზადებ		

❖ გაასწორეთ შეცდომები.

1. მოუსმინე და პასუხიც სათანადო გავეცი. 2. მე ბებია საჩუქრებიც წაუღე. 3. ყველაფერი დაწვრილებით უამბე, რაც შემემთხვა. 4. ფანქრები რომ მქონოდა, ლამაზ ნახატს დაუხატავდი. 5. მე ყველას მშვიდობისაკენ მოუწოდებ. 6. თოჯინას კაბას კიდევ უჭრი და კიდევ უკერავ. 7. მინდა რომ ჩემს ძმას ამანათი გაუგზავნო.

❖ ხაზი გაუსვით მართებულ პასუხებს.

- 1) მე ყურადღებით (უსმენდი, ვუსმენდი)
- 2) დილით თმებს მე (ვუვარცხნიდი, უვარცხნიდი)
- 3) მე იმწამსვე გარეთ (გამოვარი, გამოვვარდი)
- 4) მე ყოველთვის (უფრთხილდებოდი, ვუფრთხილდებოდი) მას.
- 5) მე არ (უშვებდი, ვუშვებდი) დარიალთან გააფთრებულ ყვითელ გველებს.
- 6) ჩვენ ყოველთვის ერთად (ვახშმობთ, ვვახშმობთ)

❖ სავარჯიშო მოცემული ზმნები ჩასვით I პირში და შეადგინეთ წინადადებები. (ვახშმობს, უკითხავს, უშენებს, უმზერს, ვარაუდობს, ვაჭრობს).

დაფაზე ვწერთ ამ ზმნებს, მოსწავლეებს ევალუბათ მათი გამოყენებით წინადადებების შედგენა. ასეთი ტიპის სავარჯიშოს შესრულებისას შეცდომების რაოდენობა მეტია. რადგან ამ დროს მოსწავლეს უხდება არა მარტო სიტყვის მართლწერაზე ფიქრი, არამედ სტილისტური ამოცანების გადაჭრაც. ამგვარ დავალებებს დიდი მნიშვნელობა აქვს მართლწერის ჩვევათა ფორმირებისათვის.

ამ მაგალითების გაანალიზების შემდეგ კლასს ვავარჯიშებთ მართლწარმოთქმაში, კლასს ვასმენინებთ წინასწარ CD დისკოზე ჩაწერილ ტექსტს, სადაც ტექსტს კითხულობენ მკაფიოდ, გამართულად, სატანადო ინტონაციის დაცვით, პაუზებით, რათა მოსწავლეს საშუალება ჰქონდეს გონებაში გაანალიზოს სმენითი გზით მიღებული შთაბეჭდილება.

ბოლოს იმის გასარკვევად, თუ რამდენად კარგად ფლობენ მოსწავლეები მართლწერის ამ საკითხებს, ვატარებთ კარნახს.

„ჩემს პაწია დაიკო თინას ყველაფერს მე ვუკეთებ. ვასწავლე ვარჯიში და ყოველ დილით ერთად ვვარჯიშობთ, ვუვარცხნი თმებს. ზოგჯერ კაბასაც ვუკერავ. ერთად ვუსმენთ მუსიკას, ვუყურებთ ტელევიზორს, ვუკითხავ საბავშვო წიგნებს.

თინას ხატვა ვასწავლე. ჯერ კარგად ვერ ხატავს, მაგრამ ნახატს არ ვუწუნებ. დედას ვუხმე და თინას ნახატები ვუჩვენე. ნახატები დიდდას გავუგზავნეთ სოფელში.“

სავარჯიშო შეიცავდა 12 საყურადღებო ორთოგრამას. სავარჯიშო შეასრულა მეოთხე კლასის 68 მოსწავლემ. აქედან ორი ვ-ს ხმარებისას 6 შეცდომა დაფიქსირდა, უ-ს წინ ვ-ს ხმარების– 30 შეცდომა, აქედან 10 შეცდომა იყო ზმნისწინიან ფორმებთან (გავუგზავნეთ), რადგან ზმნისწინი მოსწავლეებს ჯერ ნასწავლი არა აქვთ, ისინი ზმნისწინიან ფორმებში პირის ნიშანებს ვერ გამოყოფენ, ამიტომ შეცდომებიც მეტია.

დანართი №13

ამრიგად, ეფექტური აღმოჩნდა ზმნის სწავლებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხების ახსნა ინდუქციის გზით. ახსნას წინ უძღოდა ზმნის პირის ნიშნებისა და ფუძის გახსენება. მოსწავლე ყოველთვის კარგად ითვისებს მაშინ, როდესაც ახალი ინფორმაცია კავშირშია უკვე ნასწავლთან. ახსნისას გამოვიყენეთ სქემები და ტაბულები, თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებები, რომელთა გამოყენებაც აადვილებს ორთოგრამებში გარკვევასა და წესების დამახსოვრებას. ჩვევათა გამომუშავებას ხელს უწყობს სათანადო ორთოგრაფიული სავარჯიშოების შესრულება. სწავლებისას გამოვიყენეთ როგორც ტრადიციული წერიტი სავარჯიშოები, ასევე შემოქმედებითი წერიტი სავარჯიშოებიც, ეს მართლწერის ჩვევათა ფორმირებისათვის დიდი ეფექტს იძლევა, მათი ჩატარების პროცესში მოსწავლეები უკეთ აცნობიერებენ შესწავლილ წესს.

ასეთი პედაგოგიური გარემო ხელს უწყობს მოსწავლეს თავად ჩაწვდეს შესასწავლ საკითხს, გამოიტანოს დასკვნები და გადაჭრას მის წინ მდგარი პრობლემა.

3.5. ზმნისწინთან დაკავშირებული მართლწერის საკითხებზე მუშაობა

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ზმნისწინის შესახებ მსჯელობას ჯერ კიდევ ანტონ პირველის გრამატიკაში ვხვდებით. იგი იყენებს ტერმინს "კერძოკე".

ანტონიდან მოყოლებული უკვე გარკვეული წარმოდგენები არსებობს ზმნისწინის შესახებ: გაიოზი მას უწოდებდა "მარცვალს", დ. ყიფიანი – "მიმყოლ თანდებულს", დ. კარიჭაშვილი – "სრულყოფილ ზენართს", ა. ქუთათელაძე – "სიტყვის ნაკვეთს". მისი მეცნიერული დამუშავება კი ა. შანიძემ შეძლო. მეცნიერთა აზრით, ზმნისწინი დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვა იყო, როგორც თანდებული. იგი მომდინარეობს სრულმნიშვნელოვანი სიტყვისაგან – ზმნისართისაგან, მაგრამ მან დროთა განმავლობაში დაკარგა დამოუკიდებელი მნიშვნელობა და ზმნას მიუერთდა.


ზმნისწინი და მასთან დაკავშირებული მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხები IV კლასში მიეწოდებათ მოსწავლეებს ზმნის პირის, ფუძის ზმნის რიცხვისა და მასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხების სწავლების შემდეგ. ზმნისწინის მარტივი მაგალითების ანალიზის საფუძველზე ისინი პრაქტიკულად ეცნობიან ზმნისწინის ფუნქციას და ადვილად ერკვევიან მართლწერის საკითხებში.

V კლასში ლიტერატურული მასალის გამოყენებით ხდება წინა კლასში ნასწავლი მასალის გამეორება და გაღრმავება.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოსწავლეთა ზეპირი თუ წერიტი ნამუშევრების ანალიზმა ცხადყო, რომ სირთულეებს მაინც ვაწყდებით ისეთ შემთხვევებში, როგორცაა ორი ა-ს, ორი ი-ს, ორი ე-ს და კუთხური მეტყველებისას ზმნისწინის ხმოვნის შეცვლა (მე-იტანა, წე-ილო). აღ, გან, წარ ზმნისწინის ხმარებისას დაშვებული შეცდომები და ზმნისწინიან ფორმაში პირის ნიშნის ადგილის შეცვლა.

სათანადო ლინგვისტური, მეთოდოლოგიური და ფსიქოლოგიური ლიტერატურის გაცნობამ, აგრეთვე სკოლის გამოცდილებამ საშუალება მოგვცა შეგვემუშავებინა სწავლების ექსპერიმენტული გეგმა.

IV კლასში ზმნისწინის რაობის გაცნობის შემდეგ ზმნისწინთან დაკავშირებული მართლწერის მხოლოდ ელემენტარულ ჩვევებს ვაძლევთ მოსწავლეებს. ამ საკითხის გაცნობისას გამოვიყენეთ სქემა;



კლასის აქტიური მონაწილეობით გავაანალიზეთ, გავარკვიეთ ორი ა-ს შემთხვევა და მოსწავლეებმა საბოლოოდ წესის სახით ჩამოყალიბეს. მთელი კლასი აქტიურად იყო ჩართული ამ სამუშაოში, მათ მასწავლებლის დახმარებით ახალი და ძველი ცოდნის შედარების მეშვეობით მოახდინეს ახალი ინფორმაციის შეგროვება, დამოუკიდებლად აზროვნება და სათანადო დასკვნების გამოტანა. სწვლების მიზანი არა მარტო მზა ცოდნის მიღება იყო, არამედ საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება.

ამის შემდეგ ავხსენით ორი ე-სა და ორი ი-ს შემთხვევებიც. დაფაზე დაწერეთ სიტყვები:

მი-იტყუა, შე-იტყუა; შე-ერჩება, გადა-ერჩება

მოსწავლეთა დახმარებით გამოვყავით ზმნისწინი, გავაანალიზეთ, ვნახეთ რა აქვთ ამ სიტყვებს საერთო, მოსწავლეთა ყურადღება გავამახვილეთ ზმნისწინის ბოლო ხმოვანსა და ზმნის პირველ ხმოვანზე, საბოლოოდ მივედით იმ დასკვნამდე, რომ *თუ ზმნა იწყება ე-ზე, მაშინ ე-ზე დაბოლოებული ზმნისწინის დართვისას ორი ე მოიყრის თავს ერთად. და იმ შემთხვევაში, თუ ზმნა იწყება ი-ზე, მაშინ ი-ზე დაბოლოებული ზმნისწინის დართვისას ორი ი მოიყრის თავს ერთად.*

ხშირია კუთხურ მეტყველებებში ზმნისწინის ხმოვნის შეცვლის შემთხვევები. ამიტომ საჭიროა ამ საკითხს ყურადღებით მოვეკიდოთ და ამისათვის მასწავლებელს საგანგებო მუშაობა სჭირდება. მართლწერის ჩვევათა გამოსამუშავებლად გამოვიყენებთ სავარჯიშოთა სისტემას.

❖ გამოტოვებულ ადგილზე ჩასვით შესაბამისი ზმნისწინი:

1. შემოდგომა გაგვეპარა, ...ილია, ...იწურა.
2. ვაჟკაცმა ხმალი ქარქაშში ...აგო.
3. სადილი გემრიელად ...ირთვა.
4. უცაბედად ...ეჩება ჩასაფრებულ მტერს.
5. მიდიოდა და თან ...იმღეროდა.
6. მომაკდავი ცხოველი ბავშვს ძალიან ...ებრაღა.

❖ ცალ-ცალკე დააჯგუფეთ ლიტერატურული და დიალექტური ფორმები:

ჩევიდა, მოიყვანა, წეილო, შემოახვია, დოუნგრია, გეიგო, მოისმინა, დოუძახა, გაიპარა, შეეჩვია.

❖ გაასწორეთ შეცდომები, დაწერეთ და წაიკითხეთ სწორად

1. შოუხვია ხელ-ფეხი და სახლში გოუშვა.
2. მეიტანეთ თოფები და გევიდეთ გარეთ.
3. ზალიკას კარავთან მუხა მუუგლეჯია, დუურტყამს კარავზე.
4. მე მაღლა ევედი და ყველაფერი ჩემი თვალი დევიანახე.

❖ შეადგინეთ წინადადებები ქვემოთ მოცემული ზმნების გამოყენებით:

წაართვა, შეეჩვია, მიიღო, მიირთვა, გაახარა, ჩააგო, გადააფარა.

კონტროლის მიზნით ვატარებთ კარნახით წერას. ამის მიზანია აღადგინოს მეხსერებაში მათი შესატყვისი წერილობითი ნიშნები. ამისათვის მოსწავლეს უნდა

ჰქონდეს მოსმენის განვითარებული უნარი და კარგად იცნობდეს სათანადო ორთოგრაფიულ წესს.

კარნახით ვარკვევთ რამდენად კარგად ფლობენ მოსწავლეები ამ მასალას და იყენებენ მას წერის დროს.

„მელაკუდა ერთი გლეხის საქათმეს შეეჩვია და ქათმებს მუსრი გაავლო. ძალიან შეეცოდა ზურას მეზობელი და გადაწყვიტა მისი დახმარება. მახე დააგო და ბროლიაც ჩააბა ამ საქმეში. ღამე ჩუმად მიიპარა მელაკუდა საქათმესთან, მახეს გვერდი აუარა, მაგრამ ბროლია მაშინვე მიუხვდა და მის დაჭერას შეეცადა. მელაკუდა ეშმაკურად დაუსხლტა ხელიდან ბროლიას და შეშინებული ტყეში მიიმალა. ასე გადაარჩინა ზურამ მეზობლის ქათმები.“

სავარჯიშოში 9 საყურადღებო ორთოგრამა იყო, აქედან ორი ა–ს შემთხვევაზე–4, ორი ი–ს შემთხვევაზე –2, ორი ე–ს შემთხვევაზე –3.

გასწორდა 63 მოსწავლის ნამუშევარი. ზმნისწინის უმართებულოდ ხმარების 25 შემთხვევა დაფიქსირდა. შეცდომათა მეტი წილი მოდიოდა ორი ა–ს წერის შემთხვევაზე (12 შეცდომა), ორი ე–ს შემთხვევაზე–8 და ორი ი–ს შემთხვევაზე– 5.

იხილეთ დანართი №14

ჩვენ მიერ შემუშავებული წერთი სავარჯიშოები ზმნისწინის მართლწერის ჩვევათა გასამტკიცებლად გამოვიყენეთ. შემაჯამებელი წერის შეცდომათა ანალიზისას გამოირკვა, რომ მოსწავლეებს აღარ უჭირთ მართლწერის სავარჯიშოთა დაძლევა. ამიტომ მართლწერის წესის სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ასეთი ორთოგრამების სწორად წარმოთქმაზე ვარჯიშს. ამ მიზნით შესასწავლი ორთოგრამები ავიღეთ წინადადებებში და ხმამაღლა წარმოვათქმევინეთ მოსწავლეებს.

ზმნისწინიან ფორმათა მართლწერის წესები მოსწავლეებს გავაცანით ინდუქციის გზით, გამოვიყენეთ საუბრის მეთოდი და შედარება–შეპირისპირების ხერხი. გამოვიყენეთ თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალა და სწავლების ტექნიკური საშუალება. ენობრივი მონაცემების მორფოლოგიური ანალიზის საფუძველზე მოსწავლეთათვის ნათელი გავხადეთ თითოეული გრამატიკული ნიშნის ფუნქცია, ამით მოსწავლეებმა

უკეთ გააცნობიერეს ამ ნიშნების ხმარების აუცილებლობა. საკმარისი არ იყო ერთი ან ორი მაგალითი. საჭირო გახდა რამდენიმე სხვადასხვა მაგალითის ანალიზი, ახსნას თან ახლდა ვარჯიში და მოსწავლეთა მსჯელობით დასაბუთებულ იქნა თითოეული გრამატიკული ნიშნის ფუნქცია და მეტყველებაში მათი სწორად გამოყენების საჭიროება.

3.6.ფორმაუცვლელ მეტყველების ნაწილებთან დაკავშირებული მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხები

ა) ზმნიზედის მართლწერა

ზმნიზედა „დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ფორმაუცვლელ სიტყვას ეწოდება, რომელიც აღნიშნავს, თუ სად, როდის, როგორ, რატომ ან რისთვის ხდება ზმნით გამოხატული მოქმედება“(ფეიქრიშვილი 2002: 237;). ზმნიზედის შესახებ ჯერ კიდევ ძველი ბერძნები მსჯელობდნენ, იგი უძველესი და მკვიდრი მეტყველების ნაწილია ზოგად ლინგვისტიკაში.

ელემენტარული ცნობები ზმნიზედის მართლწერის შესახებ IV კლასში მიეწოდებათ მოსწავლეებს. მასალა შერჩეულია ამ ასაკის მოსწავლეთა შესაფერი სირთულით. აქ ეცნობიან ადგილის, დროისა და ვითარებით ზმნიზედებს და მასთან დაკავშირებულ მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხებს (დ-სა და თ-ს ხმარება ზმნიზედის ბოლოს). *თ ითქმის და იწერება ზმნიზედის ბოლოს, თუ ის მოქმედებითი ბრუნვის „გაქვავებული“ ფორმაა. დ ითქმის და იწერება ზმნიზედის ბოლოს , თუ ის ვითარებითი ბრუნვის ფორმაა.*

მე-5 კლასში მოსწავლეები იმეორებენ წინა კლასში ნასწავლ მასალას, ავსებენ სახელმძღვანელოში მოცემულ გრამატიკულ დეფინიციებს ზმნიზედის შესახებ და საფუძვლიანად ეუფლებიან მას. მე-6 კლასში მოსწავლეთათვის სიახლეს წარმოადგენს

ფუძეგაორკეცებული ზმნიზედების მართლწერა. ფუძის გაორკეცებით მიღებული ზმნიზედები დეფისით იწერება, თუ შეერთება უკავშიროა. დეფისით იწერება გაორკეცებული ზმნიზედები, აგრეთვე სხვადასხვა ფუძისა, თუ უკავშიროდაა ისინი შეეთებული.

თითქოს, ერთი შეხედვით, მოსწავლეები ადვილად ითვისებენ ზმნიზედასთან დაკავშირებულ მართლწერის საკითხებს. ყველაზე გავრცელებული შეცდომა ის არის, რომ მოსწავლეებს ერთმანეთში ერევათ **თ და დ** დაბოლოება. შეცდომებია ფუძეგაორკეცებული ზმნიზედების ხმარებისას. არის ზმნიზედები, რომლებიც ვით. ბრ–ისგან კი არ არის მიღებული, არამედ სხვაგვარადაა წარმოებული. ესენია: *ალბათ–აქ* დაბოლოება თ იქნება, რადგან ის ძირეულია. *უკეთ* – მიღებულია *კეთ* ძირისაგან. თ ძირეულია. წინათ, ზემოთ, ქვემოთ, წარმოშობით მოქ. ბრ–ის ფორმებია და ამიტომ თ დაბოლოებით იწერება.

ნაკლები შეცდომებია კონკრეტული ორთოგრამის მართლწერისას, რადგან ამ შემთხვევაში მოსწავლეს ერთი კონკრეტული ამოცანის გადაჭრა ევალება და იგი მისი ყურადღების ცენტრშია, მთელი ფსიქიკური ძალები მთლიანად მისკენაა მიმართული და როცა თავისუფალ წერით სავარჯიშოზე (შინაარსის გადმოცემა, თხზულება, ესე...) მიდგება ჯერი და უკვე მოსწავლეს ფიქრი უხდება ნაწერის შინაარსობლივ მხარეზე, იგი არსწორად იყენებს შესწავლილ ორთოგრამას, რადგან მას არა აქვს გამომუშავებული მართლწერის ხმარების ჩვევა. „მართლწერის სწავლების მიზანი კი არის, მოსწავლემ შეუფერხებლად გამოიყენოს მართლწერის შესწავლილი წესი ყველა სახის წერით სავარჯიშოში“ (რამიშვილი 1965: 38;).

სწავლების პროცესზე დაკვირვებითა და ჩატარებული ცდების გათვალისწინებით ზმნიზედასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხების გაცნობა IV კლასში ასე წარვმართეთ:

ზმნიზედასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხების შესწავლავლამდე მოსწავლეებს მოვაგონეთ მოქ. და ვით. ბრუნვის ნიშნები და ვავარჯიშეთ მათ მართებულ წარმოთქმაზე. ამის შემდეგ დაფაზე გავაკარით ტაბულა:

წყნარი – წყნარად

მშვიდი – მშვიდად

ბედნიერი – ბედნიერად

დავაგაღეთ მოსწავლეებს ამ ნიმუშის მიხედვით შეედგინათ შემდეგი მაგალითები: ფხიზელი, შავი, სრული, ცუდი, მწიფე, ფაქიზი.

ვარჯიშის შედეგად მოსწავლეები იმახსოვრებენ, რომ ამ ზმნიზედების ბოლოს (რომელიც მიღებულია ზედსართავი სახელის ვით. ბრ. ფორმით) იწერება დ.

ზმნიზედის ბოლოს თ-ს მართლწერის საკითხების შესწავლისათვის მოსწავლეებს დავავაღეთ ნიმუშის მიხედვით დაესრულებინათ მოცემული ზმნიზედები:

შიგნით ზემო...

გარეთ ქვემო...

იქი... წინა...

აქე... ზევი...

ამ ზმნიზედების ბოლოს იწერება თ. ისინი წარმოშობით მოქ. ბრ. ფორმებია.

ამ შემთხვევაში ცოდნას მოსწავლე თვითონ აშენებს სწავლის პროცესში მასწავლებლის დახმარებით, აანალიზებს და ეუფლება ცოდნასთან ერთად საჭირო უნარ-ჩვევებს. მოსწავლე უკეთ ითვისებს მაშინ, როცა საკუთარი გამოცდილებების მეშვეობით წყვეტს პრობლემებს.

მართლწერა ძირითადად წერაში ვარჯიშით შეისწავლება. ყოველი სავარჯიშო გარკვეული მიზნით ტარდება და რომელიმე ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება. შევიმუშავეთ ისეთი წერითი სავარჯიშოების სისტემა, რომელიც ეფექტური იქნებოდა მართლწერაში ავტომატიზებული ჩვევათა გამოსამუშავებლად. თეორიული მასალის გასამტკიცებლად მოსწავლეებს შევთავაზეთ ასეთი სავარჯიშოები:

❖ დაამთავრეთ სიტყვები:

1. ბავშვი სახლიდან გარე... გამოვარდა.
2. თავს ძალინ ცუდა... გრძნობდა.
3. წინა... ყველაფერი უკეთესა... იყო....
4. ბულბული საამურა... გალობს.
5. გარე... ყველაფერი თოვლს დაეფარა.
6. ხის ტოტები მძლავრა... ეხლებოდა ფანჯრის მინას.

❖ მოცემული სიტყვებით აწარმოეთ ზმნიზედები და მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები. (მაგარი, ცოცხალი, მძლავრი, ჩუმი, დინჯი, ფაქიზი.)

❖ გაასწორეთ უმართებულო ფორმები და წარმოთქვით სწორად:

1. დარაჯი მთელი ღამე ფხიზლათ იყო.
2. ამას წინად ყველაფერი გამახსენდა.
3. ღამე ბუები კარგათ ხედავენ.
4. გარედ ყველაფერი თოვლით დაფარულა.
5. მთელი ცხოვრება ერთგულათ ემსახურა მათ.

❖ სათანადო დაბოლოებით შეავსეთ ზმნიზედები:

1. ანაზდა... მოყმე გამოჩნდა.
2. გაცხარები... და სიჩქარი... სცემდა იგი თავ-პირში.

3. ამას წინა... სოფელში ვიყავი.
4. მეძებრები სწრაფა... გარბოდნენ.
5. გარე... ცივი ქარი ქროდა.

❖ ჩასვით სათანადო ზმნიზედა და წარმოთქვით:

აქ ყურადღებას ორთოგრამების სწორად წარმოთქმაზე ვამახვილებთ, რადგან წერითი მეტყველების ჩვევა ვერ გამომუშავბდა, თუ ის ზეპირი მეტყველების ჩვევის გამომუშავებას არ დაუკავშირდა.

..... გაჩერდი! გარბოდა.

..... სრული სიბნელე იყო. ყველაფერი სხვაგვარად იყო.

..... გრძნობდა თავს. გალობდა.

იმის გასარკვევად, რამდენად კარგად და საფუძვლიანად შეითვისა კლასმა ეს მასალა, ჩავატარეთ კარნახით წერა. კარნახის მიზანია „ხელი შეუწყოს გრამატიკაში მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებასა და სათანადო ორთოგრაფიული ჩვევის ჩამოყალიბებას" (მაღლაკელიძე 2004: 241;).

„ჩვენს ქალაქში წინათ ყველაფერი სხვაგვარად იყო. საღამოობით მეზობლები გარეთ გამოეფინებოდნენ ხოლმე. ეზოში ბლომად ბავშვი იყიდა თავს და მათი ჟრიამული სწრაფად აყრუებდა იქაურობას. ქვემოთ ეზოში გულწრფელად და მშვიდად საუბრობდნენ უფროსები და ასე სასიამოვნოდ ატარებდნენ საღამოებს.“

სავარჯიშო შეასრულა მე-4 კლასის 62 მოსწავლემ. ეს სავარჯიშო შეიცავდა 9 საყურადღებო ორთოგრამას.

იხილეთ დანართი № 15

მოსწავლეებმა ეს სავარჯიშო დიდი ინტერესითა და ყურადღებით შეასრულეს. გამოავლინეს ამ ორთოგრამების მოხმარების ჩვევა. მეთოდის მიზანი იყო მოსწავლეებს აღედგინათ მეხსიერებაში შესატყვისი წერილობითი ნიშნები, ჰქონოდათ მოსმენის საკმაოდ განვითარებული უნარი და სათანადო ორთოგრაფიული წესის ცოდნა.

მე-6 კლასში მასალა გავამეორებინეთ ლიტერატურულ მასალასთან კავშირში (ნ. მაღლაკელიძე, ნ. ლონდაძე– ქართული, „უკანასკნელი ფოთოლი“ ოპერა) ამის შემდეგ ფუძეგაორკეცებით მიღებული ზმნიზედათა მართლწერა გავაცანით მოსწავლეებს. დაფაზე დავწერეთ წინადადები:

ჭალა-ჭალა, კორტოხ-კორტოხ მეძებრების ყეფა ისმის. ალაგ-ალაგ თოვლი ისევ იდო.

მოსწავლეები დავაკვირვეთ მასზე და თითოეული ნიმუშის გაანალიზებით თავად მივიყვანეთ დასკვნამდე. მართლწერის ცოდნის გასამტკიცებლად გამოვიყენეთ სმენით აღქმაზე დაყრდნობით სმენითი კარნახი.

ასევე მივმართავთ თავისუფალი სახის წერით სავარჯიშოებს. აქ ფიქრი უხდებათ ნაწერის შინაარსობლივ მხარეზეც, ამიტომ ჩვევათა გამომუშავებამდე შეცდომათა აღბათობა დიდია. მოსწავლეებს ვავალებთ შეთხზან წინადადებები მოცემულ სიტყვათა გამოყენებით, (ჩქარა-ჩქარა, ნაჭერ-ნაჭერ, აღმართ-აღმართ, ნელ-ნელა).

ზმნიზედის მართლწერის სწავლებისას მოსწავლეებს უადვილებს მასალის გაცნობას განმავითარებელი სწავლების გამოყენება. განმავითარებელი სწავლება გულისხმობს მოსწავლეთა შემეცნებითი ძალების გააქტიურებას. იგი „რთული პროცესია, მოსწავლეთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შეიარაღების, მათი ყოველმხრივი აღზრდა-განვითარების პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიურ ღონისძიებათა ერთიანი სისტემა“ (რამიშვილი 1959: 35;).

მასალის გაცნობისა და სათანადო მუშაობის ჩატარების შემდეგ მართლწერის ცოდნის გასამტკიცებლად საჭირო იყო კარნახით წერა. საკარნახოდ შეირჩა ასეთი ტექსტი:

„ჩვენი სახლი ტყის მახლობლად იყო აშენებული. ქოჩორამ წიწილები ტყის პირას გაიყვანა. ქოჩორა მოუსვენრად იყო. აქეთ–იქით გაქანდ–გამოქანდა. ტყიდან კვერნა გამოვარდა. ქოჩორამ სწრაფად ხმა მისცა წიწილებს. წიწილებმა მაშინვე უკან–უკან დაიხიეს. ქოჩორა ნადირს მამაცურად გადაეღობა წინ.

ქოჩორას და მის მეგობრებს უნდოდათ კვერნისათვის ღრმად ამოეჩიქნათ თვალები, რადგან ისინი ასე გადარჩებოდნენ უვნებლად.“

გავანალიზეთ 63 მოსწავლის წერითი ნამუშევარი.

იხილეთ დანართი 16

ამრიგად, შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე მეტი შეცდომა დაუშვეს ფუძეგაორკეცებული ზმნიზედების მართლწერისას, ეს ახლად შესწავლილი მასალაა და აქედან გამომდინარე შეცდომათა რიცხვიც მეტია, ხოლო თ და დ დაბოლოებასთან დაკავშირებით შეცდომათა რაოდენობა შედარებით მცირეა. ზმნიზედის მართლწერის საკითხების სწავლებისას აუცილებელია გამოვიყენოთ ისეთი შემოქმედებითი წერითი სავარჯიშოები, რომლის დროსაც მოსწავლე უკეთ აცნობიერებს შესწავლილ წესს და დავალების შესრულებაც უფრო უადვილდება. მოსწავლე ასე ეუფლება ზმნიზედის სწორად წერასა და წარმოთქმას. ზმნიზედის შესწავლით ხდება მოსწავლეთა მეტყველების განვითარება.

ბ) თანდებულის მართლწერა (IV-V-VI კლასი)

თანდებული ეს არის დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი მეტყველების ნაწილი, ასეთი ქართულ ენაში არის აგრეთვე კავშირი და ნაწილაკი. მათ ა. შანიძე მხლებლებს უწოდებს, სინტაქსურად კი ისინი წინადადების წევრები არ არიან.

თანდებული ანტონის გრამატიკაშია წარმოდგენილი და გაანალიზებული. როგორც ე. ბაბუნაშვილი აღნიშნავს, ანტონმა იხმარა ტერმინი "თანდებული", მაგრამ ადვილია იმის შემჩნევაც, რომ თითქმის ყველა თანდებული მის მიერ მოყვანილ

მაგალითებში სახელის წინ არის ნახმარი. ეს ევროპული ენის გავლენით მოხდა (ბაბუნაშვილი 1970). (ძვ. ბერძნულ გრამატიკაში ერთ-ერთ მეტყველების ნაწილად წინდებულია დასახელებული. ეს ევროპული ენების დამახასიათებელია). ენათმეცნიერულ ლიტერატურაში არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ თანდებულები ზმნისართების ცვეთის შედეგად არის მიღებული, ზმნისართი სახელს მიეკედლა და თანდებულად მოგვევლინა.(ა. შანიშვილი, ვ. თოფურია.)

ისტორიულად თანდებული მომდინარეობს დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი სიტყვებისაგან. თანდებულები დროთა განმავლობაში ნაწილაკებად იქცნენ და მხოლოდ სხვა სიტყვებთან ურთიერთობისას კისრულობენ გარკვეულ ფუნქციას. თანდებული სახელს მიეკედლა, რითაც გავლენა მოახდინა ბრუნვათა სისტემაზე: ზოგმა დაკარგა ბრუნვის ნიშანი, ზოგმა კი ფონეტიკურად იცვალა სახე.

ადრე, როცა ენის სისტემური კურსი შეისწავლებოდა, თანდებულის სწავლების თვალსაზრისით მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა, ი. გიგინეიშვილის აზრით, თანდებულის შესწავლა აუცილებლად უნდა უკავშირდებოდეს სინტაქსის კურსის შესწავლას, რადგან „დამოკიდებულება, რომელიც თანდებულსა და სახელს შორის არსებობს, სინტაქსური ხასიათისაა“(გიგინეიშვილი 1947:). ა. ჩიქობავას აზრით, მოსწავლემ თუ არ იცის თანდებულიანი სახელის ბრუნვები, იგი სრულყოფილად არ არის დაუფლებული ბრუნვებს. მ. ჩინჩალაძის აზრით (ჩინჩალაძე 1988: 102;), თანდებულის სწავლება უნდა ხდებოდეს დაწყებითსა და VII კლასში.

ამჟამად, თანდებულის გაცნობა IV კლასში ხდება და მას უკავშირდება მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხები –(ორი შ-ს, ორი ზ-სა და ორი თ-ს შემთხვევები -ში, -ზე, -თან თანდებულებთან. V კლასში ნასწავლი მასალის გამეორება და გაღრმავება ხდება, ხოლო თანდებულიანი ბრუნვის შესახებ ცოდნა ელემენტარული სკოლის VI -კლასში მიეწოდებათ მოსწავლეებს.

სწავლების პროცესზე დაკვირვებამ გამოავლინა ის სიძნელები, რომლების ხელს უშლიან თანდებულის შეგნებულ ათვისებასა და სათანადო პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებას.

1. თეორიულად ამ ეტაპზე მოსწავლეებს უძნელდებათ თანდებულთა ფუნქციების გარკვევა, ვერ აყალიბებენ მართებულად გრამატიკულ წესს.
2. მათ არ უჭირთ თანდებულის გამოყოფა სახელისაგან, მაგრამ შეცდომას უშვებენ ბრუნვის ამოცნობაში (-ზე, -ში).
3. ხშირია მათი არასწორი გამოყენება, (-ში, -ზე, -თან დროს ორი შ-ს, ორი ზ-სა და ორი თ-ს შემთხვევები, აგრეთვე -გან და -დან ბოლოსართების არასწორად ხმარება გამოიკვეთა. საიდან? ხიდან. რისგან? ხისგან.
4. განსაკუთრებით უჭირთ ნაწილაკდართული თანდებულიანი სიტყვების გამოყოფა, ასეთ შემთხვევაში თანდებული შეუმჩნეველი რჩება.
5. ცოდნას ვერ იყენებენ თავისუფალი სახის წერით სავარჯიშოებში, სადაც მთავარი ამოცანაა არა რომელიმე ორთოგრამის მართებულად დაწერა, არამედ ნაწერის შინაარსობლივ-ლოგიკური მხარეა.
6. ხშირია დიალექტური შეცდომები.

სასკოლო პრაქტიკამ, მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომების ანალიზმა და მეთოდოლოგიური ლიტერატურის გაცნობამ მიგვახვედრა, რომ IV კლასში ექსპერიმენტი ასე უნდა ჩაგვეტარებინა:

თანდებულის რაობის ახსნის შემდეგ დაფაზე დავწერეთ სიტყვები *კოვზზე, კომში, კახეთთან*. ორთოგრაფიული გარჩევის ხერხით გამოვყავით ფუძე და -ზე, -ში, -თან მარცვლები. ორთოგრაფიულ გარჩევაში მთელი კლასი მონაწილეობდა. ეს მარცვლები, რაც ფუძეს აქვს დართული თანდებულებია. გავანალიზეთ, სიტყვა კოვზზე რამდენი ზ იყრის თავს ერთად? რა არის ამ სიტყვის ფუძე და რა თანხმობით მთავრდება ეს ფუძე? ამის შემდეგ მივაწოდეთ სათანადო წესი.

ორი ზ-ს ერთად წარმოთქმა ძნელდება და ხშირად იკარგება ერთი მათგანი ზეპირი მეტყველებისას. ამიტომ ვატარებთ ისეთი სიტყვების წარმოთქმაზე ვარჯიშს, რომლებშიც ორი -ზ იყრის თავს ერთად. ორი ზ-ს შემთხვევაში ერთის დაკარგვის ფაქტი უფრო შესამჩნევია ნაწერში, ამიტომ აუცილებელია ამ საკითხის ახსნისას მოსწავლე დავარკვირვოთ ასეთი სახელის შემადგენლობაზე- სიტყვა დავაშლევინოთ.

გამოვიყენეთ ტაბულა, რომლის ეფექტურობა დიდია.

სიტყვა	ფუძე	თანდებული
ვაზზე	ვაზ	-ზე
ჯამბაზე	ჯამბაზ	-ზე
კოვზე	კოვზ	-ზე
თევზე	თევზ	-ზე
ასპარეზე	ასპარეზ	-ზე

ანალოგიურად გავაცანით –ში და თან თანდებულის სიტყვების მართლწერა. ამის შემდეგ მივაწოდეთ სათანადო წესები:

კლასის აქტიური მონაწილეობით შევავსეთ დაფაზე მოცემულ სქემა.

სიტყვა	ფუძე	თანდებული
ქიშიში	ქიშიშ	-ში
შიში		
ბალიში		
მახათთან		
კალათთან		
გოლიათთან		

საპილოტე კლასებში ორთოგრაფიის ჩვევათა ფორმირებისათვის ჩავატარეთ სხვადასხვა სახის წერითი სავარჯიშოები, რადგან პრაქტიკული სავარჯიშოები უწყობს ხელს მართლწერის ჩვევათა ფორმირებას. „ჩვევა რღვევას იწყებს, თუ იგი გარკვეული დროის მანძილზე უმოქმედოდ დარჩება" (ბოჭორიშვილი... 1950: 76;).

❖ შეადგინეთ წინადადებები მოცემულ სიტყვებზე ა) –ზე, ბ) –ში, გ) –თან თანდებულის დართვით:

- ა) ბუზი, ვაზი, ჯამბაზი;
- ბ) ჯიში, ბალიში, შიში;
- გ) თითი, ამანათი, გოლიათი;

❖ დაასრულეთ სიტყვები და წარმოთქვით სწორად:

- ა) თითო ვაზ... კალათი ყურძენი მოიკრიფა.
- ბ) კალათ... ერთად გოდორიც აივსო.
- გ) ერთ ქარქაშ... ორი ხანჯალი არ ჩაიგება.
- დ) ამანათ... ერთად მოკითხვაც გაუგზავნეს.
- ე) მალე გაიწაფა ტანვარჯიშ....
- ვ) იგი გუბაზ... უფროსია.

❖ ფრჩხილებში მოცემულ არსებით სახელებს დაურთეთ სათანადო თანდებული

- ა) (კაკანათი) მისვლა ეშინოდა ბელურას.
- ბ) (კოვზი) ცოტა წამალი დაასხა.
- გ) მე (ანგარიში) მოვტყუვდი.
- დ) (ვაზი) ნამი ბრწყინავდა.

❖ გაასწორეთ მცდარი ფორმები და წარმოთქვით მართებულად.

- ა) ნიბლია ჩიტმა მთელი დღე შიში გაატარა.
- ბ) გოლიათან გამარჯვება თითქმის შეუძლებელი იყო.
- გ) ბრძოლა გათავდა და ხმალი ქარქაში ჩააგო.
- დ) ვაზე ცვარი ბრწყინავდა.

❖ ხაზი გაუსვით თანდებულიან ფორმებს და ახსენით რატომ იყრის თავს ერთად ორი ერთნაირი თანხმოვანი:

1. ულვაში ტკბილად ჩაიღიმა.
2. ლიანდაგის სწორ ხაზზე კოლოფივით ჩანდა ბაქანი.
3. კალათთან ერთად ყვავილებიც დაეტოვებინა.
4. ბავშვმა თავი ბალიში ჩაყო.
5. ჯამბაზზე სასაცილო არავინ იყო.

ბოლოს ჩავატარეთ მართლწერის შემაჯამებელი წერა. ორი–შ–ს. ორი –ზ–ს და ორი –თ–ს მართლებულად ხმარების ჩევათა გამოსავლენად და გასამტკიცებლად მოსწავლეებს მივაწოდეთ მცდარად დაწერილი ფორმები და დაევალებათ გაესწორებინათ შეცდომები და ამ სიტყვების გამოყენებით შეედგინათ წინადადებები. (კოვზე, სვანეთან, სურათან, კალატოზე, ქარქაში ჩააგო, შიში გაატარა)

გაანალიზდა მეოთხე კლასის 63 მოსწავლის ნამუშევარი. სავარჯიშოში 6 საყურადღებო ორთოგრამა იყო წარმოდგენილი.

აქედან :

- სწორად დაწერა ორ –ზ–ს შემთხვევა 50 მოსწავლემ , არასწორად 13–მა
- სწორად დაწერა ორ –შ–ს შემთხვევა 48–მა, არასწორად 15–მა

- სწორად დაწერა ორ –თ–ს შემთხვევა 44–მა, არასწორად 19–მა




იხილეთ დანართი № 17

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთი და იმავე ორთოგრამის შესწავლასა და მართლწერის ჩვევათა გამომუშავებაში დიდ ეფექტს იძლევა ტრადიციულ წერით სავარჯიშოებთან ერთად შემოქმედებითი ხასიათის წერითი სავარჯიშოები. გონივრულად შერჩეული სავარჯიშო კი მართლწერაში „კონტროლს უწევს გრამატიკაში ზეპირად მიღებულ ცოდნას, ნათლად ავლენს არსებულ ხარვეზებს და ქმნის ხელსაყრელ სიტუაციას იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ახალი მაგალითების ანალიზის საფუძველზე დანაწევრებულად მიიღონ დამატებითი ცნობები შესწავლილი გრამატიკული კატეგორიის, წესის შესახებ" (რამიშვილი 1965; 39;). დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ სწავლების პროცესში სიტყვის მართლწარმოთქმას. დაკვირვებიდან გამოჩნდა, რომ მოსწავლეები იმიტომ ვერ იყენებენ საჭირო ორთოგრამებს, რომ უჭირთ მათი წარმოთქმა. ამიტომ კარგია, თუ ვავარჯიშებთ მართლწარმოთქმაზე და დავაკვირვებთ მკაფიოდ წარმოთქმულ სიტყვებზე და ყურადღებას მივაქცევინებთ საარტიკულაციო ორგანოებზე.

როგორც ვნახეთ, თანდებული IV კლასში ისწავლება, თუმცა თანდებულიანი ბრუნვის შესახებ ცოდნას ელემენტარული სკოლის V-VI -კლასში ვაღრმავებთ. არსებითი სახელის სწავლებისას ვეცნობით თანდებულიან ბრუნვებს. „თანდებულის მართებულად გამოყენება ხვეწს, აწესრიგებს მოსწავლეთა მეტყველებას და ხდის მას უფრო გამომსახველობითს" (თალაკვაძე 1964:).

VI კლასში არსებითი სახელის სწავლებისას ვეცნობით თანდებულიან ბრუნვებს. სწავლების ამ ეტაპზე საპილოტე კლასებში გამოვიყენეთ შეპირისპირების ხერხი. ეს ერთ-ერთი ძირითადი ხერხია გრამატიკის სწავლებისას. მისი საშუალებით ხდება ახლის, უცნობის აღმოჩენა. „ამ ხერხის გამოყენებით მოსწავლეები აქტიურად ითვისებენ ახალ მასალას. იგი იწვევს მოსწავლეთა აქტიურობას, უღვიძებს მათ სწავლის ინტერესს, უვითარებს ანალიტიკური აზროვნების უნარს"(მაღლაკელიძე 2004:197;).

კლასს შევთავაზეთ სქემა:



მორფოლოგიური გარჩევის ხერხით გავაკეთეთ დასკვნები. სასურველია თუ წესებს პლაკატების სახით მივაწოდებთ მოსწავლეებს, რადგან პლაკატები ეხმარება მოსწავლეს გრამატიკული წესების ვიზუალურად დამახსოვრებაში. ეს პლაკატი უნდა გავაკრათ საკლასო ოთახის კედელზე და დავტოვოთ გარკვეული დროის განმავლობაში.

ამის შედეგ დაფაზე დავწერეთ წინადადებები:

ბურუსში გზის გაკვლევა მიჭირდა.

ხავსზე ნამი ბრწყინავდა.

დავაკვირვით მოსწავლეები ს-ზე ფუძეგათავებულ სახელებზე -ზე და -ში თანდებულების დართვის შემთხვევებზე. მათთვის უკვე გასაგებია, რომ ს-ზე ფუძეგათავებული სახელები -ზე და -ში თანდებულის დართვისას ინარჩუნებენ ს თანხმოვანს. აქვე მივაწოდეთ სქემა:

სიტყვა	ფუძე	თანდებული
ბურუსში	ბურუს	-ში
თასზე	თას	-ზე
თბილისში	თბილის	-ში
ნემსში	ნემს	-ში
ხავსზე	ხავს	-ზე

მე-6 კლასში ნასწავლი მასალის გამეორებასთან და გაღრმავებასთან ერთად მოსწავლეებს ვაცნობთ მოქ. ბრ-ის ფორმაზე -გან თანდებულის დართვის შემთხვევებს. რადგან მათ მეტყველებაში ხშირია -გან და -დან ბოლოსართების არასწორად ხმარება. საინტერესოა ალბათ, როგორ გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან -გან თანდებულიანი ნათ, და მოქ, ბრ, ფორმები. ამის გასარკვევად გამოვიყენეთ კითხვები:

ნათესაობითი:

მოქმედებითი:

ვისგან? რისგან?

საიდან? როდიდან?

მეგობრისაგან

ბუდიდან

ამინდისაგან

ხვალიდან

მოსწავლეები დააკვირდნენ, გააანალიზეს და დამატებითი სავარჯიშოების გამოყენებით განიმტკიცეს ცოდნაც.

ჩვენთვის ცნობილია, რომ წესის ცოდნას არსებითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ვარჯიშის გარეშე მართლწერის ჩვევებისათვის არაა საკმარისი. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ავიცილებთ ორთოგრაფიული ჩვევების დეავტომატიზაციას. საპილოტე კლასებში გამოვიყენეთ სხვადასხვა სახის წერიტი სავარჯიშოები, რომელთა მიზანი სწორედ მართლწერის ჩვევათა ფორმირებაა.

❖ დაასრულეთ სიტყვები, წარმოთქვით სწორად და გაარკვიეთ, რატომ იყრის თავს ერთად ორი ერთნაირი ასო.

1. მეომარმა ხანჯალი ქარქაშ... ჩააგო.
2. შიშ... გაატარა მთელი ცხოვრება.
3. დედამ შვილს ამანათ... და ბარათ... ერთად ფულიც გაუგზავნა.
4. წამალი კოვზ... დაასხა და დალია.

❖ ფრჩხილებში მოცემულ არსებით სახელებს დაურთეთ სათანადო თანდებულები და წარმოთქვით სწორად:

1. (ვაზი) მტევანი მოწყვიტა და გოგონას გაუწოდა.
2. ყველანი წინა (ხაზი) მოვეწყვეთ.
3. ბავშვი (თამაში) გაერთო.
4. (ბურუსი) არაფერი მოსჩანდა.
5. (ხავსი) ნამი ბრწყინავდა.
6. (კალათი) ერთად გოდორიც აივსო.

• შეადგინეთ წინადადებები მოცემულ სიტყვებზე ა) –ზე, ბ) –ში, გ) თან თანდებულის დართვით:

ა) ბუზი, კუზი, ნაგაზი, თბილისი.

ბ) ბალიში, შიში, ქარქაში, ქუთაისში.

გ) ასანთი, საათი, ბარათი.

❖ გაასწორეთ შეცდომები:

1. ეს წიგნი ჩემთვის მინდა.
2. ის მიწამდინ სწვდებოდა.
3. სხვისთვის არაფერი მითქვამს.
4. რისთვის გაიმეტე შენი მეგობარი?!

❖ შეავსეთ ნიმუშის მიხედვით მოცემული სქემა:

სიტყვა	ფუძე	თანდებული	გადასატანად გაყოფა
ქარქაშში	ქარქაშ-	-ში	ქარქაშ-ში
ნემსში			
ვაზზე			
ასანთთან			
ბურუსში			
ბალიშში			
ამანათთან			

ბოლოს იმის გასარკვევად, რამდენად ეფექტური აღმოჩნდა ჩვენ მიერ შერჩეული სწავლების ექსპერიმენტული გზა და რამდენად საფუძვლიანად აითვისა კლასმა ეს საკითხები, ვატარებთ სმენით კარნახს. კარნახს შემოქმედებითი ხასიათი აქვს. „იგი მოსწავლისაგან მეტ დამოუკიდებლობას მოითხოვს... კარნახის დროს ყურადღების ცენტრში დგას სმენითი აღქმა“(მაღლაკელიძე 2004: 241;). კარნახის მიზანია, ხელი შეუწყოს გრამატიკაში მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას და ორთოგრაფიულ ჩვევათა ფორმირებას. ტექსტს ვკითხულობთ ხმამაღლა, გარკვევით სათანადო ინტონაციის დაცვით. მოსწავლეები ისმენენ ტექსტს პირველი წაკითხვისას, შემდეგ ისევ ვკითხულობთ თითოეულ წინადადებას, მოსწავლეები კი იწერენ. ბოლოს თავიდან ბოლომდე ვკითხულობთ ტექსტს.

„წვიმის შემდეგ ირგვლივ ყველაფერი ბურუსში იყო გახვეული და ჰორიზონტის ხაზზე არაფერი მოჩანდა. მალე მზემ ღრუბლებიდან გამოაჭყიტა, უღვაშში ჩაიცინა და არემარეც გაანათა. ვაზზე ნამი ბრწყინავდა, ხავსზე წყლის წვეთი ლივლივებდა. ბელურა კაკანათთან მობუზული იჯდა და რაღაცას ელოდა.“

სავარჯიშო შეიცავდა 6 საყურადღებო *ორთოგრამას*, (ბურუსში, ხაზზე, უღვაშში, ვაზზე, ხავსზე, კაკანათთან.) გაანალიზდა 60 მოსწავლის წერითი ნამუშევარი, აქედან:

- სწორად დაწერა ორი ზ –ს შემთხვევა 45 მოსწავლემ, არასწორად 15–მა
- სწორად დაწერა ორი შ– ს შემთხვევა 47 მოსწავლემ, არასწორად 13–მა
- სწორად დაწერა ორი თ –ს შემთხვევა 46 მოსწავლემ, არასწორად 14–მა
- სწორად დაწერა –სში, –სზე შემთხვევა 40 მოსწავლემ, არასწორად 20–მა

იხილეთ დანართი № 18

ნაწერის ანალიზმა აჩვენა, რომ თანდებული და მასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები საფუძვლიანად შეისწავლეს მოსწავლეებმა, რადგან ისინი უკვე სწორად იყენებენ თანდებულთან დაკავშირებული მართლწერის წესებს.

საპილოტე კლასებში შეცდომათა სიმცირე გამოწვეულია თანდებულის შესახებ ცოდნის სიმტკიცითა და თვალსაჩინოების გამოყენებით. მეთოდოლოგიური ლიტერატურის გამოყენებამ, მასწავლებელთა გამოცდილების შესწავლამ და მოსწავლეთა მიერ შეცდომების ანალიზმა გვიჩვენა, რომ თანდებულის მართლწერისა და მართლმეტყველების შესწავლაში დიდ ეფექტს იძლევა ტაბულების, სქემების, სხვადასხვა სახის წერითი სავარჯიშოების გამოყენება – როგორც ტრადიციული წერითი სავარჯიშოების, ასევე შემოქმედებითი სახის წერითი სავარჯიშოების (შინაარსის გადმოცემა, თხზულება, ესე..), რომელთა ჩატარების პროცესში მოსწავლეები უკეთ აცნობიერებენ შესწავლილ წესს.

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:

1. ეს ნაშრომი ლინგვისტურ-დიდაქტიკური ხასიათის მონოგრაფიაა. თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე შევეცადეთ განგვხილა მართლწერისა და მართლმეტყველების სწავლების თეორიული და პრაქტიკული საკითხები.
2. კვლევა წარმართეთ ჰიპოთეზური დებულებების მიხედვით. დავამუშავეთ მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხთა სწავლების ენათმეცნიერული, დიდაქტიკური და ფსიქოლოგიური საფუძვლები. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნებით შევიმუშავეთ ამ საკითხის სწავლების ეფექტური გზები, მეთოდები და ხერხები. ექსპერიმენტულმა მუშაობამ ცხადყო, რომ მართლწერის საკითხებზე ვარჯიშს მეტი დრო უნდა დავუთმოთ, ვიდრე ამჟამად ეთმობა. ამით უკეთეს შედეგს მივიღებთ. საჭიროა გავზარდოთ მართლწერის სავარჯიშოთა ხვედრითი წილი.
3. სათანადო ლიტერატურის გაცნობამ გვიჩვენა, რომ მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხთა სწავლება ყოველთვის იდგა მეცნიერთა ყურადღების ცენტრში. ჩვენამდე მოღწეული უძველეს ქართულ „გრამატიკებში“ მართლწერის საკითხებს საკმაოდ დიდი ადგილი აქვთ დათმობილი. ეს გვაფიქრებინებს, რომ ჩვენში ადრიდანვე გრამატიკა განიხილებოდა, როგორც „მართლ უბნობისა და მართებული წერის შემძლებლობის“ ერთ-ერთი აუცილებელი საშუალება (ანტონ პირველი).
4. თანამედროვე სახელმძღვანელოებში მასალა ისეა განაწილებული, რომ ორთოგრაფიაზე მუშაობა მოსწავლეთა მეტყველების/აზროვნების განვითარებასა და სათანადო პრაქტიკული სამეტყველო უნარ-ჩვევების გამომუშავებას ემსახურება.
5. ქართული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქ სიტყვათა მართლწერა ისე მტკივნეულად არ დგას, როგორც სხვა ენებში (ინგლისურში, გერმანულში, თურქულში, რუსულში...). მიუხედავად ამისა, მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების ანალიზმა გამოავლინა ის ტიპობრივი შეცდომები, რომლებსაც ისინი ამ კუთხით უშვებენ. ძირითადად ეს არის ცალკეული მეტყველების ნაწილებთან (სახელებთან: -ვით. ბრ-ის დაბოლოება, ორი მ-სა და ორი ს-ს მართლწერა, რთულფუძიანი არსებითი სახელების

მართლწერა, ზმნებთან პირისა და თემის ნიშნების მართლწერა, რიგობითი რიცხვითი სახელების მართლწერა თანდებულებთან ორი თ-ს, ორი შ-ს, ორი ზ-ს მართლწერა, ვით. ზმნიზედების დაბოლოება...) დაკავშირებული მართლწერის შემთხვევები. ეს შეცდომები ძირითადად ორ დიდ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ა) მოსწავლეს უკვე შესწავლილი აქვს ორთოგრაფიის სათანადო წესი და ვერ იყენებს ამ წესს წერის პროცესში. ბ) მოსწავლეს ჯერ არ აქვს სათანადო წესი შესწავლილი და ამიტომ უშვებს ამ შეცდომას. ისიც უნდა ითქვას, რომ ორთოგრაფიულ შეცდომათა რიცხვი (განსხვავებით პუნქტუაციური შეცდომებისაგან) კლასების მიხედვით კლებულობს.

6. რადგან ქართული ძირითადად ფონეტიკური დაწერილობის ენაა, აქ მართლწერას უმთავრესად მართლწარმოთქმა ედება საფუძვლად, სწორედ ამის გამო ორთოეპიული ჩვევების გამომუშავება ორთოგრაფიულ ჩვევათა მყარი საფუძველი ხდება. კვლევით დადასტურდა, რომ თუ მოსწავლე დაუფლებულია ამა თუ იმ სიტყვის მართლწარმოთქმას, ის არც ამ სიტყვის მართლწერაში ფერხდება. ამ მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს ჯერ კიდევ წინასაანბნაო პერიოდში მოსწავლეთა ფონემატური სმენის განვითარებას (ცალკეული ბგერების მართლწარმოთქმა, სიტყვაში ბგერის პოზიციის განსაზღვრა, სიტყვის ბგერით ანალიზი და სინთეზი...). დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ის მოსწავლეები, რომლებთანაც პირველივე კლასიდან მიმდინარეობს ორთოეპიული კუთხით მუშაობა, შემდგომში შედარებით ნაკლებ ორთოგრაფიულ შეცდომებს უშვებდნენ.

7. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქართული მართლწერის ჩვევათა ფომირებისას ასევე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ორთოგრაფიული საკითხების გაცნობას სათანადო მორფოლოგიურ მასალასთან მჭიდრო კავშირში. იმ კლასებში, სადაც მართლწერის საკითხებზე მუშაობა გრამატიკული მასალის შესწავლის პარალელურად მიმდინარეობდა, ამ კუთხით ბევრად უკეთესი ვითარება იყო (ვიდრე იქ, სადაც ორთოგრაფიული მასალის მიწოდება მხოლოდ სიტყვის გრაფიკული სახის „დაზეპირებითა“ და გაუაზრებელი, მექანიკური ვარჯიშით ხდებოდა). ამგვარად,

გრამატიკული წესის გააზრებული ცოდნა ორთოეპიასთან ერთად საუკეთესო წინაპირობაა ქართული მართლწერის დაუფლებისათვის.

8. წესის ცოდნას არსებითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მართლწერის ჩვევის ფორმირებისათვის ეს საკმარისი არაა. ხშირად მოსწავლე სწორად ამბობს წესს, ასახელებს კონკრეტულ მაგალითებსაც, მოცემულ სიტუაციაში მართებულად ასრულებს დავალებასაც, მაგრამ უჭირს ამ წესის გამოყენება წერის პროცესში, როცა ყურადღების ცენტრში დგას არა ამა თუ იმ სიტყვის მართლწერა, არამედ ტექსტის შინაარსი. წესის ყოველმხრივი გააზრება და ჩვევის ავტომატიზაცია უნდა მოხდეს სათანადო წერითი სავარჯიშოების შესრულების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში თავიდან ვერ ავიცილებთ ორთოგრაფიული ჩვევის დეავტომატიზაციას, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა, როცა აღარ ხდება მართლწერის საკითხებზე ვარჯიშობა. ამ მიზნით ტრადიციულ სავარჯიშოებთან ერთად (ორთოგრაფიულ ამოცანებზე მუშაობა, ორთოგრაფიული გარჩევა, შეცდომების გასწორება, გადაწერა, კარნახი...) წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ე.წ. „თავისუფალი სახის“ წერითი სავარჯიშოები, როგორცაა: მოცემული ორთოგრაფიების გამოყენებით ცალკეული წინდადებების ან გაბმული წერილობითი ტექსტების შედგენა – შინაარსი, თხზულება, საგნის ან მოვლენის აღწერა...

9. მართლწერის შეგნებულად შესწავლის ხარისხს დიდად განაპირობებს მოსწავლეთა მოტივირება, ასევე – მათ მიერ საკუთარი დასკვნების არგუმენტირება. სწორედ ამიტომ საპილოტე ჯგუფთან გვიხდებოდა ისეთი სავარჯიშოთა სისტემის შემუშავება, რომელიც ორიენტირებული იყო: ა) მოსწავლეების მიერ ორთოგრაფიის საკითხების სწავლების მოტივაციის ამაღლებაზე; ბ) შესრულებული დავალების არგუმენტირებაზე.

10. მართლწერისა და მართლმეტყველების სწავლებაში დიდია თვალსაჩინო მასალის გამოყენების ეფექტი. თვალსაჩინოების შერჩევისას ვეცადეთ, რომ ერთი მხრივ – გაგვეთვალისწინებინა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურება, მეორე მხრივ კი – ქართული ენის სპეციფიკა (ის ძირითადად ფონეტიკური დაწერილობის აგლუტინაციური ტიპის ენაა). ამ დროს გადამწყვეტ როლს ასრულებს სმენითი და

აკუსტიკური ფაქტორები. თვალსაჩინოების შერჩევის დროსაც ეს მომენტები წამოვწიეთ წინა პლანზე.

11. ორთოგრაფიული ჩვევების ფორმირებისას მნიშვნელოვანია სწავლების სწორი სტრატეგიების შერჩევა. ამ დროს კარგ შედეგს იძლევა გრამატიკული და ორთოგრაფიული გარჩევა, შედარება-შეპირისპირება, ენობრივ მოვლენებზე დაკვირვება... ამ მეთოდების მართებულად თავ-თავის ადგილზე გამოყენება უზრუნველყოფს როგორც კლასის ჩართულობისა და მოტივაციის ხარისხის ზრდას, ისევე – შესწავლილი ორთოგრაფიული წესების გაცნობიერებასა და ცოდნის ჩვევაში გადასვლას.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

ანტონ I კათალიკოსი 1885: ანტონ I კათალიკოსი, ქართული გრამატიკა, თბილისი, 1885;

არაბული 2004: არაბული ა., ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი, 2004;

ახვლედიანი 1939: ახვლედიანი გ., ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, თბილისი, 1938;

ახვლედიანი 1966: ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბილისი, 1966;

ბაბუნაშვილი 1970: ბაბუნაშვილი ე., ანტონ I და ქართული გრამატიკის საკითხები, თბილისი, 1970;

ბათიაშვილი 1963: ბათიაშვილი ბ., ქართული ენის გრამატიკის სასკოლო სახელმძღვანელოთა (1921-61) აგების ძირითადი პრინციპები, თბილისი, 1963;

ბაქრაძე 1959: ბაქრაძე გ., ყურადღების როლი სწავლებაში, ჟურნალი „კომ. აღზრდისათვის“, 1959, №2.

ბოჭორიშვილი... 1950: ბოჭორიშვილი ა., ჩხარტიშვილი შ., ფსიქოლოგია, თბილისი, 1950;

გაბედავა 1957: გაბედავა გრ., მართლწერის სწავლების საკითხები V-VI კლასებში, თბილისი, 1957;

გაბეჩავა 1971: გაბეჩავა რ., ქართული ენის ახალი პროგრამა, ჟურნალი “ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში”, 1971, №4.

გაიოზ რექტორი 1796: გაიოზ რექტორი, ქართული გრამატიკა, თბილისი, 1796;

„განათლება“ 1910: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სანიმუშო პროგრამები საქ. სახალხო სკოლებისათვის, ჟურნალი “განათლება”, 1910, №2.

გიგინეიშვილი 1947: გიგინეიშვილი ი., როგორი თანმიმდევრობით უნდა ვასწავლოთ თანდებული საშუალო სკოლაში. გაზეთი “სახალხო განათლება” 1947, №2.

გოგებაშვილი 1962: გოგებაშვილი ი., მოკლე გრამატიკა ქართულისა ენისა, თბზულება 1962. ტ. IX.

გოგებაშვილი 1952: გოგებაშვილი ი., თბზულებანი, 1952, ტ. I.

გოგიჩაიშვილი 2001: გოგიჩაიშვილი თ., მოსწავლის ასაკობრივი ფსიქოლოგია, თბილისი, 2001;

გორგაძე 1916: გორგაძე ს., ქართული მართლწერა, თბილისი, 1916;

გუგუშვილი 1977: გუგუშვილი კ., ქართული ენის სახელმძღვანელოები საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ჟურნალი “სკოლა და ცხოვრება”, 1977, №4.

დაწყებითი სკოლის პროგრამები 1935: დაწყებითი სკოლის პროგრამები 1935.

დაწყებითი სკოლის პროგრამები 1933: დაწყებითი სკოლის პროგრამები, გაზეთი “კომუნისტური განათლება” 1933, №27.

ეროვნული სასწავლო გეგმა 2004: ეროვნული სასწავლო გეგმა – საგნობრივი პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, 2004.

თავზიშვილი 1974: თავზიშვილი გ., რჩეული ნაწერები, თბილისი, 1974, ტ. I.

თალაკვაძე 1975: თალაკვაძე მ., ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდოლოგია, თბ., 1975.

თალაკვაძე 1955: თალაკვაძე მ., ზმნის სწავლება სკოლაში, თბილისი, 1955.

თალაკვაძე 1964: თალაკვაძე მ., თანდებულის სწავლება, ჟურნალი “სკოლა და ცხოვრება”, 1964, №10.

თოფურია 1965: თოფურია ვ., ქართული ენა და მართლწერის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1965.

იოსელიანი 1840: იოსელიანი პლ., პირველ დაწყებითი კანონი ქართულისა დრამატიკისა, 1840.

კაკაბაძე 1962: კაკაბაძე ვ., უმცროცი სასკოლო ასაკის მოსწავლის ყურადღების აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლები, თბილისი, 1962;

კვაჭაძე 1981: კვაჭაძე ლ., ქართული ენა, 1981, ნაწ. I.

კვიციანი 1888: კვიციანი პ., ქართული სწარმეტყველება, 1888.

კიზირია 1939: კიზირია ა., რიცხვით სახელთან დაკავშირებული საკითხები, ჟურნალი “კომუნისტური აღზრდისათვის”, 1939, №2.

კიზირია 1961: კიზირია ა., კომპოზიტა შედგენილობისა და მართლწერის ზოგი საკითხისათვის, ჟურნალი “სკოლა და ცხოვრება,” 1961, №6.

ლიპარტელიანი 1979: ლიპარტელიანი რ., წერითი მუშაობის საკითხები დაწყებით კლასებში, თბილისი, 1979.

ლორთქიფანიძე 1957: ლორთქიფანიძე პ., ფონეტიკის საკითხები ენის დაწყებითსა და სასკოლო სისტემატურ კურსში, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევითი ინს. შრ. 1957, ტ. XXVII.

მარი 1913: მარი ნ., ქართული ენა, ლექცია 1913.

მაღლაკელიძე 2004: მაღლაკელიძე ნ., ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია, თბილისი 2004.

მალაკელიძე 1976: მალაკელიძე ნ., საგნის მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვათა სწავლება I კლასში. ჟურნალი “დაწყებითი სკოლა სკოლამდელი აღზრდა, 1976, №2.

მალაკელიძე... 1997: მალაკელიძე ნ., მიქაძე მ., ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია, ქუთაისი, 1997;

მალაკელიძე... 2004: მალაკელიძე ნ., ყურაშვილი ც., ჩვენი ენა ქართული II-IV კლ. 2004;

მთლიანი რვაწლიანი შრომის სკოლის პროგრამა 1921: მთლიანი რვაწლიანი შრომის სკოლის პროგრამა თბილისი, 1921;

მიქაძე 1993: მიქაძე მ., ქართული ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილების სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში, ქუთაისი, 1993;

მოსიავა 1962: მოსიავა ალ., წერა-კითხვის ფსიქოლოგიური საფუძვლები. თბილისი, 1962;

მოსიავა... 1955: მოსიავა ა., ხოჯავა ზ., საანბანო წიგნის შედგენის ძირითადი პრინციპები, თბილისი, 1955;

მუხინა 1988: მუხინა ვ., ბავშვის ფსიქოლოგია, თბილისი, 1988;

მჭედლიშვილი 1958: მჭედლიშვილი გ., II-III კლასების მოსწავლეთა წერითი შეცდომების ფსიქოლოგიური ანალიზი, ჟურნალი “კომ. აღზრდისათვის,” 1958, № 4.

მჭედლიშვილი 1975: მჭედლიშვილი გ., ზეპირი და წერითი მეტყველების შეცდომების ფსიქოლოგიური საკითხები დაწყებით კლასებში, თბილისი 1975;

ნათაძე 1975: ნათაძე ნ., ცნების დაუფლება დაწყებითი სკოლის ფარგლებში. კრებული “პედაგოგიური ფსიქოლოგია”, თბილისი, 1975;

ობოლაძე 1972: ობოლაძე უშ., დაწყებითი სკოლის ახალი პროგრამების ანალიზი, ჟურნალი „დაწყებითი სკოლა სკოლამდელი აღზრდა“, 1972, №4.

- პაპავა.. 2010:** პაპავა პ., ნაცვლიშვილი ნ., კითხვის ეფექტური მეთოდები, 2010.
- პეტროვსკაია 1977:** პეტროვსკაია ა. ვ., ასაკობრივი პედაგოგიური ფსიქოლოგია, თბილისი, 1977;
- პროგრამა 1941:** ქართული ენა, პროგრამა და მეთოდური მითითებანი, 1941;
- პროგრამა 1972:** ქართული ენის პროგრამა, 1972;
- პროგრამები ქართული ენა და ლიტერატურა 1984:** რვაწლიანი და საშუალო სკოლების პროგრამები ქართული ენა და ლიტერატურა (IV-X) კლასებში, თბილისი, 1984;
- რამიშვილი 2000:** რამიშვილი გ., დედაენის თეორია, თბილისი, 2000;
- რამიშვილი 1957:** რამიშვილი ვ., ქართული ენის სწავლების მეთოდიკა თბილისი, 1957;
- რამიშვილი 1966:** რამიშვილი ვ., ქართული მართლწერა და მისი სწავლების საკითხები, თბილისი, 1966;
- რამიშვილი 2002:** რამიშვილი ვ., ქართული ენა, გრამატიკა, მართლწერა და მეტყველების განვითარება, II კლ. თბილისი, 2002;
- რამიშვილი 1979:** რამიშვილი ვ., ქართული ენის გრამატიკისა და მართლწერის დაწყებითი კურსის სწავლებისა და მეტყველების განვითარების საკითხები, თბილისი, 1979;
- რამიშვილი 1982:** რამიშვილი ვ., განმავითარებელი სწავლების პრობლემატიკა დედაენაში, თბილისი, 1982.
- რამიშვილი 1965:** რამიშვილი ვ., დამოუკიდებელი სავარჯიშოების ეფექტი მართლწერის სწავლებაში, ჟურნალი “სკოლა და ცხოვრება”, 1965, №4.

რამიშვილი 1959: რამიშვილი ვ., გრამატიკის სწავლებაში ფორმალიზმის დაძლევის ძირითადი საკითხები, ჟურნალი “კომ. აღზრდისათვის,” 1959, №3.

სიხარულიძე 1929: სიხარულიძე ი., ენის დაკვირვება, 1929;

სულაბერიძე 1987: სულაბერიძე ტ., მოსწავლეთა მართლმეტყველების განვითარების პრაქტიკული საკითხები, კრებული „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები“, თბილისი, 1987;

სცა, საქმე №2909: საქართველოს ცენტრალრი არქივი ფ.422, საქმე №2909

სცა, საქმე №1477: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალრი არქივი ფ. 447 საქმე №1477

უზნაძე 2003: უზნაძე დ., ბავშვის ფსიქოლოგია, თბილისი, 2003;

უშინსკი 1954: უშინსკი კ., რჩეული პედაგოგიური თხზულება, თბილისი, 1954, ტ. II.

ფეიქრიშვილი 2002: ფეიქრიშვილი ჟ., ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი, 2002.

ფერაძე... 1927: ფერაძე ი., სიხარულიძე ე., ენის დაკვირვება. თბილისი, 1927;

ფრანგიშვილი 1969: ფრანგიშვილი ა., სწავლების ფსიქოლოგიის საკითხები, თბილისი, 1969;

ქართველიშვილი 1815: ქართველიშვილი ი., ქართული დრამატიკა, 1815;

ქართული გრამატიკის ტერმინოლოგია 1887: ქართული გრამატიკის ტერმინოლოგია, თბილისი, 1887;

ღლონტი 1950: ღლონტი შ., ქართული ენის გრამატიკისა და მისი სწავლების საკითხები ი. გოგებაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში, სოხუმი, 1950;

ყიფიანი 1982: ყიფიანი დ., ახალი ქართული გრამატიკა, 1982;

ყოლბაია 1989: ყოლბაია მ., ბავშვის ფსიქოლოგია. თბ., 1989.

შამელაშვილი 1977: შამელაშვილი რ., სკოლაში ორთოეპიაზე მუშაობის ზოგი საკითხისათვის, ჟურნალი “ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში,” 1977, №1.

შანიძე 1973: შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973;

შანიძე... 2005: შანიძე ა. კვაჭაძე ლ., ქართული ენა V კლასი, თბილისი, 2005;

შანიძე... 2005: შანიძე ა., კვაჭაძე ლ., ქართული ენა VI კლასი თბილისი, 2005;

შანიძე 1990: შანიძე მ., სიტყვად ართრონთათფვს, ძველი გრამატიკული ტრაქტატი, თბილისი, 1990;

ჩიკოძე 1951: ჩიკოძე ვ., მართლწერის საკითხები ფონეტიკის სწავლებასთან დაკავშირებით მე-5 კლასში, მასწავლებელთა გამოცდილებიდან კრებული I, 1951.

ჩინჩალაძე 1971: ჩინჩალაძე მ., მოწაფეთა ლექსიკის გამდიდრება ახსნიითი კითხვის გაკვეთილებზე, თბილისი, 1971;

ჩინჩალაძე 1988: ჩინჩალაძე მ., თანდებულისა და მასთან დაკავშირებული ორთოგრაფიის სწავლების ზოგიერთი საკითხი, ა. ს. პუშკინის სახ. სახელმწიფო პედ.ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საინსტიტუტთაშორისო სესია 54, თბილისი, 1988;

ჩიქობავა 1952: ჩიქობავა ა., ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952;

ჩხარტიშვილი 1963: ჩხარტიშვილი შ., სასკოლო ასაკის ბავშვის აღქმის თავისებურებანი და მათთან დაკავშირებული სიმნელები სწავლებაში, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება”, 1963, №1.

ძიძიგური 1951: ძიძიგური ვ., ქართული ენის სწავლება დაწყებით სკოლაში, თბილისი, 1951;

წულაძე 1971: წულაძე ლ., გრამატიკის ელემენტარული საკითხების სწავლება II კლასში, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება,” 1971, №2.

ჭახნაკია 1990: ჭახნაკია ნ., ფონეტიკის გაკვეთილები V კლასში, თბილისი, 1990;
ხარაბაძე 1968: ხარაბაძე ე., სიტყვის სწორად წარმოთქმაზე მუშაობა III-IV კლასებში, ჟურნალი „დაწყებითი სკოლა სკოლამდელი აღზრდა,” 1968, №1.

ხოჯავა 1950: ხოჯავა ზ., ჩვევის აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლები, პედ. ფსიქოლოგიის საკითხები, თბილისი, 1950;

ხუნდაძე 1912: ხუნდაძე ს., ქართული გრამატიკა პირველდაწყებითი შკოლებისათვის, ქუთაისი, 1912;

ხუნდაძე 1904: ხუნდაძე ს., ქართული გრამატიკა, ქუთაისი, 1904;

ხუნდაძე 1951: ხუნდაძე ტ., ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, 1951;

ჯანაშია...2010: ჯანაშია ნ., იმედაძე ნ., გორგოძე ს., განვითარებისა და სწავლების თეორიები, 2010;

ჯაფარიძე... 2005: ჯაფარიძე მ., ბოკუჩავა თ., ბიჰევიორიზმი და სოციალური დასწავლის თეორია, განათლების ფსიქოლოგია, თბილისი, 2005;

ჯაჯანიძე 1970: ჯაჯანიძე ნ., მორფოლოგიის სწავლების ისტორიიდან დაწყებით კლასებში, ქუთაისის პედ. ინ-ტის შრომები, 1970, ტ. 33.

ჯიბლაძე 1968: ჯიბლაძე გ., ესთეტიკური აღზრდის პრინციპები, თბილისი, 1968;

Айдаров 1964: Айдаров Н., Формирование лингвистического отношения к слову у младших школьников, в журн. „Вопросы психологии #5, 1964.

Алгазина 1967: Алгазина Н., Предупреждение орфографических ошибок учащихся V-VIII. Москва, 1967.

Вогоявленский 1966: Вогоявленский Д., Психология усвоения орфографии, Москва, 1966.

Вогоявленский 1958: Вогоявленский Д., К характерические процессов абстракции и обобщения при усвоении грамматики, в. журн. „Вопросы психологии“, 1958, №4.

Карпов... 1972: Карпов Г., Романин А., Технические средства обучения, Москва, 1972;

Кустарева... 1973: Кустарева В., Назарова Л., Методика русского языка, Москва, 1973;

Жуйков 1964а: Жуйков С., Психология усвоения грамматики в начальных классах, Москва, 1964;

Жуйков 1964б: Жуйков С., Психология усвоения глагола, Москва, 1964;

Rogova 1975: Rogova G., Methods of Teaching English, London, 1975;

Anzlinger... 2005: Anzlinger D., Gesell H., und Kriebel J., DUDEN - Rechtsreibung 5. und 6. Klasse, M. 2005.


Bornemann 2005: Bornemann M., Ising A., Richter A., und Schelenberg W., DUDEN – Grammatik 5. und 6. Klasse. M. 2005.

Brinkmann 1955/56: Brinkmann H., Hochsprache und Mundart, Wirkendes Wort. VI. 1955/56.


Şimşek 2002: Şimşek R., Türk dili, Istanbul 2002.

დანართი


მარცვალი, სიტყვის დამარცვლა გადასატანად



მარცვალი, სიტყვის დამარცვლა გადასატანად




მარცვლი, სიტყვის დამარცვლა გადასატანად




ორი მ, ორი ს, ვით. ბრუნვის -ად დაბოლოება (IV კლასი)

(ა)




ორი მ, ორი ს, ვით. ბრუნვის -ად დაბოლოება (IV კლასი)

(ბ)




ორი მ, ორი ს, ვით. ბრუნვის -ად დაბოლოება (IV კლასი)




ორი ნ, ორი თ მრ. რიცხვში (Vკლასი)

(ა)




ორი ნ, ორი თ მრ. რიცხვში (Vკლასი)

(ბ)




ორი ნ, ორი თ მრ. რიცხვში (Vკლასი)


(გ)



ორი ნ, ორი თ მრ. რიცხვში (Vკლასი)



ხმოვანფუძიან სახელთა მართლწერა – ორი ი, ორი ე (VI კლასი)




კომპოზიტა მართლწერა

სკოლა	საქართველოს საპატრიარქოს წმ.ილია მართლის სახ. თბილისის სკოლა		53-ე საჯარო სკოლა	
კლასი	IV ^I - IV ^{II} - IV ^{III} (საექსპერიმენტო)		IV ^{II} - IV ^{III} (საკონტროლო)	
მოსწავლეთა რაოდენობა	63		60	
საკონტროლო სიტყვა	სწორად დაწერა	არასწორად დაწერა	სწორად დაწერა	არასწორად დაწერა
ჩაცმა-დახურვა	60	3	53	7
ხელგამომავალი	61	2	55	5
გულდია	61	2	56	4
გულმხიარული	59	4	52	8
პირდაღვრემილი	60	3	53	7
ყურმოჭრილი	60	3	54	6
დედაშვილობა	61	2	54	6
ფეხქვეშ	61	2	56	4


რიცხვით სახელთა მართლწერა

სკოლა	საქართველოს საპატრიარქოს წმ.ილია მართლის სახ. თბილისის სკოლა		ქ. რუსთავის ყიული შარტავას სახ. მე-4 საჯარო სკოლა	
კლასი	III ^I - III ^{II} - III ^{III} (საექსპერიმენტო)		III ^I - III ^{II} (საკონტროლო)	
მოსწავლეთა რაოდენობა	62		60	
საკონტროლო სიტყვა	სწორად დაწერა	არასწორად დაწერა	სწორად დაწერა	არასწორად დაწერა
მე-15	60	2	56	4
მე-16	59	3	55	5
თოთხმეტი	62	–	60	–
სამი	62	–	60	–
ოთხმოცდაათი	59	3	55	7
სამოცდათორმეტი	59	3	54	6
73–ე	57	5	40	10

რიცხვითი სახელის მართლწერა




რიხვითი სახელის მართლწერა



ზმნასთან დაკავშირებული ორთოგრაფიული საკითხების სწავლება

სკოლა	53-ე საჯარო სკოლა		ქ. რუსთავის ქიული შარტავას სახ. მე-4 საჯარო სკოლა	
კლასი	IV ^I – IV ^{III} (საექსპერიმენტო)		IV ^I -IV ^{II} (საკონტროლო)	
მოსწავლეთა რაოდენობა	68		70	
საკონტროლო სიტყვა	სწორად დაწერა	არასწორად დაწერა	სწორად დაწერა	არასწორად დაწერა
ვუკეთებ	66	2	66	4
ვასწავლე	67	1	70	–
ვვარჯიშობ	62	6	62	8
ვუვარცხნი	66	2	66	4
ვუკერავ	65	3	68	2
ვუსმენთ	66	2	66	4
ვუკერავთ	66	2	65	5
ვუკითხავ	66	2	66	4
ვუწუნებ	66	2	65	5
ვუხმე	66	2	62	8
ვუჩვენე	65	3	63	7
გავუგზავნე	58	10	58	12

ზმნისწინთან დაკავშირებული მართლწერის საკითხებზე მუშაობა




სკოლა	53–ე საჯარო სკოლა		საქართველოს საპატრიარქოს წმ.ილია მართლის სახ. თბილისის სკოლა	
კლასი	IV ^{II} - IV ^{III} (საექსპერიმენტო)		IV ^I -IV ^{II} - IV ^{III} (საკონტროლო)	
მოსწავლეთა რაოდენობა	62		65	
საკონტროლო სიტყვა	სწორად დაწერა	არასწორად დაწერა	სწორად დაწერა	არასწორად დაწერა
წინათ	60	2	60	5
სხვაგვარად	61	1	61	4
გარეთ	60	2	61	4
ბლომად	59	3	61	4
სწრაფად	60	2	62	3
ქვემოთ	60	2	63	2
გულწრფელად	59	3	59	6
მშვიდად	60	2	59	6
სასიამოვნოდ	61	1	62	3

ზმნიზედის მართლწერა

სკოლა	ქ. რუსთავის ჟიული შარტავას სახ. მე-4 საჯარო სკოლა		53-ე საჯარო სკოლა	
კლასი	VI ^I - VI ^{II} (საექსპერიმენტო)		IV ^{II} - IV ^{III} (საკონტროლო)	
მოსწავლეთა რაოდენობა	63		62	
საკონტროლო სიტყვა	სწორად დაწერა	არასწორად დაწერა	სწორად დაწერა	არასწორად დაწერა
მახლობლად	61	2	57	5
მოუსვენრად	62	1	59	3
აქეთ-იქეთ	60	3	56	6
სწრაფად	62	1	58	4
უკან-უკან	60	3	55	7
მამაცურად	61	2	57	5
ღრმად	62	1	59	3
უვნებლად	61	2	57	5

თანდებულის მართლწერა



თანდებულის მართლწერა

